

საქართველო ხორბლის კრიზისის წინაშე
A5



"თქვენი აფხაზეთი"
A6



რაულის ასიანი
A7


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 18 აგვისტო, 2006 წელი. №185 (1337)

ფასი 50 თეთრი


24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge


## ამბები

### დასაქმების ახალი პროექტი

განათლების რეფორმის ერთ-ერთი მიმართულება პროფესიული სასწავლო ცენტრების შექმნაა. პროგრამა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ხორციელდება. ეს პროფტექნიკუმების მსგავსი სასწავლო დაწესებულებებია, სადაც მოსწავლეებს სხვადასხვა ხელობას შეასწავლიან.

A3

## ბიზნესი

### ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მიმართ ინტერესი სულ უფრო იზრდება

ოფიციალური ირანი და რუსული კომპანიები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენთან მიერთების სურვილს გამოთქვამენ. აზერბაიჯანული მხარე არ ჩქარობს და აცხადებს, რომ მილსადენის სიმძლავრის გაზრდაზე საუბარი ამ ეტაპზე გვიანია.

A4

## ბიზნესი

### გრანტები ფერმერებს

გუშინ გორში სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სიმონიშვილი და "ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" წარმომადგენლები შიდა ქართლის რაიონში მცხოვრებ ფერმერებს შეხვდნენ.

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 18/08 | 19/08 |
|---|---|---|
| თბილისი | 37 | 36 |
| ბათუმი | 39 | 35 |
| სოხუმი | 39 | 36 |
| ქუთაისი | 42 | 41 |
| გორი | 33 | 34 |
| ონი | 30 | 30 |
| ზუგდიდი | 42 | 40 |
| ახმეტა | 36 | 35 |
| სამტრედია | 41 | 40 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7540 |
| ევრო | 2.2430 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3200 |
| რუბლი | 0.0655 |


| | |
|---|---|
| სამართალი | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| ბიზნესი | A 4 |
| ბიზნესი | A 5 |
| პროექტი | A 6 |
| სპორტი | A 7 |
| რევიუ | A 8 |


# კვამლი აბასთუმნის თავზე

გულო კოხოძე
სოფო მერაბიშვილი
აბასთუმნიდან

*მეოთხე დღეა, ადიგენის რაიონის სოფელ წახნის სატყეო უბნის 30-ე კვარტლის ტყე იწვის. ხანძრის ლოკალიზება ამ დროისათვის ვერ ხერხდება. დამწვარი ტყის ფართობი 150 ჰექტარიდან, სავარაუდოდ, 400 ჰექტარამდე გაიზარდა. საშიშროება, რომ ცეცხლი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალზეც გადმოვა და აბასთუმნის მოსახლეობასაც საფრთხეს შეუქმნის, წუთი-წუთობით უფრო რეალური ხდება.*

გაგრძელება A3 გვერდზე



# "საინვესტიციო ბუმი პირველი სექტემბრიდან დაიწყება"

### ქართულ-აზერბაიჯანული მოლაპარაკებები ბათუმში

ემზარ დიასამიძე
ბათუმიდან

*ბათუმში საქართველოსა და აზერბაიჯანის სამდღიანი სამთავრობოთაშორისო შეხვედრა დასრულდა. მასზე ძირითადად განხილული იყო საქართველოში აზერბაიჯანული გაზის მოწოდებისა და ახალი სატრანსპორტო მაგისტრალის მშენებლობის საკითხი. საქართველოსა და აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრების განცხადებით, თბილისი-ახალქალაქი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი რეგიონს ევროპასთან დააკავშირებს. მეორე მხრივ აზებაიჯანიდან შესაძლებელია შუა აზიასთან კავშირიც. 2008 წელს თურქეთში დასრულდება ბოსფორის გვირაბის მშენებლობა, რომლითაც შესაძლებელია ჩინეთი, კავკასიის გავლით, ევროპას დაუკავშირდეს. შეხვედრაზე ასევე საქართველოს ვალის რესტრუქტურიზაციაზე და აზერბაიჯანული ინვესტიციების მოზიდვაზე იქნა მიღწეული შეთანხმება.*

გაგრძელება A4 გვერდზე



*საქართველომ და აზერბაიჯანმა ვალის რესტრუქტურიზაციას მოაწერეს ხელი.*

# როკი მცხეთაში



*"მწვანე ოთახი" და ვახო ბაბუნაშვილი.*

## დაზარალებულები ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებენ

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამსუნის პროვინცია ჩაკალის სასამართლოს გადაწყვეტილებით, "მაჰმუდ ტურის" ავტობუსის მძღოლი ნიკოლოზ ტუკვაძე დაპატიმრებულია. მას გულგრილობის ბრალდებით წინასწარი პატიმრობა 16 აგვისტოს, საღამოს, შეუფარდეს. გაქცეულია და ჯერჯერობით ისევ იძებნება ავტობუსის თურქი მძღოლი.

სამსუნის დასახლებულ პუნქტ კალაკთან, ანკარა-სტამბოლის გზატკეცილის 44-ე მონაკვეთზე მომხდარი ავტოკატასტროფის შესახებ თურქი სამართალდამცველები აცხადებენ, რომ მძღოლს საჭესთან ჩაეძინა, რის გამოც ავტობუსი სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხრამში გადაიჩეხა. თავად ტუკვაძე ამ ფაქტს უარყოფს და აცხადებს, რომ მან საჭე ნაწვიმარი გზის გამო ვერ დაიმორჩილა.

როგორც აღმოჩნდა, ავტობუსში უბილეთო მგზავრებიც იმყოფებოდნენ. მგზავრების ინფორმაციით, მძღოლმა ავტობუსში დამატებითი სკამები ჩადგა, რის გამოც, ავტობუსით 43-ის ნაცვლად 51-მა ადამიანმა იმგზავრა, რაც ნორმის დარღვევაა.

ავტოავარიის შედეგად დაიღუპა 6 და დაშავდა 33 მგზავრი. გარდაცვლილია საქართველოს 4 მოქალაქე, 22 კი - დაშავდა. ექვს დაზარალებულს სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაღუპულთა იდენტიფიკაცია ჩაატარა. ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპნენ: ციცინო დემეტრაშვილი, მარიამ კრავეიშვილი, ნუგზარ კესეჯი და რიტა ოხანაშვილი

დაზარალებული მგზავრები თურქეთის სხვადასხვა საავადმყოფოში მოათავსეს და მათ სამსუნში მცხოვრები ქართველები პატრონობდნენ, მანამდე, სანამ ადგილზე არ ჩავიდა საქართველოს საკონსულოს წარმომადგენელი.

გაგრძელება A2 გვერდზე

## შსკ-ს სხდომებს ევროკავშირი დააფინანსებს

*ევროკავშირმა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომების ჩასატარებლად 140 000 ათასი ევრო გამოყო. საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლის ტოლბენ ჰოლცეს განმარტებით, აღნიშნული თანხა შერეული საკონტროლო კომისიის სხდომების რეგულარულად ჩატარებას შეუწყობს ხელს. მისი აზრით, კომისია მნიშვნელოვანი ორგანოა და მას ეფექტიანად საქმიანობისთვის ყველანაირი პირობა უნდა ჰქონდეს.*

ნათია მსხილაძე

გუშინ მოსკოვში, ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების მიზნით, მოქმედი შერეული საკონტროლო კომისიის ორდღიანი სხდომა გაიხსნა. სხდომის მუშაობაში პირველად მონაწილეობს ახლად დანიშნული სახელმწიფო მინისტრი და ქართული მხრიდან შსკ-ს თანათავმჯდომარე მერაბ ანთაძე.

როგორც მერაბ ანთაძემ განცხადა, შერეული საკონტროლო კომისია განიხილავს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეკონომიკური პროექტების განხორციელებისა და ერთობლივი საპოლიციო ცენტრის ფუნქციონირების საკითხებს. სახელმწიფო მინისტრის განმარტებით, მხარეებს შორის პრობლემური საკითხების დაგროვების გამო, მოლაპარაკების პროცესი რთული იქნება.

სხდომის დაწყებამდე, სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ბორის ჩოჩიევმა საქართველოს მისამართით მორიგი საბრალდებო განცხადება გააკეთა. **"თუ ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის დღევანდელ სხდომაზე ქართული მხარე შსკ-ს ფორმატის შეცვლასა და კონფლიქტის ზონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანას კვლავ მოითხოვს და "სააკაშვილის გეგმის" თავს მოხვევას შეეცდება, ეს იმის დასტური იქნება, რომ საქართველო კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირებაში არ არის დაინტერესებული,"** - განაცხადა ჩოჩიევმა სააგენტო "როსბალტთან" საუბრისას.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ფსიქიატრიული საავადმყოფოს ნაცვლად - საპყრობილე

*ფსიქიურად დაავადებული პატიმრის გიორგი მიქიაშვილის ციხეში ცემის ფაქტს ორიოდე დღის დღის წინ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველი აპარატის მხრიდან მწვავე შეფასება მიეცა. ადამიანის უფლებების დამცველები, პატიმრის ადვოკატი და ოჯახის წევრები დაკავებულის სამკურნალო დაწესებულებაში დაუყოვნებლივ გადაყვანას და აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით რეალურ დამნაშავეთა დასჯას მოითხოვენ. თუმცა, მოვლენები საწინააღმდეგოდ განვითარდა. გიორგი მიქიაშვილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით, ფსიქიატრიული საავადმყოფოს ნაცვლად რუსთავის N6 საპყრობილეში გადაიყვანეს.*

საქმე ისაა, რომ გიორგი მიქიაშვილი, რომელიც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დააკავეს, მისი დის, ნინო მიქიაშვილის განცხადებით, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების მიერ სხვადასხვა დროს მიყენებული სხეულის მძიმე დაზიანების გამო საპყრობილეში ფსიქიურად დაავადდა. არადა, დაკავებამდე იგი სრულიად ჯანმრთელი იყო.

დაკავებულის ადვოკატის ზაზა ხატიაშვილის მტკიცებით, გიორგი მიქიაშვილის ცემა-წამება მას შემდეგ დაიწყო, რაც დაკავებულის საქმე ადამიანის უფლებათა სასამართლოში გადააგზავნეს. მოსარჩელე მხარე მიქიაშვილისთვის მიყენებული მორალური ზიანის გამო 3 მილიონი ლარის გადახდას მოითხოვს.

**"იმის გამო, რომ არ შეილახოს პატრულის იმიჯი, მიქიაშვილს სარჩელის უკან გამოტანას აიძულებენ, არადა, სარჩელი სტრასბურგის სასამართლომ უკვე წარმოებაში მიიღო,"** - აცხდებს ხატიაშვილი.

ნინო მიქიაშვილის ინფორმაციით, გიორგი მიქიაშვილს დაკავების შემდეგ სულ 12-ჯერ სცემეს. 13 აგვისტოს, ჯერ ბაჩო ახალაიას ხელმძღვანელობით ციხის ადმინისტრაციამ, ხოლო შემდეგ პატიმრებმა სცემეს და სამკუნალო დაწესებულების ნაცვლად, იგი "კარცერში" "არაადამიანურ პირობებში" გადაიყვანეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

მოკლედ

## "თანასწორობის ინსტიტუტი" სტრასბურგისთვის ემზადება

არასამთავრობო ორგანიზაცია "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა სააპელაციო სასამართლოში საჩივარი შეიტანა. იგი ასაჩივრებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 9 აგვისტოს გამოტანილ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, მას ორდღიანი პატიმრობა შეეფარდა.

ლაშა ჩხარტიშვილს მიაჩნია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება უკანონო და უსაფუძვლო იყო. სარჩელში ნათქვამია, რომ ჩხარტიშვილს რამდენიმე სამართალდარღვევისთვის ედავებოდნენ, მათ შორის მანდატურების მიმართ გამოთქმული უცენზურო სიტყვებისთვის და მოქალაქეთა სიმშვიდის დარღვევისთვის. ლაშა ჩხარტიშვილი და მისი ადვოკატი გელა ნიკოლეიშვილი მიიჩნევენ, რომ სასამართლოზე არ დადასტურდა არც გინების და არც მოქალაქეთა სიმშვიდის დარღვევის ფაქტები. როგორც "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრი აღნიშნავს, თუ ეკა ტყეშელაშვილი არ გააუქმებს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 9 აგვისტოს გამოტანილ გადაწყვეტილებას, მაშინ "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრები საკუთარი უფლებების დასაცავად სტრასბურგის სასამართლოს მიმართავენ.

სარჩელის შეტანის პარალელულად, "თანასწორობის ინსტიტუტმა" აქცია დაიწყო - "ჯალათი მონების წინააღმდეგ". როგორც ჩხარტიშვილი განმარტავს, რადგან გახშირდა თავისუფალი სიტყვისა და სამართლიანობისთვის მებრძოლი პირების უსამართლოდ დაკავება, აქცია მოეწყობა იმ პირების წინააღმდეგ, ვინც ამგვარ ბრძანებებს გასცემს. ჩხარტიშვილის ინფორმაციით, იგი სამართალდამცველი სტრუქტურის წარმომადგენლებს საზოგადოებასთან სამართლებრივ გარიგებას სთავაზობს. ანუ, თუ ისინი დაასახელებენ მათ ვინაობას, ვინც ასეთ "უკანონო ბრძანებებს" გასცემენ, "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრები გამოითხოვენ სასამართლოებში შეტანილ საჩივრებს.

*ინტერპრესნიუსი*

## უკანონო ბიზნესის მფარველები

ფინანსური პოლიციის თბილისის მთავარმა სამმართველომ გამოავლინა დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელსაც ბოლო 6 წლის განმავლობაში რუსეთიდან საქართველოში შემოჰქონდა სხვადასხვა სახეობის თევზი და თევზის პროდუქტები და თბილისის სხვადასხვა საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელთა აქტიური ხელშეწყობით მალავდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ბიუჯეტის გადასახადებს.

ფინანსური პოლიციის მიერ ამ ეტაპზე დადგენილია, რომ ჯგუფმა სახელმწიფო ბიუჯეტს დაუმალა 1 მილიონ ლარზე მეტი.

დადგინდა, რომ ვაკე-საბურთალოს საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელს ლაშა დოლბაძეს თავისი ოჯახის წევრების სახელზე რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმეების "ეთერ გოგუას", "კარლო დოლბაძის", "ქეთევან დოლბაძის" და "რაიფ მარშანიას" სახელით განხორციელებული აქვს ყოველწლიურად 1 მილიონ კილოგრამზე მეტი თევზის პროდუქტების იმპორტი, რაც რუსეთიდან იმპორტირებული თევზის პროდუქტების 60 პროცენტს შეადგენს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ოთხივე იმპორტიორს ფუნქციონირების დღიდან დღემდე თბილისის საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელთა ხელშეწყობით გადახდილი აქვს მხოლოდ 390 ლარი, არ აქვთ ჩაბარებული საშემოსავლო გადასახადის წლიური და სხვა გადასახადის დეკლარაციები. არც ერთი მეწარმე საგადასახადო ინსპექციას არ შეუმოწმებია და არც დასმულა მათი შემოწმების საკითხი.

ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება. დაკავებულია ლაშა დოლბაძე და შესაბამისად დადგება თბილისის საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელთა პასუხისმგებლობის საკითხი.

*24 საათი*

## ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულები

2006 წლის ექვს თვეში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილია 411 დანაშაული. გასულ წელს კი ანალოგიურად ჩადენილი დანაშაულის მაჩვენებელმა 686 შეადგინა. შს სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, იარაღით ჩადენილ დანაშაულთა შორის მძიმე კატეგორიას განეკუთვნება 54, განსაკუთრებით მძიმეს - 277 ფაქტი.

გასულ წელს დაფიქსირებული იყო 166 მძიმე და 416 განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. იარაღის გამოყენებით ჩადენილ დანაშაულებებს შორის, სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე მეტი ყაჩაღობის ფაქტებზე მოდის. მიმდინარე წლის ექვს თვეში აღნიშნული სახის დანაშაულის 239 ფაქტია აღრიცხული. შარშან რეგისრტირებული ყაჩაღობის ფაქტმა 2 7637 ერთეული შეადგინა.

მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში იარაღის გამოყენებით ჩადენილია 41 განზრახ მკვლელობა, რაც გასული წლის მაჩვენებელი 79 ერთეულს შეადგენს. მკვლელობის მცდელობის ფაქტმა 21 ერთეული შეადგინა, 2005 წელს მკვლელობის მცდელობის 74 ფაქტია აღრიცხული.

სხვა დანაშაულებების სტატისტიკა, რომლებიც იარაღის გამოყენებით არის ჩადენილი ასე გამოიყურება: ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება - 2006 წლის ექვსი თვე - 10 ფაქტი, თავისუფლების უკანონო აღკვეთა - 2, ძარცვა - 2 და ხულიგნობა - 36 ფაქტი.

*24 საათი*

## აზერბაიჯანელთა ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტის ძმა დააკავეს

რუსეთის საინფორმაციო სააგენტო "რეგნუმის" ინფორმაციით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტის დაშგინ გიულმამედოვის ძმა მურაზ გიულმამედოვი დააკავეს. დაშქინ გულმამედოვის თქმით, მისთვის უცნობია, სად იმყოფება ამჟამად მისი ძმა. გიულმამედოვის აზრით, ძმის დაპატიმრებით საქართველოს ხელისუფლებას მისი "გაჩუმება" სურს, რადგან ის "იბრძვის მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის წინაღმდეგ და იცავს საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა უფლებებს".

*მედიანიუსი*

## ნარკოტიკების რეალიზაცია შვილის მკურნალობისთვის

საბაჟო-გამშვები პუნქტის "წითელი ხიდის" მებაჟეებმა საქართველოს მოქალაქის ირმა ხურციძის ხელჩანთაში დამალული ნარკოტიკი აღმოაჩინეს. საბაჟო დეპატრამენტის ცნობით, რუსთავში მცხოვრები ირმა ხურციძე წითელ ხიდზე, აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოსვლისას დააკავეს. მას დაახლოებით 50 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება (სავარაუდოდ "ჰეროინი") ხელჩანთის სარჩულში ჰქონდა დამალული. ხურციძემ დანაშაული აღიარა. იგი აცხადებს, რომ იძულებული გახდა ქვეყანაში ნარკოტიკი შემოეტანა, რადგან ავადმყოფი შვილის სამკურნალო ფული არ აქვს. ირმა ხურციძემ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი ბოლო დროს რამდენჯერმე გადმოკვეთა. სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ იგი ნარკორეალიზატორი იყო, თუმცა, აქვს თუ არა მას კავშირი მსხვილ ნარკოდილერებთან, გამოძიება დაადგენს.

*ინტერპრესნიუსი*

## ნაღმების აღმოჩენა გრძელდება

ცხინვალის რეგიონში შერეული სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებმა ქართულ სოფელ კეხვთან ფუგასის ტიპის ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს და გააუვნებელყვეს. შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის მოადგილის ვლადიმირ ივანოვის თქმით, სამშვიდობოებმა განაღმვითი სამუშაოები კეხვთან სოფლის ადმინისტრაციის თხოვნით ჩაატარეს. ივანოვის ინფორმაციით, ფუგასი სოფელ კეხვიდან დასავლეთით, ერთი კილომეტრის დაშორებით აღმოაჩინეს. ფუგასი შედგებოდა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმისაგან და 122-მილიმეტრიანი საარტილერიო ჭურვისაგან. აღმოჩენილი ფუგასი სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებმა ადგილზე ააფეთქეს.

სწორედ ანალოგიური სამუშაოების დროს ნაღმზე აფეთქდა ერთ-ერთი რუსი სამშვიდობო, რომელმაც ფეხი დაკარგა.

*მედიანიუსი*

# დაზარალებულები ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებენ

პირველი გვერდიდან

ავტოკატასტროფაში მოყოლილი 15 მგზავრი, რომლებიც შედარებით მსუბუქად დაშავდნენ, თბილისის ჯანდაცვის საქალაქო სამსახურმა თბილისში ჩამოიყვანა.

მგზავრები ავტოავარიის გამო მძღოლის პასუხისმგებლობის საკითხს არ აყენებენ. როგორც მგზავრები იხსნებენ, ავტომაგისტრალზე მოძრაობის დროს ავტობუსს შემხვედრმა ავტომანქანამ გზა გადაუჭრა, ავარიული სიტუაციის გამო მძღოლი იძულებული გახდა, ტრასიდან გადაეხვია, მას მეორე მძღოლიც მიეშველა, თუმცა ავტობუსმა წონასწორობა ველარ შეინარჩუნა და ამოტრიალდა.

დაზარალებული მოქალაქეები თურქეთში საქართველოს საკონსულოს წარმომადგენელთა უყურადღებობის გამო პრეტენზიას გამოთქვამენ, ხოლო თურქეთის მხარეს გამოჩენილი გულისხმიერებისთვის მადლობას უხდიან.

ქართული მხარის უყურადღებობის გამო, საქართველოს კონსულს თურქეთში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. საქმე ისაა, რომ სამსუნის საავადმყოფოში მისულ კონსულს ზაურ მჭედლიშვილს ავტოკატასტროფაში დაშავებული ქართველები და მათი ნათესავები აგრესიულად შეხვდნენ და სცემეს.

დაზარალებულთა განცხადებით, თურქულმა მხარემ მათ მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინა, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კი ისინი არავის მოუნახულებია.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში კი აცხადებენ, რომ კონსულის დაგვიანებით ჩასვლა ადმინისტრაციულმა ფორმალობამ გამოიწვია. საგარეო საქმეთა სამინისტრო ირწმუნება, რომ ქართულ მხარეს მობილიზებული აქვს ყველა რესურსი იმისათვის,







რათა ავტოკატასტროფის შედეგად დაზარალებულთა საქართველოში გადმოყვანა მაქსიმალურად მოკლე დროში მოგვარდეს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ სამსუნში მიავლინა თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს დიპლომატები, რათა დამატებითი ძალებით ოპერატიულად მოახდინონ ავტოკატასტროფის დროს დაზარალებული საქართველოს მოქალაქეების დახმარება. თურქეთის სხვადასხვა საავადმყოფოში მყოფი დაზარალებული მგზავრების მკურნალობის ხარჯებს "მაჰმუდ ტური" დაფარავს.

საქართველოს ხელისუფლებამ სარფში გააგზავნა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომობილები, რომლებითაც დაშავებულებს თბილისში გადმოიყვანენ და დაღუპულთა ცხედრებს გადმოასვენებენ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ თურქეთის ქალაქ სამსუნის საავადმყოფოებს, სადაც ავტოკატასტროფისას დაშავებული საქართველოს მოქალაქეები იმყოფებიან, ფინანსური გარანტიის დამადასტურებელი დოკუმენტაცია გადაუგზავნა, რათა დაშავებულებს ოპერატიულად ჩაუტარდეს სამედიცინო დახმარება.

ქართული მხარე დააფინანსებს იმ გადაუდებელ ოპერაციებს, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს ჩაუტარდათ.

ავტოკატასტროფისას დაღუპულთა ოჯახებს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიუსამძიმრა და განაცხადა, რომ გაჭირვებაში მყოფ თანამემამულეებს სახელმწიფო არ მიატოვებს. პრეზიდენტი დაზარალებულებს, საქართველოს მოქალაქეებს სრულ მხარდაჭერას ჰპირდება.

**"დაზარალებულთა დასახმარებლად საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს. მთლიანად დაფარავს დაშავებულთა მკურნალობის ხარჯებს. დაშავებულთა ნაწილს რეანომობილებით, ნაწილს კი თვითმფრინავის სპეციალური რეისით ჩამოიყვანენ. ის დაშავებულები რომელთა ტრანსპორტირებაც შეუძლებელია, მკურნალობას თურქეთში გააგრძელებენ და მათი მკურნალობის ხარჯებსაც მთლიანად საქართველოს ხელისუფლება გაიღებს,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

*24 საათი*

# ფსიქიატრიული საავადმყოფოს ნაცვლად - საპყრობილე

პირველი გვერდიდან

ინციდენტის შემდეგ გიორგი მიქიაშვილი სახალხო დამცველის აპარატთან არსებული პაციენტთა უფლებების დაცვის ცენტრის ასისტენტმა, ექიმმა ლაბაურმა მოინახულა, რომალმაც დაადასტურა პატიმრის ცემის ფაქტი და შესაბამისი დასკვნაც დაწერა.

დაზარალებული პატიმარი "რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმაც მოინახულა, რომლის შეფასებითაც, პატიმარი, როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქიურად, უმძიმეს მდგომარეობაშია.

**"ნახევარი საათის განმავლობაში, სანამ მას ველაპარაკებოდი, გუნება-განწყობილება რამდენჯერმე რადიკალურად შეეცვალა. ხან ძალიან ბედნიერი იყო და იცინოდა, ხან ტიროდა. ვესაუბრე მის გვერდით მყოფ პატიმრებსაც, რომლებმაც მითხრეს, რომ გიორგი ნამდვილი გიჟივით იქცევა,"** - განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მისი თქმით, იგი საშიშია სხვებისთვისაც, ვინაიდან, პერიოდულად საკამაოდ აგრესულია.

**"თუ აგრესიის გამოვლინებისას მიქიაშვილს თავიდან მოიცილებენ და მერე ყველაფერს მასვე დააბრალებენ, ეს, რა თქმა უნდა, ციხის ადმინისტრაციისთვის ყველაზე იოლი გამოსავალი იქნება,"** - ამბობს თინა ხიდაშელი.

გიორგი მიქიაშვილის იზოლირებულად ყოფნის პრობლემა სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა მისი რუსთავის N6 საპყრობილეში გადაყვანით გადაჭრა. როგორც ნინო მიქიაშვილმა განაცხადა, რამდენიმე დღის განმავლობაში ვერც დეპარტამენტში და ვერც იუსტიციის სამინისტროში ვერავინ აუხსნა, რატომ გადაიყვანეს ფსიქიურად დაავადებული პატიმარი, რომელსაც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სასწრაფო მკურნალობა ესაჭიროება, N6 საპყრობილეში, სადაც არც სამკურნალო დაწესებულება არსებობს და არც ექიმი-ფსიქიატრი.

**"საპყრობილეში მეუბნებიან, რომ გიორგი სხვა პატიმრებისგან იზოლირებულია და კარგად გრძნობს თავს. ექიმი გიორგი ხვედელიძე, რომელიც სპეციალობით თერაპევტია, ირწმუნება, რომ ჩემს ძმას წამალი არ სჭირდება, რადგან ამ ეტაპზე მშვიდად არის და მედიკამენტს ავადმყოფი თავად არ ითხოვს. არადა წინა დღეს გიორგის მკურნალმა ექიმმა-ფსიქიატრმა წამლის მიტანა მთხოვა. ხვედელიძემ მითხრა, მომავალში მდგომარეობა თუ დამძიმდება, სასწრაფოს გამოვიძახებთ და მედიკამენტებსაც დავუნიშნავთო,"** - ამბობს ნინო მიქიაშვილი და ძმის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანას კვლავაც კატეგორიულად მოითხოვს.

*24 საათი*




უცხოეთი

## მცირეწლოვანთა ადგილსამყოფელი უცნობია

სამართალდამცველები ალთაის რესპუბლიკის ონგუდაის რაიონში უგზოუკვლოდ დაკარგულ ორ მცირეწლოვან ბავშვს ეძებენ. მათი მშობლები - 31 წლის ომსკელი ჟურნალისტი ალექსანდრ პეტროვი და მისი მეუღლე ალიონა, ონგუდაის რაიონში გასულ კვირას უცნობმა პირებმა მოკლეს.

რუსეთის შინგან საქმეთა მინისტრის რაშიდ ნურგალიევის განკარგულებით, საქმე განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი. უკვე ცნობილია, რომ ჟურნალისტის და მისი მეუღლის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს, თუმცა სხვა დეტალები ამ ეტაპზე არ ხმაურდება. პეტროვები 3 და 5 წლის ვაჟიშვილებთან ერთად ალთაის მთებში ისვენებდნენ. 13 აგვისტოს აღმოჩენილ ცოლ-ქმრის ცხედრებს აღენიშნებოდათ, როგორც ცეცხლსასროლი, ასევე ცივი იარაღით მიყენებული მრავლობითი ჭრილობები. მათი ადგილსამყოფელის მოშორებით იპოვეს "Mitsubishi"-ს მარკის მანქანა. წინასწარი მონაცემებით, დაკარგულია თანხა, ვიდეოკამერა და ზოგიერთი სხვა ძვირადღირებული ნივთი. ბავშვების ადგილსამყოფელი უცნობია. ალექსანდრ პეტროვი მუშაობდა გაზეთ "მოსკოვსკიე ნოვოსტის" კორესპონდენტად, ბოლო დროს კი ჟურნალ "არჩევანის უფლების" მთავარ რედაქტორად.

## ცნობილ რუს მსახიობს სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ

ცნობილი რუს მსახიობს, რუსეთის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარეს ალექსანდრ კალიაგინს სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ.

30 წლის უკრაინელი გოგონა აცხადებს, რომ კალიაგინმა იგი საკუთარ კაბინეტში გააუპატიურა. ამ განცხადების საფუძველზე მსახიობი პროკურატურაში დაიბარეს და ახსნა-განმარტება ჩამოართვეს.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, გამოძიება უკვე დაწყებულია. თავად კალიაგინი კი აღნიშნულ ფაქტზე კომენტარს არ აკეთებს.

ამ დროისთვის ცნობილია მხოლოდ ის, რომ მსახიობს პროკურატურის თანამშრომლები 2 საათის განმავლობაში კითხავდნენ.

## ამნისტია ჩეჩენი მებრძოლებისთვის

რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორის ნიკალაი პატრუშევის მიმართვის შემდეგ, ჩეჩნეთში მცხოვრებმა მებრძოლებმა იარაღი ნებაყოფლობით ჩააბარეს. ჩეჩნეთის შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, ჩეჩნეთში დღეისთვის 116 უკანონო შეიარაღებული ფორმირება მოქმედებს. პატრუშევის განცხადების შემდეგ (რომლის მიხედვითაც, ამნისტია შეეხება პირებს, რომლებიც სამართალდამცველებს იარაღს ჩააბარებენ) მილიციაში გამოცხადდა ექვსი პირი, რომლებმაც მილიციასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს. გარდა ამისა, მილიციას ნებაყოფლობით ჩაბარდა ოთხი "ბოევიკი", ჩეჩენი საველე მეთაურის მუსა დადაევის დაჯგუფების წევრები. ჩეჩნეთის შსს უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრებს მიმართავს თხოვნით, გამოცხადდნენ სპეციალურად შექმნილ შტაბში და ჩაეწერონ სიაში, რომელიც ამნისტიისთვის მზადდება.

## ნარკოკარტელის ლიდერი დაკავებულია

მექსიკაში დააკავეს 36 წლის ხავიერ არიელიანო ფელიქსი, ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ნარკოკარტელის თავკაცი, რომლის დაჯგუფებაც ამერიკასა და მექსიკაში მოქმედებდა.

აშშ-ს ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი დეპარტამენტის სპეციალური აგენტის სტივ რობერტსონის განცხადებით, "ნარკობარონის დაკავება უმნიშვნელოვანესი ფაქტია, რადგანაც ის იმოქმედებს დანაშაულებრივი ორგანიზაციის საქმიანობაზე და გამოიწვევს ნარკოკარტელის სერიოზულ დასუსტებას, არადა, ნარკომაფიის ბოსი არაერთ ნარკოოპერაციის გეგმავდა."

ფელიქსს ბრალდება ჯერ კიდევ 2003 წელს, დაუსწრებლად წაუყენეს და მას ინტერპოლი ეძებდა. ფელიქსის "თავი" ამერიკელ სამართალდამცველებს ხუთ მილიონ დოლარად ჰქონდათ შეფასებული.

სპეციალური აგენტის მაიკლ ბრაუნის ინფორმაციით, მათ მიიღეს ინფორმაცია, რომ ფელიქსი მექსიკის სანაპიროზე სათევზაოდ მიდიოდა, რის შემდეგაც საზღვრის დაცვის თანამშრომლებს მიმართეს ნარკობარონის დაკავების თხოვნით.

ბრაუნის განცხადებით, ადრე ნარკოკარტელს მეთაურობდნენ რამონების გვარის წარმომადგენლები - შვიდი ძმა და ოთხი და. ერთი ძმა ხავიერა რამონი პოლიციასთან მომხდარი შეტაკებისას დაიღუპა, მეორე ძმა ბენჯამენი მექსიკის ციხის პატიმარია. რამონების გვარის გადარჩენილი წევრები დაჯგუფების ლიდერობისთვის ხელსაყრელ კანდიდატებად არ მიიჩნიეს და ნარკოკარტელის თავკაცობა ფელიქსს ჩააბარეს. ფელიქსის ბანდა Arellano Felix-ი ამერიკასა და მექსიკაში ყველაზე სასტიკ დაჯგუფებადაა მიჩნეული, მათი წევრების მიერ განხორციელებულია 20-ზე მეტი მკვლელობა. Arellano Felix-ის ნარკოდაჯგუფება წლების მანძილზე გვერდს უმშვენებდა ისეთ ცნობილ მსხვილ ნარკოკარტელებს, როგორიცაა Gulf Cartel-ი და Federacion-ი.

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# კვამლი აბასთუმნის თავზე

პირველი გვერდიდან


"ცეცხლსაც ჩავაქრობთ, ამ გზასაც გავაკეთებთ, აბასთუმანსაც უკეთესად მივხედავთ".

კურორტ აბასთუმნის თავზე შავი კვამლი დღითიდღე უფრო მატულობს. გუშინ მთელი დღის განმავლობაში სტიქიის ზონის თავზე თურქული თვითმფრინავები დაფრინავდნენ და სპეციალურ ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარს აფრქვევდნენ. მითითებებს კომპანია "ბი-პის" უცხოელი სპეციალისტები იძლეოდნენ. მობილიზებული იყო ქვეითი ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურები, სტიქიის ზონაში 800-მდე ადამიანი მუშაობდა.

ხანძარსაწინააღმდეგო შტაბი დაბა აბასთუმანში შეიქმნა. იქ მთელი დღის განმავლობაში ირეოდნენ სამხარეო ადმინისტრაციისა და რაიონის გამგეობის წარმომადგენლები.

**"მთელი დღე ვმუშაობდით ადგილზე, ხეებს ვჭრიდით და ვყრიდით, რომ ხანძარი არ გავრცელებულიყო. აბასთუმნის მხარეს ცეცხლი ჩამქრალია, მაგრამ ახალციხისკენ ვრცელდება. მუშაობის დროს ჩემს გარშემო უცებ ცეცხლი ჩნდებოდა და თუ ბიჭი ხარ, ნუ გამოიქცევი..."** - ასე აღწერა ხანძართან ბრძოლა ვალის სახანძროს თანამშრომელმა გია ნადირაძემ.

თავდაპირველად ხანძარი ადიგენის რაიონის სოფელ საღრძის საძოვრების ზემოთ, ე.წ. შავლელის ნაწილში გაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლი ძლიერი იყო, მოვლენების ასე განვითარებას არავინ ელოდა. ადგილზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე სოფო ახობაზე ჩავიდა. პროგნოზი საკმაოდ დამაიმედებლი იყო, თუმცა ხანძრის ლოკალიზება მაინც ვერ მოხერხდა.

"დავიღუპეთ, ნამდვილად დავიღუპეთ," - ადგილობრივი მოსახლეობა თავის შეშფოთებას ძირითადად ამ სიტყვებით გამოხატავდა.

15 აგვისტოს ხანძრის ჩაქრობაში მოსახლეობასთან, სატყეო მეურნეობის მუშაკებთან ერთად უკვე თურქეთის მიერ გამოგზავნილი ორი თვითმფრინავიც ჩაერთო, რომლებიც სპეციალურ სითხეს ცეცხლმოკიდებულ ადგილებზე ასხამდნენ. დახმარება ასევე კომპანია "ბი-პი-მაც" გასწია. **"კომპანიამ ორი ბულდოზერი გამოჰყო. ერთის მეშვეობით ე.წ. ტრანშეა გაკეთდა, რომ ცეცხლის არეალი არ გავრცელებულიყო, მეორე ბულდოზერი კი მისასვლელი გზის გაკეთებაზე მუშაობს,"** - გვითხრა "ბი-პის" საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერმა დათო მღებრიშვილმა.

ჩატარებული სამუშაოების მიუხედავად, 15 აგვისტოსთვის ხანძრის ლოკალიზება ვერ მოხერხდა.

წახნის სატყეო უბანში ცეცხლის გაძლიერებასა და გადამწვარი ფართობების გაზრდას მესამე დღეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის დავით ტყეშელაშვილის ჩამოსვლა მოჰყვა.

მინისტრის თქმით, ხანძარმა უკვე 400-500 ჰექტარი მოიცვა. **"იმედი მაქვს, რომ დღეს დღის განმავლობაში თვითმფრინავების დახმარებით ამ სიტუაციას წელში გადავწყვეტთ. ეს არის ყველაზე დიდი ხანძარი უკანასკნელი წლების განმავლობაში. ყველა საშუალება იქნება გამოყენებული, რათა ცეცხლი ლოკალიზებულ იქნეს,"** - აცხადებდა გუშინ დავით ტყეშელაშვილი. მისი თქმით, ხანძართან ბრძოლის პროცესში ჩართულია გენერალური შტაბი, მიმდინარეობს დაზვერვითი სამუშაოები. **"ასეთ შედეგებს ნამდვილად არ ველოდით, ტემპერატურის გაზრდასთან ერთად ხანძრის გაძლიერება და ცეცხლის სხვა მიმართულებით გავრცელება მაინც მოხდა. ახლა დამოკიდებულები ვართ თურქეთზე,"** - განაცხადა მინისტრმა.

**"ტყის მასივი განადგურებულია და ეს შეიძლება გაათმაგდეს, მეტი ფართობი მოიცვას. ამასთან, რამდენიმე კილომეტრში აბასთუმნის დასახლებაა. თურქეთიდან სერიოზულად დაგვეხმარებიან. ჩართულია პრემიერ-მინისტრი. შესაძლებელია, ხანძრის ლოკალიზაცია დღესაც მოხდეს"**, - აცხადებს სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე შალვა ჯავახაძე.

17 აგვისტოს კი მდგომარეობა მართლაც საშიში გახდა. ხანძრის ჩაქრობა ოთხდღიანი მუშაობის მიუხედავად ვერ მოხერხდა. ცეცხლი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალს მიუახლოვდა. წახნის სატყეო უბანში, როგორც ადგილობრივებმა განაცხადეს, ცარიელი ხელებით მუშაობას აზრი არ ჰქონდა. ყურადღება მთლიანად ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალზე გადავიდა.

გუშინ აბასთუმანში პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩავიდა. **"დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ამ ხალხს, იმიტომ რომ შვიდასი ადამიანი დღე და ღამე გადის ტყეებში, ჭრის ხეებს და აკეთებს ზოლებს,"** - განაცხადა პრეზიდენტმა და იქვე ზოგიერთი საინფორმაციო საშუალება სიცრუის გავრცელებაში დაადანაშაულა. მისი თქმით, **"ხელისუფლება ეფექტურად მუშაობს, ეს ხალხი კი გმირია. აქ ბრიტანეთის სპეციალისტები და თურქეთის მთელი საჰაერო ძალებია მობილიზებული. გუშინ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა თვითონ მოგვცა ამაზე თანხმობა. დადიან და ყველაფერს აკეთებენ უმაღლეს დონეზე"**. მიხეილ სააკაშვილმა არც კურორტის განვითარების თემა დაივიწყა. **"გამოიარეთ, ყველამ ნახეთ, აბასთუმანში ისეთი გზა კეთდება, როგორიც არც მეფისა და არც კომუნისტების დროს არ ყოფილა. ცეცხლსაც ჩავაქრობთ, ამ გზასაც გავაკეთებთ, აბასთუმანსაც უკეთესად მივხედავთ. სიმართლეა, რომ ქართული სახელმწიფო არის ეფექტური და ძალიან მაგრად მუშაობს,"** - განუცხადა შეკრებილ მოსახლეობას ქვეყნის პირველმა პირმა.

დაბა აბასთუმანში დღესაც უამრავი დამსვენებელია. ჯერჯერობით პანიკა არ შეინიშნება, თუმცა ხანძრის გავრცელების შემთხვევაში ხალხი მზად არის, დაბა დატოვოს. მაგრამ აბასთუმნის გამგებელი ანტონ მერაბიშვილი ასეთ საშიშროებას ვერ ხედავს.

# შსკ-ს სხდომებს ევროკავშირი დააფინანსებს

პირველი გვერდიდან

როგორც ჩოჩიევი მიიჩნევს, 11-12 ივლისს დაგეგმილი შსკ-ს სხდომა თბილისმა განგებ ჩაშალა, რადგან იმ შეხვედრაზე ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების ერთობლივ გეგმაზე უნდა ემსჯელათ. მისივე მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ დღის წესრიგი მხარეებს შეთანხმებული ჰქონდათ, გუშინწინ ქართულმა მხარემ ახალი დღის წესრიგი შეიმუშავა, რომელშიც ერთობლივი გეგმის საკითხი შემდეგნაირად არის ფორმულირებული: მშვიდობიანი დარეგულირების პროგრამის რეალიზაციის გზები.

ჩოჩიევი გაკვირვებას გამოხატავს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ქართულმა მხარემ სხდომის დღის წესრიგი გაუგზავნა ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელს საქართველოში როი რივს, რუსულ და ოსურ მხარეს კი მხოლოდ ასლები გაუგზავნა, **"და ეს იმის გათვალისწინებით, რომ ეუთო საერთოდ არ არის კონფლიქტის მხარე. თბილისის მთავარი იდეა ოსეთის განიარაღებაში მდგომარეობს და ეს მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო თანამეგობრობა საქართველოს სწრაფ ტემპში შეიარაღებას ცდილობს. თუ საქართველოს მართლაც სურს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირება, მან უარი უნდა თქვას მხარეებისთვის მიუღებელი საკითხების დაყენებაზე,"** - აღნიშნა დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის ვიცე-პრემიერმა ჩოჩიევმა.

მისი თქმით, ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შესახებ ყველა გადაწყვეტილებას თბილისში კონფლიქტების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მერაბ ანთაძის, საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილის, შს მინისტრის ვანო მერაბიშვილისა და თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის შემადგენლობით ადამიანთა **" ძლიერი თავშეყრა"** იღებს, რომლებიც **"საკუთარ შეკრებებზე ქვეყნის პრეზიდენტს არც კი იწვევენ"**.

# სუამ-ის წევრი ქვეყნები ერთობლივ სამშვიდობო ბატალიონს შექმნიან

სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" სუამ-ის წევრი ქვეყნების თავდაცვის სამინისტროებისა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბების წარმომადგენლების შეხვედრა გაიმართა.

მასში ასევე სუამ-ის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. შეხვედრის მსვლელობისას მხარეებმა სუამ-ის ფარგლებში მომავალი სამხედრო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.

საკითხი ეხებოდა სუამ-ის წევრი ქვეყნების მიერ ერთობლივი სამშვიდობო ბატალიონის შექმნას, რომელსაც გაერო-ს, ეუთო-ს, ასევე ნატო-სა და ევროკავშირის მანდატით მიმდინარე სამშვიდობო და ჰუმანიტარულ ოპერაციებში ჩართვის და ერთობლივი მონაწილეობის მიღების საშუალება ექნება.

სუამი-ს წევრი ქვეყნების ერთობლივი სამშვიდობო ბატალიონის შექმნით, სუამ-ის 2005 წლის კიშინიოვის სამიტისა და სუამ-ის 2006 წლის კიევის სამიტის გადაწყვეტილებათა რეალიზაცია მოხდება, რაც სამხედრო სფეროში, მათ შორის სამშვიდობო საქმიანობის კუთხით თანამშრომლობას გულისხმობს.

სუამ-ის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები ერთობლივი სამშვიდობო ბატალიონის შექმნის საკითხზე უკვე მეორედ შეიკრიბნენ. პირველი შეხვედრა უკრაინაში, ივანისში გაიმართა. **ინტერპრესნიუსი**




# დასაქმების ახალი პროექტი

*განათლების რეფორმის ერთ-ერთი მიმართულება პროფესიული სასწავლო ცენტრების შექმნაა. პროგრამა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ხორციელდება. ეს პროფტექნიკუმების მსგავსი სასწავლო დაწესებულებებია, სადაც მოსწავლეებს სხვადასხვა ხელობას ასწავლიან. განსხვავება ისაა, რომ სწავლების პროგრამას ამერიკელი ექსპერტები ადგენენ, სასწვლებლის სტუდენტებს სტიპენდია 50 ლარი და სასწავლებლის დასრულების შემდეგ სამუშაო ადგილი გარანტირებული ექნებათ.*

ეკა ჭანაშია

სულ პროფესიული ცენტრების რეაბილიტაციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3 მილიონ 960 ათას 940 ლარის დახარჯვა იგეგმება. უკვე კარგა ხანია ქართველი მეწარმეები ჩივიან, რომ კვალიფიციური კადრების პრობლემა აქვთ. არ არსებობს კვალიფიციური მუშახელი, რომელიც სხვადასხვა საწარმოებში იმუშავებს. სამშენებლო ბაზარი კვალიფიციური მლესავების, სანტექნიკოსების, მშენებლების, ელექტრიკოსების დეფიციტს განიცდის. "ცენტრ პოინტის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ერთხელ საჯაროდ ისიც კი განაცხადა, რომ პროფესიონალ სანტექნიკოსებს კონკურენტი ფირმები ერთმანეთს ათხოვებენ, იმდენად მცირეა ამ სპეციალისტთა რაოდენობა. პრეზიდენტის ახალი ეკონომიკური ინიციატივის განსახორციელებლად საქართველოში გრძელვადიანი ვიზიტით პროფესიული განათლების ამერიკელ ექსპერტთა ჯგუფი იმყოფება. ქართველი მეწარმეებიც მზად არიან პროფესიული ცენტრების აღჭურვასა და განვითარებაში ფინანსური მონაწილეობის მისაღებად.

გუშინ განათლების მინისტრი კახა ლომაია აშშ-ს ოკლაჰომას შტატის ტექნოლოგიური განათლების დეპარტამენტის ექსპერტებთან ერთად რუსთავის პროფესიული ცენტრში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების დასათვალიერებლად ჩავიდა. მისი სრული რეაბილიტაციისთვის 889 243 ლარია გამოყოფილი. რუსთავის სასწავლო ცენტრი სტუდენტებს სამშენებლო სპეციალობებში მოამზადებს.

განათლების მინისტრი ამერიკელ ექსპერტებთან ერთად რუსთაველ მეწარმეებსა და ბიზნესმენებსაც შეხვდა, სადაც პროფესიული ცენტრების განვითარების სრულიად ახალი პერსპექტივა გამოიკვეთა - რუსთავის საწარმოების ხელმძღვანელებმა და მეწარმეებმა პროფესიული განათლების პროგრამაში ფინანსური მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვეს. ისინი მზად არიან, ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულები საკუთარ საწარმოებში დაასაქმონ. გარდა ამისა, მეწარმეები თანამედროვე სასწავლო გეგმების განახლებაშიც მიიღებენ მონაწილეობას. *"ფოლადი -2001"-ის გენერალური დირექტორი გიორგი ლეჟავა:* **"მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში დასაქმების პრობლემაა, ქართველი მეწარმეები კადრების დეფიციტს განვიცდით. ჩვენ მზად ვართ, მონაწილეობა მივიღოთ ამ ცენტრების მატერიალურ-ტექნიკური განახლებაში და თანადაფინანსებაში"**. ამერიკელი ექსპერტების თქმით, დამსაქმებლებთან ამგვარი შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ახალი სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები სწორედ მათი სურვილებისა და მოთხოვნების შესაბამისად შეიქმნება.

**"პრეზიდენტის ახალი ეკონომიკური ინიციატივის განხორციელება დაიწყო. მეწარმეები, პროფესიული განათლების ცენტრები და ჩვენი ამერიკელი კოლეგები იწყებენ პროგრამას, რომლის მიზანია ათასობით კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი ახალგაზრდის მომზადება, ყველაზე დეფიციტურ და ყველაზე მაღალანაზღაურებად პროფესიებში, რომლებიც დღეს ქართულ ბიზნესს და ქართულ წარმოებას სჭირდება. პროფესიული განათლების ცენტრები, ე.წ. ამერიკული სკოლები შემოდგომაზე ამოქმედდება. წელს ათი სკოლა გაიხსნება, აქედან ერთი რუსთავში, მომავალი წლისთვის კი კიდევ ათი მსგავსი სკოლა ამოქმედდება. ცენტრები წელიწადში 8 000 კვალიფიციურ მუშახელს მოამზადებს. თითო ცენტრში, თავდაპირველად, 400 ახალგაზრდას მიიღებენ. მათი შერჩევა კი ტესტირების საფუძველზე მოხდება. ცენტრის სტუდენტები 50 ლარის ოდენობის სახელმწიფო სტიპენდიასაც მიიღებენ. ამასთანავე, მათი სწავლის ხარჯებს სახელმწიფო დააფინანსებს. სახელმწიფო და მისი საგანმანათლებლო პროგრამები მეწარმეთა დაკვეთას შეასრულებენ, რის შედეგადაც ათასობით მაღალკვალიფიციური ადამიანი დასაქმდება,"** - განაცხადა ლომაიამ შეხვედრის დასრულების შემდეგ.

შეხვედრას რუსთაველ მეწარმეებთან ქვემო ქართლის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებული ზურაბ მელიქიშვილიც ესწრებოდა. მისი განცხადებით, **"პროფესიული განათლების ცენტრები არ არის და არ იქნება ცალკე აღებული კუნძული ამ საერთო საქმეში. პრეზიდენტის ინიციატივას ძალზე ბევრი მეწარმე გამოეხმაურა. ისინი მზად არიან პროექტში ჩაერთონ არა მარტო საკუთარი ბაზების გამოყენებით, არამედ ფინანსური დახმარებაც გაუწიონ ამ პროექტს"**.

გუშინ კახა ლომაიამ ამერიკელებთან ერთად სოფელ კაჭრეთის პროფესიული ცენტრიც მოინახულა. 21-22 აგვისტოს განათლების სამინისტროში პროფესიული უმაღლესი განათლების რეფორმისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართება.

# ცესკო-ს ვებგვერდზე ამომრჩეველთა სიები გამოქვეყნდა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე უკვე გამოქვეყნდა იმ ამომრჩეველთა სიები, რომლებიც თვითმმართველობის არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, დაათვალიეროს ვებ-გვერდი და გადაამოწმოს, არის თუ არა მისი გვარი ამომრჩეველთა სიაში.

"თუ მოქალაქე გამოქვეყნებულ სიაში თავის თავს ვერ აღმოაჩენს, ამ შემთხვევაში მან უნდა მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიას და რეგისტრაცია იქ გაიაროს. იმ შემთხვევაში კი, თუ მოქალაქემ არ იცის, რომელ საუბნო კომისიას უნდა მიმართოს, ცესკო-ს ცხელი ხაზი დაეხმარება," - აცხადებენ ცესკოში.

მათივე განმარტებით, ცხელი ხაზი იმ მოქალაქეებსაც დაეხმარება, რომლებსაც ინტერნეტზე ხელი არ მიუწვდებათ და არ აქვთ საშუალება, სიაში თავი გადაამოწმონ.

ცხელი ხაზი 24-საათიან რეჟიმში მუშაობს და საქართველოს ნებისმიერი რაიონიდან განხორციელებული ზარი უფასოა. მოქალაქეებმა, რომლებსაც საკუთრი თავის შესახებ ინფორმაციის გადამოწმება სჭირდებათ, უნდა დარეკონ ნომერზე: 42 42 42.

*ინტერპრესნიუსი*

# ვეტერანთა საყურადღებოდ

ნონა მაისურაძე

პირველი აგვისტოდან ყველა იმ ვეტერანს, რომელსაც ხელახალი რეგისტრაცია არ გაუვლია ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტში, შეუჩერდება პენსიის ჩარიცხვა. თუმცა, ხელახალი რეგისტრაციის შემთხვევაში, ისინი პენსიას უპრობლემოდ მიიღებენ. სამხედრო ძალების ვეტერანთა რაოდენობა საქართველოში 67000-ია, ხოლო ვისაც რეგისტრაცია არ გაუვლია, მათი რაოდენობა 21075-ია. ამ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში გენერალურმა დირექტორმა ზაზა სოფრომაძემ პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენციას ესწრებოდნენ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნინო ოკრიბელაშვილი და ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის უფროსი ნუკრი ცაგარეიშვილი.

საქართველოს სამხედრო ძალების ვეტერანები 1 აგვისტოდან ველარ ისარგებლებენ ვეტერანების დამადასტურებელი ძველი დოკუმენტებით. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 17 დეკემბრის N 1058 ბრძანებულებით, დამტკიცდა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის დამადასტურებელი პირადობის ახალი მოწმობის ნიმუშები.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების მოწმობებს იურიდიული ძალა 2006 წლის 1 აგვისტოდან დაეკარგათ.

საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობებს "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ პირებზე გასცემენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები - ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი და მისი ტერიტორიული ორგანოები.

ის ვეტერანები, რომელთაც ვერ დაუდასტურდებათ ვეტერანობის სტატუსი, უფლება აქვთ მიიღონ სოციალური პენსია.

მოკლედ

## თბილისში ზოგიერთი პროდუქტი მნიშვნელოვნად გაძვირდა

თბილისში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 11 აგვისტოდან 17 აგვისტომდე 100,01 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 100,17 პროცენტი იყო.

ეს ინდექსი ასახავს 51 დასახელების საქონლისა და მომსახურებისგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას.

წინა კვირასთან შედარებით, ფასების საერთო დონე 0,01 პროცენტით გაიზარდა. მათ შორის სასურსათო საქონელზე - 0,02 პროცენტით და არასასურსათო საქონლზე - 0,01 პროცენტით; ამასთან, მომსახურების ტარიფები უცვლელი დარჩა.

გასულ კვირასთან შედარებით, ფასები გაიზარდა კიტრზე (21.3 პროცენტით), კვერცხზე (15.4 პროცენტით), ხახვზე (2.8 პროცენტით), ქათმის ბარკლებზე (1.0 პროცენტით);

ამასთან, ფასები შემცირდა სტაფილოზე (14,8 პროცენტით), ჭარხალზე (6.9 პროცენტით), კარტოფილზე (6.1 პროცენტით), პომიდორზე (2.7 პროცენტით) და ვაშლზე (1.9 პროცენტით).

წინა კვირასთან შედარებით, ფასები გაიზარდა დიზელის საწვავზე (0.7 პროცენტით). **მედიანიუსი**

## ახალი საბაჟო ტარიფები ევროპული საქონლის შემოტანას წაახალისებს

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის წევრი ზურაბ ცქიტიშვილი იმედოვნებს, რომ ახალი შემცირებული საბაჟო განაკვეთები ხელს შეუწყობს მაღალი ხარისხის ევროპული საქონლის შემოტანას და დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსულ ნედლეულს ჩაენაცვლება.

როგორც ცქიტიშვილმა განაცხადა, მოსალოდნელია, რომ ახალი ტარიფების ამოქმედების შემდეგ ქართული სამეწარმეო ინტერესები ევროპის ბაზარზე გადაინაცვლებს და ამ ურთიერთობას 12-პროცენტიანი საბაჟო გადასახადის სახით ზედმეტი ხარჯი მოეხსნება. **"ადგილობრივი მწარმოებლები შეეცდებიან, ნედლეულის მომწოდებლები დასავლეთის ბაზრებზე მოძებნონ და თვითონაც უკეთესი პროდუქცია გამოუშვან,"** - დარწმუნებულია ცქიტიშვილი. მისივე შეფასებით, საბაჟო ტარიფების ლიბერალიზაცია სწორი გადაწყვეტილებაა და ცოტა დაგვიანებულიც კია.

**"რუსეთთან, უკრაინასთან, სომხეთთან და დსთ-ს ბევრ სხვა ქვეყანასთან, დიდი ხანია, ნულოვანი სავაჭრო რეჟიმი გვაქვს. ამ დროს ევროპიდან შემოტანილი პროდუქტი აქამდე 12-პროცენტიანი განაკვეთით იბეგრება. ეს უსამართლობაა. გამოდის, რომ ჩვენ უპირატესობას ვანიჭებდით დსთ-ს ქვეყნების პროდუქტს, რომელიც ხშირ შემთხვევაში უხარისხოა და ევროპულთან ვერც სანიტარული უსაფრთხოების თვალსაზრისით და ვერც ხარისხით ახლოს ვერ მივა. ამიერიდან დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსულ ნედლეულს მაღალი კლასის ევროპული საქონელი ჩაენაცვლება,"** - მიიჩნევს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის წევრი.

საბაჟო ტარიფების ახალი, შემცირებული განაკვეთები 1 სექტემბრიდან შევა ძალაში. რამდენიმე ათეული განაკვეთის ნაცვლად, იმპორტიორებს მხოლოდ სამი - 12, 5 და 0-პროცენტიანი საბაჟო გადასახადის გადახდა მოუწევთ. საბაჟო გადასახადი მთლიანად განულდება პროდუქციის დიდ უმრავლესობაზე, მათ შორის: მანქანა-დანადგარებზე, ხე-ტყეზე, ყავასა და საფუარზე, რძის ფხვნილზე, კაკაოზე, ცოცხალ თევზზე, ცოცხალ ხეებსა და სხვა მცენარეებზე, ყველა სახის თესლზე და სათესლე მასალაზე, ფოტო და კინო საქონელზე, აბრეშუმის, ბამბისა და მატყლის ქსოვილის ნედლეულზე, დაუმუშავებელ ტყავზე, ნატურალურ და ხელოვნურ ბეწვზე, იარაღსა და საბრძოლო მასალებზე, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, ყველა სახის საათებზე, სათამაშოებზე და სპორტულ ინვენტარზე.

საბაჟო ტარიფი უნდა გაუქმებულიყო ხორბლის ფქვილსა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებზე (ჩაი, ხილის წვენები), მაგრამ ხელისუფლებამ ადგილობრივ მეწარმეთა და დეპუტატთა ერთ ნაწილს, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ იმპორტზე გადასახადის გაუქმება აგრარულ სექტორს მძიმე დარტყმას მიაყენებდა, ანგარიში გაუწია და 12-პროცენტიანი საბაჟო გადასახადი დროებით დატოვა. 12 და 5-პროცენტიანი განაკვეთი წლის ბოლომდე დარჩება სამშენებლო მასალებსა და ზოგიერთი სახის მზა პროდუქტზეც. შემდეგ ეს ტარიფები ეტაპობრივად შემცირდება, 2007 წლის იანვრიდან 12-პროცენტიანი განაკვეთი 5 პროცენტამდე დაიწევს, 5-პროცენტიანი უცვლელი დარჩება, ხოლო 2008 წლიდან 5-პროცენტიანი განაკვეთიც განულდება. **ინტერპრესნიუსი**

## "საქართველოს სადაზღვევო კომპანიამ" 15 000 ლარის ზარალი აანაზღაურა

"საქართველოს სადაზღვევო კომპანიამ" 2006 წლის პირველ ნახევარში 171 ათასი ლარი მოიზიდა. **"მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კომპანიის მიერ მოზიდული დაზღვევის ჯამური პრემიის მოცულობა 58 000-ით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს,"** - განაცხადა დაზღვევის ზედამხედველობის სამმართველოს უფროსმა ავთო ავლოხაშვილმა.

კომპანიის მიერ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ანაზღაურებული ზარალი ოდენობამ 15 000 ლარი შეადგინა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში "საქართველოს სადაზღვევო კომპანიამ 9 213 ლარის ზარალი აანაზღაურა. საქართველოს ბაზარზე მოქმედ 16 კომპანიას შორის "საქართველოს სადაზღვევო კომპანია" მე-11 პოზიციაზეა.

2006 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, საქართველოს სადაზღვევო კომპანიისთვის ქონების დაზღვევის პრემიებმა 46 900 ლარი შეადგინა, ხოლო ამ მიმართულებით ანაზღაურებულია 131 100 ლარის ზარალი.

2006 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, სადაზღვევო კომპანიის მიერ მოზიდული ჯამური პრემია 36,5 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო ანაზღაურებულია 9. 800 მლნ ლარის ზარალი. **ჯიბისი**

## "ჯიპიაი ჰოლდინგის" გაყიდვების 60 პროცენტი კორპორატიულ დაზღვევაზე მოდის

საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო კომპანია "ჯიპიაი ჰოლდინგის" მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული პროდუქტებიდან საცალო ბაზარზე განსაკუთრებული პოპულარობით ავტომობილების და ჯანმრთელობის დაზღვევა სარგებლობს. ამის შესახებ "ჯიპიაი ჰოლდინგის" წარმომადგენელმა სანდრო კიკნაძემ განაცხადა.

როგორც სანდრო კიკნაძე განმარტავს, "ჯიპიაი ჰოლდინგის" სადაზღვევო პორტფელში ჯანმრთელობის დაზღვევას 52,5% უკავია, 21,5% -- ავტოდაზღვევას, ხოლო 16% -- ქონების დაზღვევას, საპენსიო დაზღვევის წილი კი 4%-ს შეადგენს.

როგორც კომპანიაში განმარტავენ, კომპანიის გაყიდვების 60%-მდე კორპორატიულ დაზღვევაზე მოდის.

2006 წლის პირველი ნახევრის შედეგებით, "ჯიპიაი ჰოლდინგის" მიერ ჯამურად მოზიდულმა პრემიამ 8,183,617 ლარი შეადგინა. კომპანიის ინდივიდუალურმა ბაზრის წილმა 22,5% შეადგინა. კომპანია "ირაოსთან" ერთად ჯამური ბაზრის წილი 28,2%-ია, რაც ამ 2 კომპანიას სიდიდით პირველ სადაზღვევო ჯგუფად აქცევს საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე.

"ჯიპიაი ჰოლდინგის" მიერ 2006 წლის 6 თვის განმავლობაში გადაზღვევაზე ჯამურად გადახდილია 1,873,408 ლარი. მისი ძირითადი პარტნიორები ამ მიმართულებით არიან: Munich Re, Hannover Re, SCOR Re.

"ჯიპიაი ჰოლდინგი" 2001 წლის 8 მაისს დაარსდა. ამჟამად კომპანიაში 52 ადამიანია დასაქმებული. კომპანიას სათაო ოფისის გარდა, აქვს 2 რეგიონული ფილიალი. ამას გარდა, კომპანიის სადაზღვევო პროდუქტები იყიდება "თიბისი ბანკის" ფილიალების მეშვეობით. **ჯიბისი**

**გაეროს განვითარების პროგრამა**

UNDP

გაეროს განვითარების პროგრამა აცხადებს ტენდერს სარემონტო სამუშაოებზე. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა დაინტერესებულ სამშენებლო/სარემონტო კომპანიებს. სატენდერო პაკეტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2006 წლის 01 სექტემბერი 18:00 საათი. შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაცია იხილეთ შემდეგ მისამართზე: www.undp.org.ge

# "საინვესტიციო ბუმი პირველი სექტემბრიდან დაიწყება"

პირველი გვერდიდან

აზერბაიჯანისა და საქართველოს სამთავრობოთაშორისო შეხვედრაზე ორივე მხარის ეკონომიკური გუნდი თითქმის სრული შემადგენლობით იყო წარმოდგენილი. შეხვედრაზე განხილული იყო რიგი ეკონომიკური საკითხები, რაც ორივე მხარისათვის მნიშვნელოვანია, კერძოდ, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, ინვესტიციები, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები.

ერთადერთი კონკრეტული საკითხი, რომელიც ბათუმში მხარეთა ხელმოწერით დასრულდა, საქართველოს აზერბაიჯანის მიმართ 17 მილიონი დოლარის საგარეო ვალის რესტრუქტურიზაციაა. შეთანხმებას ხელი ორი ქვეყნის ფინანსთა მინისტრებმა, ლექსო ალექსიშვილმა და სამირ შაფიროვმა მოაწერეს. **"აზერბაიჯანთან ჩვენ დღეს არსებული 17 მილიონი დოლარის ოდენობით დავალიანების რესტრუქტურიზაცია მოვახდინეთ. ეს პარიზის კლუბის ვალების რესტრუქტურიზაციის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს. ჩვენ 2004-2006 წლებში გადასახდელი თანხის რესტრუქტურიზაცია 2025 წლამდე პერიოდისათვის გაგვიგრძელდა,"** - განაცხადა ალექსიშვილმა.

ბათუმში, სასტუმრო "ინტურისტში" ორი ქვეყნის სამთავრობო დელეგაცია ბიზნესფორუმს დაესწრო. ფორუმზე, რომელსაც ორი ქვეყნის ბიზნესმენები ესწრებოდნენ, მათ სიტყვით პრემიერ-მინისტრებმა მიმართეს და აღნიშნეს, რომ საქართველოში ახლა მნიშვნელოვნად ვითარდება ეკონომიკა. ეს კი იმის საწინდარია, რომ ქართულ ეკონომიკაში ინვესტიციების დაბანდება შესაძლებელია. ამ მხრივ აზერბაიჯანულმა მხარემ პირველი სერიოზული ნაბიჯი გადადგა. ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, საქართველოში ინვესტიციის დაბანდებას იწყებს აზერბაიჯანის "საერთაშორისო განვითარების ბანკი". **"ჩვენთან შემოდის ბანკი, რომელიც აზერბაიჯანის ფინანსების 75 პროცენტს აკონტროლებს. ეს არის მაგალითი იმისა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს აქვთ ერთიანი ეკონომიკური არეალი,"** - განაცხადა ნოღაიდელმა.

შეხვედრის შემდეგ აზერბაიჯანის "საერთაშორისო განვითარების ბანკის" მმართველის მოადგილემ, ასკერ მამედოვმა განაცხადა, რომ უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, ამ ბანკის მიერ საქართველოში ფილიალის გახსნის შესახებ.

ბიზნესფორუმზე საქართველოს ეკონომიკის განვითარების მინისტრმა, ირაკლი ჩოგოვაძემაც გააკეთა განცხადება და თქვა, რომ მალე საქართველოში ეკონომიკის განვითარების ნამდვილი ბუმი დადგება: **"საქართველო შევიდა GSP+ პროექტში, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოდან ევროპაში შეტანილ საქონელზე არ მოხდება საბაჟო გადასახადის გადახდა. საქართველო არის იმ ორ ქვეყანას შორის, რომელმაც ევროკავშირისაგან ეს წინადადება მიიღო. 1 სექტემბრიდან ჩვენ შეგვიძლია ევროკავშირში 7200 სახის საქონელი შევიტანოთ და გამოვიტანოთ. პირველი სექტემბრიდან საქართველოში დაიწყება საინვესტიციო ბუმი. ჩვენ გვინდა და გვაქვს სურვილი, რომ ამ ბუმში ჩვენმა აზერბაიჯანელმა პარტნიორებმაც მიიღონ მონაწილეობა"**.

გუშინ საღამოს, საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი სამთავრობოთაშორისო კომისიის სხდომა ურთიერთშეთანხმებათა მემორანდუმზე ხელმოწერით დასრულდა. ხელმოწერის შემდეგ ორივე ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა პრესის წინაშე სამუშაო შესვედრის შესახებ ისაუბრეს. შემაჯამებელი ინფორმაცია საქართველოს პრემიერმა, ზურაბ ნოღაიდელმა გააკეთა: **"ჩვენი მოლაპარაკების ძირითადი საგანი იყო ენერგეტიკის დარგში თანამშრომლობა. ჩვენ გვაქვს მოლაპარაკება აზერბაიჯანული გაზის მოწოდებაზე და ეს შემდგომშიც გაგრძელდება ენერგეტიკის მინისტრების დონეზე. ჩვენ ასევე ვმუშაობთ სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებაზე. ეს იქნება თურქეთის გავლით ევროპასთან დაკავშირება თუ აზერბაიჯანის გავლით შუა აზიასთან და ჩინეთთან. მიმდინარეობს მუშაობა თბილისი-ახალქალაქი-ყარსის სარკინიგზო გზის მშენებლობასთან დაკავშირებით. საპროექტო სამუშაოებსა და ფინანსური მხარის მოგვარებაზე მოლაპარაკება მალე დასრულდება. პროექტს სამი ან ოთხი მხარე დააფინანსებს. ჩვენ ეს საკითხი კიდევ ერთხელ განვიხილეთ და იგი ექსპერტებისა და შესაბამისი უწყებების დონეზე მუდმივი განხილვის საგანი იქნება".**

**"ეს პროექტები, რომლებიც აქ განვიხილეთ, მნიშვნელოვანია არა მარტო ჩვენი სახელმწიფოებისათვის, არამედ მთელი რეგიონისა და საერთაშორისო საზოგადოებისათვის. რაც შეეხება რკინიგზის პროექტს, ის მართლაც ძალიან დიდ დატვირთვას იძენს, რადგან იგი ჩინეთს ევროპასთან დააკავშირებს. მით უმეტეს, რომ 2008 წლისათვის თურქეთი ბოსფორს ქვემოთ გვირაბის მშენებლობას დაასრულებს. თქვენ წარმოიდგინეთ, რა კომუნიკაციები განვითარდება მას შემდეგ!"** - განაცხადა აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრმა არტურ რასი-ზადემ.

აზერბაიჯანელმა სტუმრებმა ბათუმში ვიზიტისას დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობები. საღამოს სასტუმრო "ინტურისტში" მათთვის ქართული ღვინის დეგუსტაცია მოეწყო.

# ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მიმართ ინტერესი სულ უფრო იზრდება

*ოფიციალური ირანი და რუსული კომპანიები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენთან მიერთების სურვილს გამოთქვამენ. აზერბაიჯანული მხარე არ ჩქარობს და აცხადებს, რომ მილსადენის სიმძლავრის გაზრდაზე საუბარი ამ ეტაპზე გვიანია. არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ასევე "საუკუნის პროექტს" უკავშირდება: უკრაინის სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის იური ბოიკოს განცხადებით, ნავთობსადენი "ოდესა-ბროდი-პლოცკის" ბედი "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობსადენზეა დამოკიდებული, რომელიც არსებული სიმძლავრეების გათვალისწინებით მუშაობას მხოლოდ 2008 წლისთვის შეძლებს. შესაბამისად, პროექტი მხოლოდ "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" სრულად დატვირთვის შემდეგ ამოქმედდება.*



**"მილსადენზე სხვა კომპანიების მიერთების საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა. ნავთობსადენის სიმძლავრე მკაცრად განსაზღვრულია. კერძოდ, ნავთობის დღიური მაქსიმუმი, რაც მილის საშუალებით უნდა გავიდეს, 1,8 მილიონი დოლარია. სხვა სიმძლავრეს სადენი ვერ გაუძლებს,"** - აცხადებს აზერბაიჯანის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრი ნატიკ ალიევი. მისივე თქმით, 2008 წლისთვის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საშუალებით, აზერბაიჯანში ნავთობის წლიური მარაგი 50 მილიონ ტონას გადააჭარბებს.

თუმცა ნატიკ ალიევი დაინტერესებული რუსული კომპანიების დასახელებისგან თავს იკავებს. როგორც თავად აღნიშნა, სადენის სიმძლავრის გაზრდაზე საუბარი უკვე გვიანია.

ამასთან, შესაძლოა, "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობსადენში ირანიც ჩაერთოს. აზერბაიჯანში ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩის აფსარ სულეიმანის განცხადებით, აღნიშნული საკითხის განსახილველად უახლოეს დღეებში ბაქოში ირანის დელეგაცია ჩავა. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, დელეგაცია ენერგეტიკული თანამშრომლობისა და აზერბაიჯანში ირანული გაზისა და ნავთობის იმპორტის საკითხებს განიხილავს.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ირანიდან ენერგორესურსების მოწოდების პერსპექტივები "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობსადენს მნიშვნელობას მატებს. მით უფრო, რომ მისი სრული მოცულობით დასატვირთად ამ დროისათვის ყაზახეთსა და აზერბაიჯანს არასაკმარისი მარაგები აქვთ. ხოლო ირანისათვის აღნიშნული მარშრუტი საკუთარი ენერგორესურსების მსოფლიო ბაზარზე იმპორტირების ყველაზე იაფიანი და მომგებიანი მარშრუტი იქნება.

აქვე ინფორმაციისთვის, საქართველოს სახელმწიფო ხაზინაში ქვეყნის ხელისუფლებასა და კომპანია "ბი-ტი-სი კო"-ს შორის საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში 11 მილიონი დოლარი ჩაირიცხა. "ბი-ტი-სი კო" ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განმახორციელებელი კომპანიაა, ხოლო მისი ოპერატორი კომპანია "ბი-პია".

საქართველოს ხელისუფლებამ და "ბი-ტი-სი კო"-მ საქართველოსთვის გრანტების გადაცემის ახალი პროგრამის შესახებ შეთანხმებას ხელი 2004 წლის ოქტომბერში მოაწერეს. უკვე 2006 წლის 26 ივლისს განახლებული საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის თანახმად, ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო განსაზღვრავს ხარჯების პუნქტს, რომელსაც "ბი-ტი-სი კო" დააფინანსებს. ხარჯების შესახებ ინფორმაცია კომპანიას წერილობითი სახით მიეწოდება.

პროგრამის მთლიანი დაფინანსება 2010 წლამდე 40 მილიონ დოლარს შეადგენს. 2010 წლის შემდეგ კი ნავთობსადენის ექსპლუატაციის დამთავრებამდე ყოველწლიურად 1 მილიონი დოლარი გამოიყოფა. საქართველოს მთავრობამ 9 მილიონი დოლარის ოდენობის პირველი ტრანში 2005 წელს მიიღო, მიმდინარე წელს კი ტრანში 15 მილიონ დოლარს შეადგენს.

რაც შეეხება ზემოთხსენებულ მეორე საკითხს, უკრაინის ენერგეტიკის მინისტრის განცხადებით, ყაზახეთის მიერ მოპოვებული ნავთობის მოცულობა - 10-12 მილიონი ტონა წელიწადში და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის გამტარუნარიანობის მოცულობა - 50 მილიონი ტონა, არაადეკვატურია. ამიტომაც, პირველ რიგში, აღნიშნული მილსადენის სრული დატვირთვა უნდა მოხდეს, რაც 2008 წლამდე შეუძლებელი იქნება და მხოლოდ "ოდესა-ბროდის" მილსადენის სრულყოფილი ამუშავების შემდეგ გახდება შესაძლებელი.

კომპანია "TNK-BP უკრაინას" "ოდესა-ბროდის" ნავთობსადენით 6 მილიონი ტონა ნავთობის გატარება აქვს გადაწყვეტილი.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საქართველოსთვის "ოდესა-ბროდი-პლოცკის" პროექტში ჩართვა უფრო მომგებიანი იქნება, ვიდრე "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" პროექტში. არგუმენტად კი საქართველოში მაგისტრალის სიგრძე (რომელიც უფრო მეტი იქნება, ვიდრე უკვე განხორციელებული პროექტის შემთხვევაში), მშენებლობის პროცესში შესაბამისი ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა და ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინების შესაძლებლობები სახელდება.

ექსპერტების თქმით, ევროპის დაინტერესება პროექტის განხორციელებით სულ უფრო აქტუალური ხდება და უახლოესი თვეების განმავლობაში ამ მიმართულებით სერიოზული მუშობა დაიწყება.

ექსპერტები საქართველოს მოლაპარაკებების პროცესში მეტ აქტიურობას ურჩევენ, მით უფრო, რომ ამ საკითხის აფხაზეთის პრობლემასთან მიბმა სავსებით რეალურია, და შესაძლებელია, ეფექტური აღმოჩნდეს.

*24 საათი*

# აზერბაიჯანი მზადაა, საქართველოს დამატებითი მოცულობის გაზი მოაწოდოს

*დღეს ბათუმში ქართულ-აზერბაიჯანული შეხვედრები სრულდება. ბაქო-თბილისი-ერზერუმიდან მისაღები ბუნებრივი აირის მოცულობა - ეს ის უმთავრესი საკითხი იყო, რომლის საბოლოოდ გარკვევას საქართველოს მთავრობა სწორედ ამ შეხვედრებიდან ელოდა. შეთანხმება, პრაქტიკულად, მიღწეულია, თუმცა გაზის საფასური აზერბაიჯანის მიერ საკუთარი ენერგობალანსის დამტკიცების შემდეგ გაირკვევა.*

ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენიდან საქართველოს მიერ აზერბაიჯანული გაზის დამატებითი მოცულობის მიღებაზე აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრმა არტურ რასი-ზადემი თავის ქართველ კოლეგას პირისპირ ესაუბრა. აქამდე გაფორმებული კონტრაქტით საქართველოს წელიწადში 250 მლნ კუბ/მეტრი გაზის მიღება შეუძლია, ხოლო ამჟამად მოლაპარაკებებს წელიწადში 1,2-1,5 მლრდ კუბური მეტრის მიღებაზე აწარმოებს. გაურკვეველია ბუნებრივი აირის ფასი, რომელსაც აზერბაიჯანული მხარე საკუთარი ენერგობალანსის დამტკიცების შემდეგ დაასახელებს.

ამ საკითხზე მოლაპარაკება პროექტის პარტნიორ სახელმწიფოებთან, უკვე წელიწადნახევარია, მიმდინარეობს. საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისადმი საქართველოს ხელისუფლების მოლოდინს ისიც ამყარებდა, რომ თურქეთი ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენიდან ბუნებრივი აირის მისაღებად ტექნიკურად ჯერჯერობით მზად არ არის. **"თურქეთის მონაკვეთზე ჯერ არ აშენებულა საკომპრესო სადგური. მისი მშენებლობის დასრულებას, სულ მცირე, ერთი წელი მაინც დასჭირდება. ვიმედოვნებთ, რომ თურქეთის კვოტა ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის განაწილდება, შემდეგ პერიოდში კი გაზმოპოვება ისედაც უნდა გაიზარდოს,"** - აცხადებდა მინისტრი.

ამჟამად საქართველოს მოხმარება წელიწადში 1.8 მილიარდი კუბური მეტრია, თუმცა, როგორც ენერგეტიკის სამინისტროში ვარაუდობენ ძალიან მალე ეს მაჩვენებელი 2 მილიარდამდე გაიზრდება.

სამთავრობათშორისო შეხვედრების პარალელურად ჩატარდა ბიზნესფორუმი, სადაც ქართველ ბიზნესმენებთან ერთად 15-მა მსხვილმა აზერბაიჯანულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. მათ შორის იყვნენ: "ატაჰოლდინგი", "კასპიან სერვისი", "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკის", "აზერიგაზბანკი" "ჰიდრომაშსერვისი" და სხვები. საქართველოს მხრიდან ბიზნესფორუმის ჩატარება ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ხოლო აზერბაიჯანული მხრიდან AZPROMO-მ უზრუნველყვეს.

ბიზნესფორუმზე, ძირითადად, ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის, ინვესტირებასა და ტურიზმის განვითარებაზე ისაუბრეს. ირაკლი ჩოგოვაძემ სტუმრებს საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტები და პერსპექტივები გააცნო. აზერბაიჯანელი სტუმრები საქართველოს 18 აგვისტოს დატოვებენ.

*24 საათი*

# საერთაშორისო სავალუტო ფონდი მთავრობას ახალ რეკომენდაციებს ორშაბათს წარუდგენს

საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს მთავრობას დასკვნით მემორანდუმს ორშაბათს წარუდგენს. **"ეს იქნება საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების შეფასება და რეკომენდაციების ნუსხა. სსფ-ს ძირითადი მოთხოვნაა ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინირება,"** - განაცხადა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ. მისი ინფორმაციით, კომიტეტში სსფ-ს წარმომადგენლების ჯონ ვეიკმან ლინის და რობერტ კრისტიანსენის სტუმრობისას განიხილეს საქართველოს მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა და მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მდგომარეობა.

შეხვედრაზე კრისტიანსენმა აღნიშნა, რომ გაზრდილი საბიუჯეტო ხარჯების გაწევისას თავიდან უნდა იქნას აცილებული ფულის მასის ზრდა, რაც ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს სინქრონული მოქმედებით არის შესაძლებელი. კოვზანაძის განცხადებით, სსფ-ს მისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით ეფექტური ნაბიჯებია გადადგმული.

ფულის მასის რეგულირების ერთ-ერთი ბერკეტია სადეპოზიტო აუქციონები, რომელსაც ეროვნული ბანკი სისტემატურად მართავს. ბოლო ორი კვირის განმავლობაში კომერციულმა ბანკებმა დეპოზიტების სახით 4 მლნ ლარზე მეტი განათავსეს, რაც მისიის წევრებმა კარგ შედეგად შეაფასეს.

სავალუტო ფონდის მისია საქართველოს გასულ კვირას ეწვია და მისი ვიზიტი 19 აგვისტომდე გასტანს. კოვზანაძის ინფორმაციით, სსფ-ს წარმომადგენლობას ამ ვიზიტისას ფინანსურ და საბანკო სექტორში განსახორციელებელი საკანონმდებლო ცვლილებები არ შეუფასებია. ექსპერტები ბირჟაზე დაშვებული კომპანიების აქციებით ბირჟის გარეთ ვაჭრობის ინიციატივის შესახებ და გადარიცხვების გამარტივებული პირობების შემოღებაზე სსფ-სგან შენიშვნებს ელოდნენ. როგორც კოვზანაძე განმარტავს, **"აღნიშნული საკითხი არ განხილულა და, სავარაუდოდ, ეს მორიგი ვიზიტის თემა იქნება"**.

*ჯიბისი*

# გრანტები ფერმერებს

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

*გუშინ გორში, სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი და "ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" წარმომადგენლები შიდა ქართლის რაიონში მცხოვრებ ფერმერებს შეხვდნენ. "ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველო" ფერმერებს სთავაზობს, მიიღონ გრანტები საკუთარი ბიზნესის გაფართოებისა და მდგრადობის შენარჩუნებისთვის.*



"ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველო", "ემ-სი-ჯი" და მისი კონტრაქტორი კომპანია "CNFA-საქართველო" ახორციელებს აგრობიზნესის განვითარების პროგრამას - ADA. პროექტის ხანგრძლივობა 4 წელია, ამ ხნის მანძილზე 15 მილიონი ამერიკული დოლარი დაიხარჯება, რაც მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაზრდას.

"ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" მიერ საქართველოს მასშტაბით შერჩეული იქნება 280-300 პროექტი, რომელიც გრანტს წილობრივი დაფინანსების პირობებში მიიღებს. პროექტები, ძირითადად, მიმართული უნდა იყოს: 1. სოფლის მეურნეობის პროდუქციის, 2. მომსახურების გაუმჯობესების და 3. გადამუშავების გზით მცირე გადამამუშავებელი საწარმოების განვითარებისკენ. პროექტები განხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: 1. ხილისა და ბოსტნეულის წარმოება და გადამუშავება. 2. რძისა და რძის პროდუქტების წარმოება, 3. ხორცის წარმოება და გადამუშავება, 4. მეფრინველეობა, 5. ფერმერთა მომსახურებისა და გასაღების ბაზრის ძლიერი ინფრასტრუქტურის შექმნა.

ADA-პროექტის მენეჯერი როდ ბისონი ფერმერებს ესაუბრა, თუ რა სიკეთე შეიძლება მოიტანოს პროექტებმა აგრობიზნესსექტორის განვითარების კუთხით.

შიდა ქართლი ერთ-ერთი რეგიონია, რომელსაც დიდი რაოდენობით ხილის წარმოების პოტენციალი გააჩნია.

მხარის გუბერნატორი მიხეილ ქარელი მიიჩნევს, რომ ეს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის საუკეთესო შანსია.

**"დღემდე ასეთი ინიციატივა არც ერთ საერთაშორისო ფონდს და ორგანიზაციას არ გამოუჩენია. ყველა ფერმერმა უნდა იაქტიუროს და შეიტანოს საკუთარი იდეა-პროექტი. ხელისუფლება მზადაა, ფერმერებს აღმოუჩინოს ყველანაირი დახმარება. ეს მარტო ფერმერების დახმარება კი არ არის, ქვეყნისთვის არის მნიშვნელოვანი, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს დავანახოთ, რა ტემპებით ვითარდება საქართველო. ამასთანავე, ფერმერული მეურნეობის განვითარება ხელს შეუწყობს უმუშევრობის პრობლემის მოგვარებას,"** - მიაჩნია ქარელს.

ეს არის კონკრეტული პროექტი, რომელიც საშუალებას იძლევა, ფერმერებმა დაბრკოლების გარეშე მიიღონ გრანტები. გრანტების გაცემა შესაძლებელია 5 ათასი დოლარიდან სამასი ათას დოლარამდე. 200-300 ახალი თანამედროვე მეურნეობა ქვეყნისთვის უკვე მნიშვნელოვანი შედეგია, მთავარია, ფერმერებმა იაქტიურონ. ფერმერების ძირითადი გასაჭირი თანხების მოპოვებაა, ეს პროექტი კი ამის მშვენიერ შესაძლებლობას იძლევა. ეს არის სოფლის მეურნეობის სფეროში გახარჯული პირველი გრანტი. გარდა ამისა, 30-32 მილიონი დოლარია გამოყოფილი გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისთვის. ასევე, ინფრასტრუქტურის პროექტების ფარგლებში ვახორციელებთ სარწყავი სისტემების რეაბილიტაციას, რისთვისაც 100 მილიონ დოლარზე მეტი დაიხარჯება," - განაცხადა შეხვედრის დასასრულს სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა.

**"დღეს ფერმერებს საბანკო სექტორიდან კრედიტის აღების ნაკლები საშუალება აქვთ. ჩვენი პროექტი სწორედ ამ პრობლემის მოგვარებას ემსახურება. იმ ხალხს, ვისაც დღეს აქვს კონკრეტული მეურნეობა და არ ჰყოფნის თანხები, შეუძლია, მოგვმართოს ჩვენ. ამისთვის საჭიროა, სწორად და საინტერესოდ შეავსონ აპლიკაციის ფორმები. შიდა ქართლში 1-დან 50-მდე პროექტის დაფინანსებაა შესაძლებელი,"** - განაცხადა ათასწლეულის გამოწვევის ხელმძღვანელმა ლაშა შანიძემ.

# საქართველო ხორბლის კრიზისის წინაშე

*ხორბალს, უკვე წლებია, საქართველოს საიმპორტო პროდუქციათა ნუსხაში უცვლელად უკავია ადგილი. ქვეყანაში იმპორტირებული ხორბლის საერთო რაოდენობის 67,5 პროცენტი (378,9 ათასი ტონა) რუსეთზე მოდის. სასურსათო უსაფრთხოების სამმართველოს უფროსის შეფასებით, ამ ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა გარკვეულ საშიშროებას ქმნის, ვინაიდან საქართველოს მიმართ არამეგობრულად განწყობილი ქვეყნის ქმედებების პროგნოზირება ძნელია. შესაბამისად, იმისთვის, რათა საქართველოში ხორბლის კრიზისი არ შეიქმნას, დამატებითი ღონისძიებების გატარებაა საჭირო.*



**"იმის გამო, რომ საქართველოში იმპორტის სახით ხორბლის ძირითადი ნაწილი რუსეთიდან შემოდის და წელს რუსეთში ცუდ მოსავალს ელიან, შესაძლოა, ამან ქვეყანაში პურის ფასზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს,"** - აცხადებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასურსათო უსაფრთხოების სამმართველოს უფროსი ომარ კაჭარავა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, ბოლო 10 წლის ანალიზმა აჩვენა, რომ ხორბლის ადგილობრივი წარმოება ქვეყნის მოთხოვნილებას მხოლოდ 20-25 პროცენტით აკმაყოფილებს. უხვი მოსავალი მხოლოდ 2001-2002 წლებში დაფიქსირდა (306 ათასი ტონა). აქედან გამომდინარე, კაჭარავას ინფორმაციით, საქართველო სტაბილურად ახორციელებს დაახლოებით 500-600 ათასი ტონა პურპროდუქტების რესურსების (კანონიერ, არაკანონიერ) იმპორტს.

ომარ კაჭარავას განმარტებით, წინა წლებში აშშ-დან მიღებული ხორბლის მეშვეობით შესამჩნევად გაიზარდა ფქვილის ადგილობრივი წარმოება, ვინაიდან წითელი მაგარი ჯიშის ხორბალი ადგილობრივი ხორბლის რესურსების სრულად ათვისებაში ეხმარება.

ჩატარებული ანალიზის გათვალისწინებით, სასურსათო უსაფრთხოების სამმართველოს უფროსი საჭიროდ მიიჩნევს აშშ-ს ან რომელიმე მეგობარი ქვეყნის მთავრობასთან მოლაპარაკების გამართვას, რათა მიმდინარე წელს საქართველომ 40-50 ათასი ტონა ხორბალი უსასყიდლოდ, დახმარების სახით მიიღოს. საქართველოს აქვს კიდეც 2004 წლის არასახარბიელო გამოცდილება, როდესაც ბაზარზე, დსთ-ს ქვეყნებში ხორბლის არასახარბიელო მოსავლის გამო, უკიდურესად დაიძაბა სიტუაცია.

ექსპერტთა ინფორმაციით, ხორბლის ფასების ზრდის პროცესი მსოფლიო ბაზარზე დღეისათვის შეჩერებულია და, საშუალოდ, განბაჟების გარეშე 165-167 დოლარს შეადგენს.

*24 საათი*

# "BP"-ს აქციონერებმა პრეზიდენტს და დირექტორთა საბჭოს სასამართლოში უჩივლეს

"ბრითიშ პეტროლიუმის" (BP) აქციონერებმა კომპანიის პრეზიდენტ ლორდ ჯონ ბრაუნს და დირექტორთა საბჭოს წევრებს ალიასკაზე მდებარე ნავთობსადენზე მომხდარი ავარიის გამო ნიუ-იორკის ფედერალურ სასამართლოში უჩივლეს. მოსარჩელეები მათ სამსახურებრივ გულგრილობასა და დაუდევრობაში ადანაშაულებენ და კომპენსაციების გადახდას ითხოვენ.

აქციონერების შეფასებით, ოპერატორი კომპანიის მენეჯმენტმა არ მიიღო საჭირო ზომები მილსადენის რეაბილიტაციისა და პროფილაქტიკის მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ მილების კოროზიის შესახებ ინფორმაციას წინასწარ ფლობდა, ისევე, როგორც პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო სახსრებს. კომპანიის შემოსავლები წლის მეორე კვარტალში 30 პროცენტითაა გაზრდილი და 7,27 მილიარდ დოლარს აღწევს.

ჯერჯერობით უცნობია, რა თანხას ითხოვენ აქციონერები კომპენსაციის სახით. ექსპერტების შეფასებით, ალიასკაზე მილსადენის რემონტს დაახლოებით 200 მილიონი დოლარი დასჭირდება. ამასთანავე, კომპანია ნავთობის მოპოვების სამუშაოების შეჩერების გამოც ზარალდება. ავარია ალიასკაზე, "BP"-ს მილსადენის ერთ-ერთ მონაკვეთზე, 7 აგვისტოს მოხდა. მილსადენის კოროზიის გამო 4,8 ათასი ბარელი ნავთობი დაიღვარა. მოსარჩელეები არ გამორიცხავენ, რომ სასამართლო გამოძიების შედეგად "ბრითიშ პეტროლიუმს" პასუხისმგებლობაც დაეკისროს და ეკოლოგიურმა ორგანიზაციებმა და რეგულირების ორგანოებმა მის მიმართ ზედამხედველობა გაამკაცრონ. მათივე შეფასებით, მომხდარი ავარიის შედეგად ნავთობის გაძვირების გამო კომპანიის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება ჩამოყალიბდება, რაც, თავის მხრივ, კორპორატიულ ზარალს გამოიწვევს. **ინტერპრესნიუსი**

## მოკლედ

### საქართველოს სომხეთთან უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს

მიმდინარე წლის იანვარ-მაისში საქართველოსა და სომხეთს შორის საქონელბრუნვის მაჩვენებელმა 35,4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, - ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო "ახალი ამბები-სომხეთს" საქართველოს ელჩმა სომხეთში რევაზ გაჩეჩილაძემ განუცხადა.

ელჩის განმარტებით, აღნიშნული მაჩვენებელი გასული წლის ანალოგიური პერიოდისას 8 მლნ დოლარით აღემატება. იანვარ-მაისში სომხეთიდან საქართველოში 21,2 მლნ დოლარის საქონლისა და მომსახურების ექსპორტი მოხდა, ხოლო საქართველოდან სომხეთში - 14,2 მლნ დოლარის.

გაჩეჩილაძის ინფორმაციით, სომხეთიდან საქართველოში ექსპორტირებული ძირითადი საქონლია ელექტროენერგია, ცემენტი, კვერცხი, ყავა, სიგარეტი და კვების პროდუქტები; საქართველოდან სომხეთში კი - სასუქები, მედიკამენტები, ნავთობპროდუქტები (რეექსპორტის რეჟიმში), ღვინო და შაქარი მიდის.

რევაზ გაჩეჩილაძის მონაცემებით, 2004 წელს საქართველოში სომხეთიდან 2 ათასი ტურისტი შემოვიდა, 2005 წელს ეს მაჩვენებელი 21 ათასამდე გაიზარდა, ხოლო მიმდინარე წლის პროგნოზით ეს მაჩვენებელი 2-3-ჯერ გაიზრდება. 2006 წელს სომხეთს 46 023 ტურისტი ეწვია, საიდანაც საქართველოდან ჩასული ტურისტი 6,4%-ია. **ჯიბისი**

### საქართველოს ბიუჯეტიდან 16 აგვისტოს 7,878 მლნ ლარის ხარჯი დააფინანსა

ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 16 აგვისტოს 7,878 მლნ ლარის ხარჯი დააფინანსა. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებამ 6 ათასი ლარი შეადგინა, სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა პროგრამული ხარჯების დასაფინანსებლად 9,2 ათასი ლარი მიიღო.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური დახმარების სახით ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს 2 მლნ ლარი გადაერიცხა.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ დევნილთა შენახვის ხარჯების დასაფინანსებლად 2,1 ათასი ლარი მიიღო.

საბიუჯეტო ორგანიზაციების სუბსიდიებმა, სუბვენციებმა და მიმდინარე ტრანსფერებმა 3,521 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების მივლინების, სხვა საქონლისა და მომსახურების, ასევე კაპიტალურმა ხარჯებმა -- 1, 874 მლნ ლარი.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების დასაფინანსებლად 8 ათასი ლარი მიიღო; უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით და გრანტებით განსახორციელებელ საინვესტიციო პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსების ხარჯები 457,8 ათასი ლარით განისაზღვრა. **ჯიბისი**

### საქართველო საექსპორტო კოდის მიღებასთან დაკავშირებით ევროკავშირთან თანამშრომლობს

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო საექსპორტო კოდის მიღებასთან დაკავშირებით ევროკავშირთან თანამშრომლობს, - ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა განაცხადა. მისი განმარტებით, საექსპორტო კოდი ქვეყანამ უნდა მოიპოვოს და არა კონკრეტულმა კომპანიამ.

**"კოდის მინიჭებასთან დაკავშირებით ევროკავშირს თავისი პირობები გააჩნია. მაგალითად, ერთ-ერთი ვეტერინალური პირობა რადიოლოგიური გამოკვლევაა. ჩვენი ვეტერინარიის დეპარტამენტი მუშაობს ამ მიმართულებით და, თანაც, სწრაფი ტემპებით ვცდილობთ, კონკრეტულ შედეგს მივაღწიოთ. თუმცა ევროკავშირს თავისი წესები აქვს და ამ საკითხის მოგვარებას გარკვეული დრო სჭირდება, შესაძლოა, ამ პერიოდმა 7 თვეს გასტანოს,"** - განაცხადა სვიმონიშვილმა.

როგორც კომპანია Geofish-ის წარმომადგენელმა კობა გულიკაშვილმა განაცხადა, საექსპორტო კოდის მინიჭება აუცილებელია პროდუქციის ექსპორტზე გასატანად, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება თევზის ექსპორტს, ვინაიდან გამკაცრებულია პირობები ამ პროდუქციის ევროპაში შეტანასთან დაკავშირებით. **"ევროკავშირი კერძო განცხადებებს არ განიხილავს და ამ განაცხადს მხოლოდ სახელმწიფოსგან იღებს,"** - განმარტავს გულიკაშვილი.

ქვეყნისთვის საექსპორტო კოდის მინიჭების წინაპირობაა ქვეყანაში აკრედიტებული ლაბორატორიის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხის შემოწმებას. ჩვენს მეზობელ ქვეყნებს - სომხეთს და რუსეთს საექსპორტო კოდი გააჩნიათ, ამიტომ პროდუქციის ექსპორტზე გატანასთან დაკავშირებით პრობლემები არ ექმნებათ. **ჯიბისი**

### აჭარაში სომხეთიდან ტურისტების რაოდენობის მატებას ელიან

წელს აჭარის შავი ზღვის სანაპიროზე ქართული მხარე სომხეთიდან 60 ათასამდე ტურისტს ელის. ამის შესახებ საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა სომხეთში რევაზ გაჩეჩილაძემ სააგენტო "პანარმენიასთან" საუბრისას განაცხადა. მისივე თქმით, გასულ წელს სომეხ ტურისტთა რაოდენობამ ბათუმსა და ქობულეთში 21 ათასი შეადგინა.

**"წელს ამ რაოდენობის 2-3-ჯერ გაზრდას ველით. სომხეთიდან ტურისტთა ნაკადი გასული წლიდან იზრდება. თუ 2004 წელს მათი რაოდენობა აჭარის მხარეში 2 ათასს არ აღემატებოდა, შარშან ეს რიცხვი უკვე 21 ათასს შეადგენდა,"** - განაცხადა ელჩმა. მისი თქმით, სომეხი ტურისტების დაინტერესება აჭარის სანაპიროთი მას შემდეგ გაიზარდა, რაც რეგიონში საპატრულო პოლიციის მუშაობა გაუმჯობესდა. ტურისტების მოზღვავებას ხელი შეუწყო ახლადგარემონტებულმა სასტუმროებმა და გზების მშენებლობამ.

რაც შეეხება ქართველ ტურისტთა რაოდენობას სომხეთში, როგორც გაჩეჩილაძე აცხადებს, უცხოელ ტურისტთა მაჩვენებელში მათ მხოლოდ 6,4% უკავიათ.

**"მიმდინარე წლის იანვარ-მაისში სომხეთში 46 023 უცხელი ტურისტი შევიდა, მათ შორის საქართველოდან მხოლოდ 6,4%. ეს ძალიან ცოტაა, ამიტომაც სომხურმა ტურაგენტებმა უფრო აქტიური მუშაობა უნდა წარმართონ, რათა ქართველი ტურისტები მეტად დააინტერესონ,"** - განაცხადა გაჩეჩილაძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საფონდო ბირჟაზე 68,133.25 ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდი გაიყიდა

საქართველოს საფონდო ბირჟაზე გამართულ რიგით 63(648)-ე სესიაზე სავაჭროდ წარმოდგენილი 13 კომპანიის აქციებიდან, გარიგება დაიდო 4 კომპანიის აქციებზე - საინვესტიციო კომპანია "ლიდერ-ინვესტი", "ნინო", საქართველოს ბანკი და საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია.

გარიგებების საერთო რაოდენობა იყო 46, ჯამური მოცულობა - 33,660 ფასიანი ქაღალდი, ხოლო ჯამური ღირებულება - 68,133.25 ლარი.

როგორც საფონდო ბირჟაზე აცხადებენ, 2006 წლის 17 აგვისტოდან დროებით შეჩერდა სს "საქართველოს სახალხო ბანკის" აქციებით ვაჭრობა საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში, თანახმად "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტისა და "საქართველოს საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ" დებულების 5.4.8. ქვეპუნქტისა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ტენდერი სომხეთ-საქართველოს დამაკავშირებელი ელექტროხაზის მშენებლობაზე

ენერგეტიკის სამინისტრო საქართველო-სომხეთს შორის მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის მშენებლობაზე სექტემბრის შუა რიცხვებში ტენდერს გამოაცხადებს.

როგორც ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ არჩილ ნიკოლეიშვილმა განაცხადა, ასევე ტენდერის საშუალებით შერჩეულმა კომპანია "გრიგრიელტმა" საპროექტო დონეზე სამუშაოები თითქმის დაასრულა, ხოლო ტენდერი მშენებელი კომპანიის შესარჩევად სექტემბერში გამოცხადდება.

**"ჩვენი პროგნოზით, ხაზის მშენებლობას დაახლოებით 2 წელიწადი დასჭირდება. ქართული მხარე პროექტს დაახლოებით 24 მილიონი დოლარით დააფინანსებს, ხოლო მთლიანად ხაზის მშენებლობა 50 მილიონი დოლარი დაჯდება,"** - განაცხადა ნიკოლეიშვილმა.

საქართველო-სომხეთს შორის მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის მშენებლობა ორ ეტაპს მოიცავს. დაახლოებით ერთ წელიწადში ხაზი 220-კილოვოლტიან რეჟიმში იმუშავებს და შეძლებს 300 მეგავატამდე დენის გატარებას, ხოლო მეორე ეტაპზე, ანუ სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ხაზი 400-კილოვოლტიანი გახდება და 600 მეგავატს გაატარებს. გადამცემი ხაზი 100 კილომეტრზე გაიჭიმება. **ჯი-ეიჩ-ენი**



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

# 14 წლის თავზე

*პოლიტიკური გაერთიანება - "ჩვენ თვითონ" ახალი შექმნილია, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, დევნილების ნდობა უკვე მოიპოვა. მისი ლიდერი, იუსტიციის გენერალი პაატა დავითაია, კარგა ხანია, აფხაზეთის ოფიციალური ხელისუფლებიდან ოპოზიციაში გადავიდა და საქართველოს პროკურატურისგან ისევ დაუცხრომლად ითხოვს აფხაზი სეპარატისტების მიმართ სამართლებრივი დევნის დაწყებას, რათა მათზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდეს და მათ ამით მოქმედების არეალი შეეზღუდოთ. ცხადია, საქმე ეხება გაუთავებელ, მათ შორის - ოფიციალურ, ვიზიტებს მოსკოვში აფხაზი სეპარატისტებისა და სოხუმში რუსი რეაქციონერებისა. როგორც პაატა დავითაია აცხადებს, მისი 14-წლიანი ბრძოლა უშედეგო გამოდგა, ამიტომ მან დევნილების გაერთიანება და ხელისუფლებაზე ზეწოლის მძლავრი ბერკეტის შექმნა გადაწყვიტა. ამ მიზნით 14 აგვისტოს იპოდრომზე დიდი მიტინგი გაიმართა, რომელსაც 4-5 ათასი დევნილი დაესწრო. დავითაია იმედოვნებს, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და იმის მაჩვენებელი, რომ 27 სექტემბერს ყველა დევნილი, მთელი საქართველო ერთად დადგება, რათა მსოფლიომ და, მით უფრო, სეპარატისტებმა დაინახონ ქართველი ერის ერთიანობა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარდუვალობა. ახლა კი გთავაზობთ პაატა დავითაიას სიტყვას იპოდრომის მიტინგზე.*

ზაზა ფარუაშვილი

**პაატა დავითაია:** "დღევანდელი მძიმე მდგომარეობის ფონზე ყველა, ვინც აქ მოვიდა, გმირია. მართლა ყველას სურს, დაბრუნდეს აფხაზეთში, დაიბრუნოს თავისი სახლი და დიდი მადლობა ყველას ამისათვის.

რატომ ვდგავართ ჩვენ დღეს აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილები თბილისში იპოდრომზე?! ჩვენ ჩვენს სახლებში უნდა ვიყოთ. მაგრამ ამ 14-მა წელმა გვაჩვენა, რომ ჩვენი პატრონი არავინაა; ამ 14-მა წელმა გვაჩვენა, რომ უკვე მოღალატეებიც ვხდებით ვიღაცეების თვალში (ტაში); ამ 14-მა წელმა გვაჩვენა, რომ უკვე ხელკეტებს გვირტყამენ თავში; ამ 14-მა წელმა გვაჩვენა, რომ ჩვენი მტერი სეპარატიზმი ჩვენზე ძლიერი გახდა, ჩვენ კი სხვათა ლოიალობით დავსუსტდით; ჩვენ თუ ჩვენს თავს არ ვუშველეთ, არავინ გვიშველის.

სეპარატისტული რეჟიმი ისე გაძლიერდა, რომ მისთვის ფინანსური ოპერაციები პრობლემას არ წარმოადგენს. აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში რუსული ბანკები სრული დატვირთვით მუშაობენ. სეპარატისტები სარგებლობენ საქართველოს კოდით (282067 GEO) მომუშავე მობილური ქსელით. როგორ მოხდა ეს ყველაფერი?!

14 წელია, ჩვენს ეკლესიას ანგრევენ, ჩვენს ხატებს ანადგურებენ, ვითომ რესტავრაციის მიზნით გააქვთ და უკან არ ბრუნდება არაფერი.

14 წელია, ხალხს კლავენ ყოველდღე, ანადგურებენ ქართულ მოსახლეობას. 14 წლის თავზე გალში ქართველებს ათხრევინებენ სანგრებს. ეს არის მონათმფლობელური წყობილება გალში. 14 წელია, ერთი სანქცია არაა გაცემული არც ერთ დამნაშავეზე. ნუთუ ქართველი დევნილები არ არიან ღირსი იმისა, რომ კრიმინალზე, რომელიც დღეში 10 ქართველს კლავდა და აფხაზეთის გმირი გახდა, ერთი სანქცია მაინც გაცემულიყო?! - ამის მაგივრად ის მეიდანზე ქეიფობს აქ.

14 წელია, დავიღალე ძახილით და ბოლო სამი წელია - ბრძოლით, რომ ერთი სანქცია მაინც ამეღო. მომიწია შორ გზაზე წასვლა - ჰააგაში და როდესაც მოვილაპარაკე საერთაშორისო სანქციებზე, მაშინ მითხრეს, - "შენ, რა არძინბას დაჭერა გინდა, ბიჭო? ამას არ დავუშვებთ!" - და ეს ქართველებმა მითხრეს აქ, სხვას კი არ უთქვამს. გაიცეს მათზე სანქციები, დაიწყოს გამოძიება. თუ ვიღაცეებს სამშობლოს ღალატს ვწამებთ, ბაგაფში არ არის სამშობლოს მოღალატე? ხაჯინბა არ არის სამშობლოს მოღალატე? - მე ეს არ მესმის. ნუთუ არ შეიძლება, რომ მათზე გამოცხადდეს ძებნა. ბევრს ჰგონია, რომ ეს ხელს უშლის სამშვიდობო პროცესს. არ არის ეს ასე. აზერბაიჯანმა ყარაბაღის კონფლიქტზე 70 სანქცია გასცა.

დღეს აფხაზეთში ჩვენს ქონებას ჰყიდიან. დღეს დევნილები ყველა საერთაშორისო ნორმით არ უნდა იყვნენ ასე დაჩაგრულები, არ უნდა ცხოვრობდნენ ასეთ პირობებში. თქვენ არ უნდა გაძლევდნენ, როგორც მათხოვრებს, 7 ათასს. მეტის ღირსნი ხართ. მეტი დაკარგეთ აფხაზეთში. თქვენ თქვენი სასაფლაოები დაკარგეთ. ნუ ხართ ამორფულები, ნუ ზიხართ სახლში.

ბევრი მეუბნებოდა, არ მოვლენ დევნილებიო. ამ ხალხს დღეს არ დავასახელებ, მაგრამ 27 სექტემბერს ვიტყვი მათ ვინაობას. ვინ მივა დავითაიასთანო? - თქვენ ჩემთან არ მოდიხართ. მე მარტო არაფრის გაკეთება არ შემიძლია. თქვენ უნდა გააკეთოთ ყველაფერი. ჩვენ თვითონ უნდა გავაკეთოთ ეს ყველაფერი (ტაში).

ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, ყველა იტყვის, ახლა ვიწყებთ დაბრუნებასო, და კიდევ 14 წელი გავა. ამიტომ ჩვენ უნდა ვიყოთ ერთად და ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ. მე ვუთხარი აფხაზებს სტამბულის შეხვედრაზე: თქვენ ვისაც გინდათ მოელაპარაკეთ, არაფერი გამოგივათ, თუ ჩვენ, აფხაზეთიდან დევნილებს არ მოგველაპარაკეთ და ჩვენთან არ გამონახეთ საერთო ენა (ტაში). პასუხი იყო: ვინ არიან დევნილები და ვინ ეკითხება მათ რამეს! იცით, რატომ? - იმიტომ, რომ ჩვენ ერთად არ ვდგავართ.

დღეს, როცა აქ მიტინგი დავნიშნეთ, სოხუმში საპასუხო აქცია დილის 11 საათიდან დაიწყეს. ეს მაშინ, როცა იქ 14 წლის განმავლობაში 14 აგვისტოს არავითარი აქცია არ ჩაუტარებიათ. იცით, რატომ? - იმიტომ, რომ აფხაზ სეპარატისტებს ჩვენი ერთიანობის შეეშინდათ. მათ სხვისი არაფრის ეშინიათ. ისინი იძახიან, ჩვენ უფრო მეტი შევიკრიბებით, ვიდრე დავითაია შეკრებსო. აფხაზეთის მთელი მოსახლეობა 140 ათასია, ჩვენ, დევნილები 264 ათასი ვართ. მე მინდა, მთელმა მსოფლიომ ნახოს, რომ ჩვენ ერთად ვართ, რომ ჩვენ დაბრუნება გვინდა, რომ ჩვენ არავის მივცემთ რეფერენდუმის ჩატარების უფლებას (თუმცა ის ისედაც უკანონო იქნება), რომ ჩვენ ვართ ის ხალხი, ვისაც უნდა მოელაპარაკონ და ჩვენ ვართ ის ხალხი, ვისაც აფხაზეთში სიტყვა გვეთქმის. დღეს ჩვენ მტერი გვიყურებს და მან უნდა დაინახოს ჩვენი ერთიანობა.

ბევრი აფხაზი ლიდერი ითხოვს ჩემთან შეხვედრას და მე მზად ვარ შვხვდე მათ, მაგრამ ისიც უნდა ვუთხრა, რომ ხალხი ერთიანია და ჩვენ არ მივცემთ მათ მშვიდად ძილის საშუალებას. ამ ხელისუფლებაში ნურავის ექნება იმედი, რომ მათ მოელაპარაკებიან, დამნაშავეებთან მოლაპარაკება არ შეიძლება.

ჩვენ აფხაზ ერთან არავითარი პრობლემა არა გვაქვს. ისინი ჩვენი ძმები არიან, ჩვენი ოჯახის წევრები არიან (ტაში), მაგრამ ჩვენი ძმა არ არის ის, ვინც ქართველს კლავს. მე ძალიან კარგად ვიცი, ვინც არიან ჩვენი ძმები. ბევრი აფხაზია დღეს აქ. მათ შეეძლოთ, იქ ყოფილიყვნენ, მაგრამ ჩვენთან დგანან და იმიტომაც არიან დევნილები.

27 სექტემბერი მოდის. ამ დღეს მთელი სეპარატიზმი ზეიმობს. ამიტომ ჩვენ, როცა ყველა სეპარატისტი ჩვენი ნათესავების ძვლებზე გამარჯვებას იზეიმებს, ყველანი მოვიდეთ აქ და ვანახოთ ჩვენი ძალა. ვანახოთ, რომ ჩვენ დავბრუნდებით!"




მიტინგი იპოდრომზე.

# ივერი კაკუბავა:
# "ერთად დავიხსნათ სოხუმის უნივერსიტეტი"

*თბილისი, ჯიქიას ქუჩა N9 - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის, ან უბრალოდ, სოხუმის უნივერსიტეტის ამჟამინდელი მისამართი მისი საკმაოდ რთული ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ნაწილი იქნება ყოველთვის, მიუხედავად იმისა, როგორ წარიმართება აფხაზეთის ბედი. ამ ფილიალის დაფუძნება იმ მძიმე ვითარებაში - ეს იყო ერთგვარი პოლიტიკური გადაწყვეტილება, მესამე ძალის მიერ პროვოცირებული აფხაზურ-ქართული დაპირისპირებისთვის მოძებნილი კომპრომისი. იმ პოლიტიკური ბრძოლის ქარ-ცეცხლში შექმნილი და ნაწრთობი უნივერსიტეტი თავისი ინტელექტუალური პოტენციალით ბევრად უფრო "ყინვა და სიცხეგამძლე" აღმოჩნდა, ვიდრე ეს მაშინ მის დამფუძნებლებსაც კი წარმოედგინათ.*

*უნდა ითქვას, რომ დღესაც, როცა აფხაზეთის პრობლემა ისევ გაშიშვლებულია, სოხუმის უნივერსიტეტს არა მხოლოდ საგანმანათლებლო-სამეცნიერო დანიშნულება აქვს, არამედ პოლიტიკური დატვირთვაც - ის არის აფხაზეთიდან გამოდევნილი და დაფანტული ქართული სულიერების, ინტელექტუალური პოტენციალის თავმოყრისა და მოკრების მძლავრი კერა. გარდა იმისა, რომ სოხუმში აუცილებლად უნდა დაბრუნდეს სოხუმის უნივერსიტეტი, თავისთავად მნიშვნელოვანია, როგორი იქნება ის და რამდენად უპასუხებს განათლების ევროპულ სტანდარტებს. სამწუხაროდ, აფხაზეთის მძიმე ხვედრს გადაჯაჭვულ ამ ისტორიას დღეს სოხუმის უნივერსიტეტის ზოგიერთი თანამშრომელი არად დაგიდევს და უნივერსიტეტის წინა თუ ამჟამინდელ ხელმძღვანელობასთან დაპირისპირებასა და კინკლაობაში კარგავს დროს, თავისთავად აფერხებს სასწავლო პროცესს, დისკომფორტს ქმნის.*

*ყოველივე ამაზე საუბარი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დირექტორთან, პროფესორ ივერი კაკუბავასთან სოხუმის უნივერსიტეტის წარსულიდან, მისი პოლიტიკური მნიშვნელობიდან დავიწყეთ.*

ნატო კორსანტია

**ივერი კაკუბავა:** "სოხუმის უნივერსიტეტის უპირველესი დანიშნულება, რა თქმა უნდა, საგანმანათლებლო-სამეცნიერო მისიის შესრულებაა, მაგრამ ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია მისი სიმბოლური დატვირთვა - აფხაზეთი ისევ არსებობს და მას გამორჩეული ინტელიგენცია ჰყავს. სოხუმის უნივერსიტეტი ჩემთვის ამ სიმბოლოს მატარებელი რომ იყო, იმიტომაც აღვიქვი ამაღელვებლად ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ, აქ პროფესორად მოწვევა და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებული ვიყავი, დავთანხმდი. რაც შეეხება სოხუმის უნივერსიტეტის ინტელიგენციის გამორჩეულობას, ეს შემთხვევით არ მიხსენებია. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის ფაქტიც, რომ სოხუმის უნივერსიტეტი არის ჯერ კიდევ 1932 წელს დაარსებული სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მემკვიდრე. სწორედ მის ბაზაზე გაიხსნა 1979 წლის 5 თებერვალს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 80-იან წლებში აფხაზეთში შექმნილი რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამო, სასწავლებელს იძულებით გამოეყო ქართული ნაწილი და 1989 წლის 14 მაისს ჩამოყალიბდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალად.

სოხუმის დაცემის შემდეგ, 1993 წლის 15 ნოემბრიდან სოხუმის უნივერსიტეტმა თბილისში განაახლა არსებობა და მიუხედავად დევნილობის სირთულეებისა, თანამედროვე, პროგრესული უნივერსიტეტისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისების შენარჩუნება და განმტკიცება-გაძლიერება შეძლო.

მე არ გამოვირჩევი თამამი განცხადებებით, მაგრამ ახლა თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ 2004 წელს განათლებისა და მეცნიერების მიერ ჩატარებული ინსტიტუციური აკრედიტაციის შედეგებით სოხუმის უნივერსიტეტი საქართველოს 110 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის მეოთხეა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის უნივერსიტეტის შემდეგ. ეს, რა თქმა უნდა, ჩემს წინამორბედთა დიდი დამსახურებაა, მაგრამ განვლილ ერთ წელიწადში ჩვენც ბევრი რამის გაკეთება შევძელით".

**- რეალობა თავისთავად ითხოვს ხოლმე შესაბამის თამამ განცხადებებს. და მაინც, მკითხველს რომ უპასუხო შეკითხვები არ დარჩეს, იქნებ, უფრო კონკრეტულად მოგვითხროთ სოხუმის უნივერსიტეტის საქმიანობაზე, მის პრიორიტეტებზე; იმაზე, თუ სახელდობრ, რა განაპირობებს მის წარმატებულობას.**

- ჩემი სიტყვები რომ ამაო თვითდაჯერებულობა არ არის, ამაზე უპირველესად ჩვენთან ჩარიცხვის მსურველ აბიტურიენტთა რიცხვის ზრდა მიანიშნებს, შარშან 801 ადგილზე 6438 განცხადება იყო შემოტანილი. წლეულს ეს რიცხვი 2,5-ჯერ გაიზარდა. საზოგადოება კი, როგორც წესი, მიუკერძოებელი და უკომპრომისოა და ის ისე ადვილად არავის უცხადებს ნდობას. ამის ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი არის ისიც, რომ ჩვენ მოვახერხეთ სასწავლო პროცესის აწყობა, სტუდენტი ლექციაზე შევიყვანეთ. უნივერსიტეტში სხვა რა უნდა ხდებოდეს, მაგრამ საქართველოში ბოლო 15 წელიწადი ეს აშკარად გადაუჭრელი პრობლემა იყო.

გარდა ამისა, თსუ-ს შესაბამისი კვლევის შედეგების მიხედვითაც სოხუმის უნივერსიტეტი საქართველოს 5 წამყვან უნივერსიტეტს შორის არის დასახელებული. სამომავლოდ ზუგდიდისა და მესხეთის ფილიალებთან ერთად მისი დამოუკიდებელ უნივერსიტეტებად ჩამოყალიბების საკითხი დგას. სოხუმის უნივერსიტეტი დამოუკიდებლობისთვის მზად არის, რაც უპირველესად გულისხმობს ევროპული სტანდარტების შესატყვისი, თანამედროვე ტიპის, რეფორმირებულ უნივერსიტეტად ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, დამოუკიდებლობა თავისთავად მოიტანს კომერციული სექტორიდან შემოსული სახსრების განკარგვის თავისუფლებასაც, რაც ბევრი სასარგებლო ინიციატივის განხორციელების შესაძლებლობასაც მოგვცემს. საქმე ის არის, რომ 2004 წელს მიღებული "კანონი უმაღლესი განათლების შესახებ" ფილიალების ადმინისტრაციებს შემოსული თანხების სახელმწიფო უნივერსიტეტისგან დამოუკიდებლად განკარგვას უკრძალავს. ამის გამო ხშირად ზარალდებიან ფილიალები და მისი სტუდენტები.

რაც შეეხება ჩვენი უნივერსიტეტის პრიორიტეტებს, ჯერჯერობით ვერ გვექნება პრეტენზია, რომ ღრმა სამეცნიერო კვლევებით გავითქვამთ სახელს, მაგრამ გვჯერა, რომ უახლოეს მომავალში საგანმანათლებლო გარღვევას მოვახდენთ. ქვეყანას მოვუმზადებთ თანამედროვე საბაზო ეკონომიკაზე ორიენტირებული მაღალი კლასის სპეციალისტებს ბაკალავრისა და მაგისტრატურის საფეხურზე. სპეციალისტების მომზადების თვალსაზრისით თუნდაც უახლოეს ერთ წელიწადში ჩვენ ვიქნებით ერთ-ერთი ლიდერი მთელ საქართველოში. ამ მიმართულებით უკვე საკმაოდ დიდი სამუშაო ჩავატარეთ. მართალია, სააკრედიტაციო კომისიამ ბევრი ხარვეზი აღმოგვიჩინა, მაგრამ იმავე კომისიის მაღალი შეფასებები დაიმსახურეს ჩვენმა სამაგისტრო პროგრამებმა.

**- ცნობილია, რომ ახალმა "კანონმა განათლების შესახებ" მკაფიოდ განსაზღვრული ადგილი მიუჩინა მაგისტრატურას საუნივერსიტეტო სისტემაში. თქვენ სოხუმის უნივერსიტეტის პრიორიტეტად სწორედ მძლავრი მაგისტრატურის საფეხურის, შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამების შექმნას ასახელებთ. უფრო ხომ არ დააკონკრეტებდით ამ ჩანაფიქრს?**

- საქართველოს ხელისუფლება და ინტელექტუალური ელიტა სრულ მზაობას გამოხატავს, ააშენოს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა და მთლიანად საზოგადოება. ეს ადეკვატური პასუხია ჩვენი დროის გლობალურ გამოწვევაზე. ეს ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანას სასწრაფოდ სჭირდება ახალი ტიპის, თანამედროვე შრომის ბაზარზე ორიენტირებული, მაღალი კლასის, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები. უახლოეს მომავალში ეს მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზრდება. ასეთ სპეციალისტებს ჯერჯერობით, ცალკეული გამონაკლისის გარდა, არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ (ან ვერ) ამზადებს...

ყველაზე დიდი პრეტენზია, რაც დღეს საზოგადოებას ხელისუფლების მიმართ აქვს, სამუშაო ადგილების შექმნაა. მეორე მხრივ, სამუშაო ადგილების შექმნა უშუალოდ ხელისუფლების ვალი არ არის, მან ხელი უნდა შეუწყოს სამუშაო ადგილების შექმნას, ანუ ინვესტიციების მოზიდვას, საწარმოების გახსნას და ა.შ. ჩვენ რომ გვყავდეს თანამედროვე მსოფლიოს საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული სპეციალისტები, ისინი თვითონ შექმნიდნენ სამუშაო ადგილებს. შესაბამისად, საქართველოს უნივერსიტეტებმა უნდა აღზარდონ არა მარტო სამუშაო ადგილების მაძიებელი, არამედ სამუშაო ადგილების პოტენციური შემქმნელი სპეციალისტებიც. ამიტომაც ვამახვილებთ ყურადღებას მაგისტრატურაზე. ამასთანავე, ჩავატარეთ სოციოლოგიური და მარკეტინგული გამოკვლევები, სტატისტიკური ანალიზი, რომელთა მეშვეობით შევისწავლეთ, ძირითადად, რა სპეციალობებზეა მოთხოვნები ჩვენს საზოგადოებაში. მომავალში სწორედ ამ მოთხოვნების შესაბამისად მოვამზადებთ სპეციალისტებს.

**- შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ ამბიციური განაცხადია. საინტერესოა, თავად თქვენ როგორ აფასებთ ამ თვალსაზრისით სოხუმის უნივერსიტეტის სამეცნიერო-აკადემიურ პოტენციალს?**

- სოხუმის უნივერსიტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი კლასის პროფესორ-მასწავლებლებით. ეს ტენდენცია თანდათან უფრო ღრმავდებოდა და დღეს სოხუმის უნივერსიტეტს ჰყავს მსოფლიოში აღიარებული მეცნიერებიც. აქ საქმიანობს გერმანიის სამეცნიერო წრეებში კარგად ცნობილი არქეოლოგი, პროფესორი ჯონი აფაქიძე. ის აქ ახლად დაფუძნებულ არქეოლოგიის სასწავლო და კვლევით ინსტიტუტს ხელმძღვანელობს.

გამორჩეულია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი რომან ჯობავაც, რომელიც ეწევა თანამედროვე ავტომობილის ანტენების მოდელირებას, რითაც დაინტერესდნენ მსოფლიოს წამყვანი ინდუსტრიული კომპანიები (AUDI, VOLKSWAGEN, SIEMENS, SKODA, MITSUBISHI). სოხუმის უნივერსიტეტში რომან ჯობავა სათავეში უდგას ახლად დაფუძნებულ ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სასწავლო და სამეცნიერო - კვლევით ინსტიტუტს. ინსტიტუტის მიზანია სამეცნიერო სამუშაოების წარმოება ელექტრომაგნიტური მოვლენების ფუნდამენტური შესწავლისა და მათი პრაქტიკული გამოყენებისათვის. რომან ჯობავამ უკვე მოამზადა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები და მისი ხელმძღვანელობით დორტმუნდის უნივერსიტეტთან ერთად გამოვუშვებთ მაღალი რანგის მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

გარდა ამისა, გვაქვს ბევრი სხვა საინტერესო გეგმა, რომელიც სოხუმის უნივერსიტეტის საერთაშორისო არენაზე გასვლას უკავშირდება. იგეგმება უკრაინის, თურქეთის და სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა.

**- თურქეთის მიმართულებით მუშაობისას ხომ არ ფიქრობთ მუჰაჯირობის პრობლემის აქცენტირებაზეც. აფხაზების მიერ ჩვენს წინააღმდეგ გახსნილი კიდევ ერთი იდეოლოგიური ფრონტის - ისინი ქართველებს ამ ტრაგედიის მოწყობაშიც გვადანაშაულებენ - განეიტრალებას დასაბუთებული ისტორიული კვლევებითა თუ სხვა ხერხებით?**

- თურქეთთან ურთიერთობის საკითხში თავისთავად ჩადებულია აფხაზურ-თურქული ურთიერთობების კვლევა. სოხუმის უნივერსიტეტში საკმაოდ მაღალი კლასის ისტორიკოსები არიან. ერთ-ერთი მათგანის, ზურაბ პაპასკირის ინიციატივით შემუშავებულია აფხაზეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის კონცეფცია. ეს ნიშნავს, რომ სოხუმის უნივერსიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იყო, არის და მომავალში უფრო მეტად იქნება აფხაზეთისა და აფხაზების შესწავლა, ეთნიკური უმცირესობების ურთიერთობების, ეთნიკური კონფლიქტების და მათი მოწესრიგებების კვლევა. ამ ეტაპისთვის ხსენებული ინსტიტუტის დასაფინანსებელი თანხების მოძიება მიმდინარეობს, და გვჯერა, მოვიპოვებთ.

**- ბატონო ივერი, ჩვენი საუბარი სოხუმის უნივერსიტეტში არსებული რეალობის სრულად ამსახველი არ იქნება, თუ ორიოდე სიტყვით არ შევეხებით აქ არსებულ პიროვნულ დაპირისპირებებსაც. თქვენი წინამორბედი ოთარ ჟორდანია მსგავსი ბრძოლების გამო წავიდა უნივერსიტეტიდან. ახლაც იგივე გრძელდება. რა ხდება, ვინ არის ეს ხალხი და რას ითხოვს?**

- იმას, რაც ამ თვალსაზრისით ხდებოდა და ხდება სოხუმის უნივერსიტეტში, კრიმინალური ბრძოლა შეიძლება ეწოდოს. ბატონ ოთარ ჟორდანიას დირექტორობის დროსაც, ძირითადად, დაპირისპირებულთა ორი ბანაკი იყო. ერთი მხარს უჭერდა მას, მეორე - ეწინააღმდეგებოდა. ორივე ბანაკში იყვნენ როგორც ფულის კრიმინალური გზით შოვნაზე ორიენტირებული, ისე წესიერი და კომპეტენტური ადამიანები. უნივერსიტეტში ჩემი მოსვლის შემდეგ, თითოეული მხარის აგრესიული ნაწილი მეორე ნაწილის განადგურებას - სამსახურიდან გათავისუფლებას ან სულაც ციხეში ჩასმას მთხოვდა. მოგვიანებით, როცა ორივე მხარე დარწმუნდა, რომ მათი "განკარგულებების" შესრულებას არ ვაპირებდი, უბრალოდ, ორივე ბანაკიდან ვარჩევდი საუკეთესო და პროგრესულ ნაწილს, მათ შორის ყველაზე აგრესიული და კრიმინალური ელემენტები გაერთიანდნენ და ერთობლივად შემომიტიეს. ისინი აშკარა ტერორზე გადავიდნენ, კაბინეტში მივარდებოდნენ და თავიანთი კარნახით მოქმედებას, ყველა გადაწყვეტილების მათთან შეთანხმებით მიღებას მთხოვდნენ. გარდა ამისა, რა შეურაცხმყოფელ, ცილისმწამებლურ წერილებს არ წერდნენ და წერენ პრეზიდენტს, ფინანსურ პოლიციასა თუ სხვა ინსტანციებს.

იურიდიული ფაკულტეტის ყოფილი დეკანის ძმა თემურ გაბისონია კი კაბინეტში შემოჭრის შემდეგ თავს ისევ დამესხა გმირთა მოედანზე, ომში დაღუპულთა მემორიალთან. საქმეში სამართალდამცველებიც ჩაერივნენ, თუმცა ის დღემდე დასჯილი არ არის. გულწრფელად გეტყვით, მე ვერ მოვიცალე მათ დასაშოშმინებლად, საიმისოდ, რომ ხელისუფლებამდე მიმეტანა ეს ინფორმაცია. სხვა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საქმე მქონდა გასაკეთებელი, მაგრამ ახლა მივმართავ ყველას, ვისთვისაც სულერთი არ არის სოხუმის უნივერსიტეტის ბედი - დაგვიდექით გვერდით, რათა ერთად დავიხსნათ იგი მექრთამეებისა და კრიმინალებისგან. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ აფხაზეთს მისი არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმბოლო - სოხუმის უნივერსიტეტი გადავურჩინოთ.

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

## მოკლედ

### "იუვე" სამართლიანად დაისაჯა

ტურინის "იუვენტუსის" ყოფილი მცველი ლილიან ტურამი მიიჩნევს, რომ "ბებერი ქალბატონი" სამართლიანად დაისაჯა.

"არა მგონია, რომ სპორტულმა მართლმსაჯულებამ რაიმე სენსაციური გადაწყვეტილება მიიღო. ტურინული კლუბი უნდა დასჯილიყო და სასჯელიც სამართლიანია", - ამბობს ტურამი.

### შარაპოვა ყველაზე მდიდარია

როდესაც ჩოგბურთელების შემოსავლებს ითვლიან, ძალიან დიდ მნიშვნელობას იძენს ამა თუ იმ სპორტსმენის იმიჯი. შესაძლოა, ჩოგბურთელი ტურნირს ტურნირზე იგებდეს, მაგრამ კარგად გაპიარებული არ იყოს და მისი შემოსავლები არც ისე სოლიდურად გამოიყურებოდეს.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ მარია შარაპოვა გაცილებით მეტ ფულს შოულობს, ვიდრე დიდი სლემის ტურნირების გამარჯვებულები.

გამოკითხვის შედეგების თანახმად მარია შარაპოვა ყველაზე მდიდარი სპორტსმენი ქალია. მისი შემოსავალი წელიწადში 13,4 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს. სარეკლამო კონტრაქტებიდან მარია აურაცხელ ჰონორარებს იღებს. არადა, წმინდა სპორტულ მხარეს თუ შევხედავთ, ვნახავთ, რომ 2004 წლის შემდე მარიას არც ერთი მნიშვნელოვანი ტურნირი არ მოუგია. საინტერესოა, რომ მარიამ მამაკაცებსაც კი ჯობნის. მაგალითად, როჯერ ფედერერი, რუს ლამაზმანთან შემოსავლების თვალსაზრისით ახლოსაც კი ვერ მიდის, არადა, შვეიცარიელი ჩოგბურთელი ყველაფერს იგებს, რისი მოგებაც შეიძლება.

### პელე თურქეთში

მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა პელე დაესწრება თურქულ კლუბ "ფენერბახჩეს" ასი წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებებს. ფეხბურთის მეფე სტამბულში თავისი თანამემამულის, თეთრ პელედ წოდებული ზიკოს მიწვევით ჩადის. შეგახსენებთ, რომ ზიკო ამჟამად სწორედ "ფენერბახჩეს" უდგას სათავეში.

### კუიტი თითქმის მერსისაიდელია

ჰოლანდიური "ფეიენოორდის" ფორვარდი დირკ კუიტი რამდენიმე დღეში ინგლისური "ლივერპულის" ფეხბურთელი გახდება. ფორვარდი უკვე შეხვდა მერსისაიდული კლუბის ესპანელ მწვრთნელ რაფა ბენიტესს და, სავარაუდოდ, კონტრაქტი ამ დღეებში უნდა გაფორმდეს, რათა "ლივერპულმა " მოასწროს ფეხბურთელის შეყვანა განაცხადში. ინგლისის ჩემპიონატი ხომ ამ უქმეებზე აიღებს სტარტს.

### დონადონის პასუხი

იტალიის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა რობერტო დონადონიმ "სკუადრა აძურას" თავკაცის პოსტზე მუშაობა ჟურნალისტებთან დაპირისპირებით დაიწყო. როგორც იცით, იტალიელები ამხანაგურ მატჩს მართავდნენ ხორვატიის გუნდთან და დონადონიმ ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატი მონაწილე ფეხბურთელებიდან მარტო სათადარიგო მეკარე ამელია გამოიძახა, რითიც გულშემატკივართა და ჟურნალისტთა გულისწყრომა დაიმსახურა.

"ამ გუნდს არც აწმყო აქვს და არც მომავალი" - დაიწერა იტალიურ მედიაში, მას შემდეგ, რაც დონადონის არჩევანი გახდა ცნობილი. მწვრთნელმა კრიტიკა ვერ აიტანა და არანაკლებ მწვავედ უპასუხა ჟურნალისტებს: "ასეთი სტატიების გამოქვეყნება მატჩის წინ, მსუბუქად რომ ვთქვათ, არასწორია. ამ ფრაზის ავტორს ნაკრების ვარჯიშიც კი არ უნახავს, რა უფლება აქვს, რომ ასე წერს ჩვენზე".

### "ჩელსი" კოულს ვერ მიიღებს

ლონდონის "ჩელსის" წარმომადგენელმა ბრიუს ბაკმა განაცხადა, რომ ეშლი კოულის ტრანსფერი პრაქტიკულად შეუძლებელია. "არისტოკრატები" მცველში 16 მილიონ გირვანქას იხდიდნენ, "არსენალმა" კი 25 მილიონი მოითხოვა.

"აშკარაა, რომ ამის შემდეგ ტრანსფერი წარმოუდგენელია", - განუცხადა ბაკმა ჟურნალისტებს.

### ჰარგრივზს "მანჩესტერში" იწვევენ

მიუნხენის "ბაიერნისა" და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი ოუენ ჰარგრივზი აცხადებს, რომ მას "მანჩესტერ იუნაიტედში" იწვევენ.

"მანჩესტერის" შემოთავაზება საკმაოდ სერიოზულია, არც კი ვიცი, მექნება თუ არა ამგვარი შემოთავაზება მომავალში. შესაძლოა, ეს ჩემი ბოლო შანსია. ვფიქრობ, კარიერაში რაღაც უნდა შევცვალო და ალბათ, მანკუნიანელთა შემოთავაზებას დავთანხმდები.

### დარასელია "შახტარში"

ქართველი ნახევარმცველი ვიტალი დარასელია კარიერას ყარაგანდის "შახტარში" გააგრძელებს. აღსანიშნავია, რომ ვიტალის იაროსლავილის "შინიკშიც" იწვევდნენ, მაგრამ ქართველმა ფეხბურთელმა ყარაგანდულ კლუბში არჩია თამაში. რუსული მედიის ინფორმაციით დარასელიამ უკვე გააფორმა კონტრაქტი "შახტართან".

### სქოულზისა და რუნის გარეშე

"მანჩესტერ იუნაიტედს" ინგლისის ჩემპიონატის პირველი სამი ტურის განმავლობაში უეინ რუნი და პოლ სქოულზი ვერ დაეხმარებიან. ორივე ფეხბურთელს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს გასულ სეზონში მიღებული წითელი ბარათების გამო.

### ლა ვოლპე "ბოკაში"

მექსიკის ნაკრების ექს-მწვრთნელი რიკარდო ლა ვოლპე, შესაძლოა, არგენტინული "ბოკა ხუნიორსის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნოს.

ლა ვოლპე ამჟამად არგენტინაშია, თუმცა უარყოფს, რომ "ბოკას" ხელმძღვანელებთან მართავს მოლაპარაკებას.

"არგენტინაში მხოლოდ დასასვენებლად ჩამოვედი, არაფერი ვიცი "ბოკა ხუნიორსის" შესახებ. ჩემი ამ გუნდში გადასვლა ამ ეტაპზე არარეალურად მიმაჩნია, თუმცა შესაძლოა ყველაფერი მოხდეს", - ასეთი ოდნავ გაუგებარი განცხადება გააკეთა ლა ვოლპემ ჟურნალისტებთან საუბარში.

### ადვოკატი დააჯარიმეს

რუსეთის საფეხბურთო კავშირის დისციპლინარულმა კომიტეტმა სანკტ-პეტერბურგის "ზენიტის" ჰოლანდიელი თავკაცი დიკ ადვოკაატი 50 000 რუბლით დააჯარიმა. "ტომისა" და "ზენიტის" მატჩში ადვოკაატმა ნერვები ვერ მოთოკა და მინდორზე გაიჭრა. სწორედ ამის გამო დაისაჯა ჰოლანდიელი სპეციალისტი.

### ლემანი მიდის

გერმანიის ნაკრებისა და ლონდონის "არსენალის" მეკარე იენს ლემანი ევრო 2008-ის შემდეგ საფეხბურთო კარიერას დაასრულებს.

"ჩემი მთავარი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში იყო. ახლა 30 წლის რომ ვიყო, ვიტყოდი ყველაფერი კარგადააო, მაგრამ უკვე 36 წლის ვარ და დროა წასვლაზე დავფიქრდე. ორი წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონატი უნდა გაიმართოს და მე მისთვის მოვემზადები, შემდეგ კი კარიერასაც დავასრულებ", - აცხადებს ლემანი.

### ჯორდების პრობლემა

ამ უქმეებზე სტარტს აიღებს ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგის დაწყების წინ "ნიუკასლს" სერიოზული პრობლემები შეექმნა. გუნდი, ფაქტობრივად, ფორვარდის გარეშეა დარჩენილი. ალან შირერმა კარიერა დაასრულა, მაიკლ ოუენი ტრავმირებულია, მათი შემცვლელი კი ჯორდულ კლუბში არაა. მართალია, "ნიუკასლი" ობაფემი მარტინსის ყიდვას ცდილობს, მაგრამ ამ ტრანსფერის განხორციელება საკმაოდ საეჭვოა.

# ფინური ბარიერი ჭაბუკებმაც გადალახეს

ტალინში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში 16 წლამდე ასაკის კალათბურთელთა შორის. როგორც იცით, საქართველოს ნაკრები B ჯგუფში ასპარეზობს და ელიტაში აღზევებისთვის იბრძვის.

ტურნირი ანალოგიური სისტემით იმართება, როგორითაც რამდენიმე ხნის წინ 20 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც ქართველმა ჭაბუკებმა საკმაოდ კარგად ითამაშეს და ელიტაში გადაბარგდნენ.

რაც შეეხება 16 წლამდელთა ნაკრებს, პირველ ჯგუფურ ეტაპზე ქართველ ახალგაზრდებს პრობლემები საერთოდ არ ჰქონიათ. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენმა ბიჭებმა იოლად მოახერხეს ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება. პირველ მატჩში საქართველოს ნაკრებმა მასპინძელ ესტონეთის ნაკრებს სძლია ანგარიშით 90:77, შემდეგ საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში ქართველებმა ანგარიშით 62:61 ავსტრიის ნაკრებიც დაამარცხეს, მესამე შეხვედრაში ქართველი კალათბურთელების მეტოქე ნორვეგიის ნაკრები იყო. ეს შეხვედრაც დაძაბული გამოდგა, თუმცა ქართველებს გამარჯვება მაინც არ გასჭირვებიათ. ბოლო მატჩი კი უკვე აღარაფერს წყვეტდა და საქართველოს ნაკრებმა შვედებთან დათმო დაპირისპირება.

ამის შემდეგ დაიწყო მეორე ჯგუფური ეტაპი. ფაქტობრივად, ეს იყო მეოთხედფინალური რაუნდი. იმისათვის, რომ ქართველებს ნახევარფინალში თამაშის უფლება მოეპოვებინათ, აუცილებელი იყო ჯგუფში პირველი ან მეორე ადგილის დაკავება.

მეორე ჯგუფური ეტაპის პირველივე მატჩში საქართველოს ნაკრებმა ინგლისელები გაანადგურა ანგარიშით 72:44, შემდეგ კი ჩეხებთან დამარცხდა ანგარიშით 65:70.

მეოთხედფინალურ რაუნდში საქართველოს ნაკრებისთვის გადამწყვეტი ბოლო მესამე მატჩი იყო, გამარჯვების შემთხვევაში ჩვენი ბიჭები ნახევარფინალის საგზურს იბევებდნენ.

ეს შეხვედრა გუშინ გაიმართა. საქართველოს ნაკრებს ფინეთის გუნდი დაუპირისპირდა. ბოლო დროს ტრადიციად ჩამოყალიბდა, რომ ქართველ კალათბურთელთა მთავარი მეტოქე ყველა ასაკობრივ ნაკრებში სწორედ ფინეთის გუნდია.

ქართველმა ჭაბუკებმა გადამწყვეტი მატჩი აღმავლობით ჩაატარეს და მოიგეს ანგარიშით 64:60. ჩვენს გუნდში საუკეთესო ნიკა მეტრეველი იყო, რომელმაც შეხვედრა 22 ქულითა და 11 მოხსნით დაასრულა. მას მხარი აუბა ლევან შენგელიამაც და ფინელებს შანსი ფაქტობრივად არ ჰქონიათ. ჩვენი ბიჭები ბოლო წუთებზე ოდნავ მოდუნდნენ და ფინელებმა მხოლოდ ამ მომენტში შეძლეს ანგარიშის შემცირება. ისე კი, მთელი შეხვედრის განმავლობაში ქართველები საკმაოდ სოლიდურ უპირატესობას ფლობდნენ.

ახლა ჩვენს ნაკრებს ნახევარფინალი ელის და გამარჯვების შემთხვევაში ელიტარულ დივიზიონში ადგილი დაბევებული გვექნება.

# რაულის ასიანი



რეიკიავიკის სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრის ყურადღება ერთი ფეხბურთელის მიმართ იყო მიპყრობილი, რომელიც მიუხედავად შეხვედრის ნულოვანი ფრეთი დასრულებისა, მატჩის გმირად იქცა. რაულ გონსალეს ბლანკომ ისლანდიასთან ამხანაგურ შეხვედრაში ესპანეთის ნაკრების მაისურა მეასეჯერ მოირგო.

"ძალიან ბედნიერი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებმა დღეს საუკეთესო თამაში ვერ ვაჩვენეთ. დღევანდელი დღე უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯია ჩემს კარიერაში", - განაცხადა მატჩისშემდგომ ესპანელთა კაპიტანმა.

მანამდე არც ერთ ესპანელს მსგავსი წარმატებისთვის არ მიუღწევია. ერთადერთი, ვინც რაულის სანაკრებო მატჩების შედეგიანობით უსწრებს - ესპანეთის ყველა დროის საუკეთესო მეკარე ანდონი სუბისარედაა 126 შეხვედრით. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ესპანელთა კაპიტანი ჯერ 29 წლისაა, უნდა ვივარაუდოთ, რომ რაული კარიერას რეკორდსმენის რანგში დაასრულებს.

"მზის ამოსვლამდე მიხდებოდა ადგომა, ვარჯიშზე რომ არ დამგვიანებოდა. სტადიონამდე მისასვლელად სამ ტრანსპორტს ვიცვლიდი - მატარებელს, მეტროსა და ავტობუსს. ვარჯიშის დაწყებამდე უკვე გვარიანად დაღლილი ვიყავი" - იხსენებს რაული. თუმცა, ამაგი დაუფასდა - 17 წლისა ჯერ "სამეფო გუნდში" იხმეს, მოგვიანებით ქვეყნის პირველ გუნდშიც გამოიძახეს.

"არაფერი გამოვა მისგან - ძალიან გამხდარია" - ასეთი ვერდიქტი გამოუტანეს მწვრთნელებმა, როცა მამამ პირველად მიიყვანა საფეხბურთო სკოლაში. ატირებულმა ბიჭუნამ პირობა მისცა საკუთარ თავს, რომ ყველაფერს გააკეთებდა ფიზიკური ფორმის გასაუმჯობესებლად.

"უცბად მოვიდა მადაზე. ჭამის წინაც და შემდეგაც სულ კალორიებზე მეკითხებოდა. სასწორიც კი გვაყიდინა, ისე უნდოდა წონაში მომატება", - იხსენებს რაულის დედა მარია ისაბელი.

ძალიან მალე რაულის სიგამხდრე აღარავის ახსოვდა. მოედანზე ნაჩვენებმა მისმა სასწაულებმა ჯერ "სამეფო გუნდის" გულშემატკივრები მოხიბლა, ცოტა ხანში კი სრულიად ესპანური ინჩადა.

"ეს ბიჭი ჩემი ერთადერთი განძია", - ასე დაახასიათა საკუთარი შვილი პედრო გონსალესმა 1994 წლის 29 ოქტომბერს, ანუ იმ დღეს, როცა მადრიდის "რეალში" 17 წლის რაულის დებიუტი "სარაგოსას" წინააღმდეგ მატჩში უნდა შემდგარიყო.

შთამბეჭდავია მისი სანაკრებო კარიერაც. 29 წლის კაპიტანს სამ მსოფლიოს და ორ ევროპის ჩემპიონატზე უთამაშია, თუმცა სამწუხაროდ, ქვეყნის პირველ გუნდთან ერთად დღემდე ღირებულს ვერაფერს მიაღწია.

მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია რაულისთვის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო თავდამსხმელი გამხდარიყო. 1996 წლიდან მოყოლებული დღემდე კაპიტნის ანგარიშზე 44 გატანილი სანაკრებო გოლია.

მადრიდის "რეალში" მიღწეული თითქმის ყველა საკლუბო წარმატებისა, რაულს მხოლოდ ერთი რამ აკლია სრული ბედნიერებისთვის - სანაკრებო დონეზე მიღწეული წარმატება.

ნაკრებში თამაშის პირველი შანსი ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე მიეცა. სამწუხაროდ, ესპანეთი მეოთხედფინალიდან ჩემპიონატს ისე გამოეთიშა, რაული მოედანზე ერთხელად არ გამოჩენილა. ორი წლის შემდეგ საფრანგეთში გამართულ მსოფლიო პირველობაზე ის უკვე ლიდერის რანგში ჩავიდა. თუმცა, პირენეელებმა იმ წელს მუნდიალი ჯგუფურ ეტაპზე ასპარეზობით დაასრულეს.

"ზოგჯერ ისე ხდება, რომ ყველაზე გადამწყვეტ მომენტში გოლი ვერ გაგაქვს. დარწმუნებული ვიყავი, რომ ბარტეზის კარს ავიღებდი. თითქოს ნანახიც კი მქონდა, როგორც ეხვეოდა ბურთი კარის ბადეში... ახლა ისღა დამრჩენია გულშემატკივრებსა და თანაგუნდელებს ვთხოვო პატიება", - აცრემლებული ამბობდა რაული ევროპის 2000 წლის ჩემპიონატზე, მეოთხედფინალში ფრანგებთან გაფუჭებული პენალტის შემდეგ.

არაგონესის გუნდის კაპიტანმა ოცნება ვერც წლევანდელ მუნდიალზე აიხდინა - ესპანელები გათამაშებას კვლავაც მეოთხედფინალიდან გამოეთიშნენ, თუმცა ესპანეთის ყველა დროის საუკეთესო თავდამსხმელმა გერმანია უგოლოდ არ დატოვა. ტუნისის ნაკრებში გატანილი ბურთი რაულისთვის 44-ე სანაკრებო აღმოჩნდა.

## ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში (საავიაციო საწვავის (ბენზინი) შესყიდვაზე) 2006 წლის 2 აგვისტოს გაზეთ "24 საათში" შეტანილ იქნას ცვლილებები:

კერძოდ:

შესყიდვის ობიექტს დაემატოს.

**ლოტი II** - ავიანავთი - 60000 ლიტრი მიწოდების ადგილი - Qქ.თბილისი და ან ქუთაისი.

**ლოტი III-** ევროდიზელი - მიწოდების ადგილი.

1 თბილისი - 43000 ლიტრი ტალონი.

2 წალკა - 24000 ლიტრი სითხე.

3 რუსთავი - 29200 ლიტრი სითხე.

4 ახალციხე - 14800 ლიტრი სითხე.

5 ციხისჯვარი - 29200ლიტრი სითხე.

**ლოტი III** - დაფინანსების წყაროა "ბპი"-სთან გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული გრანტი.

**ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს რამოდენიმე გამარჯვებული.**

**სატენდერო კომისია**

## ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში (ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე) 2006 წლის 2 აგვისტოს გაზეთ "24 საათში" შეტანილ იქნას ცვლილებები:

კერძოდ: ნაცვლად ლოტი 4 მითითებული გამოშვების წელი "1991 და ზევით" შეიცვალოს "1988 წელი და ზევით".

**სატენდერო კომისია**

## განცხადება

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და 2006 წლის საჩხერის რაიონის რაიონული ბიუჯეტის შესაბამისად საჩხერის რაიონის გამგეობა (მისამართი: ქ. საჩხერე თავისუფლების ქ. №4) აცხადებს ტენდერს ავტომობილების შეძენაზე.

| № | საქონლის დასახელება | ლოტის № | რაოდენობა | ტექნიკური მახასიათებლები |
|---|---|---|---|---|
| | ავტომობილი | 1-2 | 2 | 1. ძრავა – ბენზინი<br>2. ძრავის მოცულობა 1800 სმ 3<br>3. სიმაღლე – 1640 მმ<br>4. სიგანე – 1430 მმ<br>5. სიგრძე – 3740 მმ<br>6. 5-სიჩქარიანი მექანიკური<br>7. ფერი – თეთრი<br>8. გამოშვების თარიღი – 2006 წ. |
| | ავტომობილი | 3 | 1 | 1. ძრავა – ბენზინი<br>2. ძრავის მოცულობა – 2000 სმ 3<br>3. სიმძლავრე – 157 ცხ/ძ<br>4. 5-სიჩქარიანი მექანიკური<br>5. სიგრძე – 4325 მმ<br>6. სიგანე – 1830 მმ<br>7. სიმაღლე – 1730 მმ<br>8. გამოშვების თარიღი – 2006 წ. |

ტენდერში მონაწილეობის მსურველები უნდა იყვნენ რეგისტრირებული ინდმეწარმე ან იურიდიული პირები, უნდა წარადგინონ სატენდერო წინადადებაში დაფიქსირებული ღირებულების ოდენობის საბანკო ანგარიშის დამადასტურებელი ცნობა.

ტენდერში გამარჯვებულმა საქონლის მიწოდება უნდა განახორციელოს გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს ორი კვირის განმავლობაში.

სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა და სატენდერო წინადადების წარდგენა იწარმოებს 2006 წლის 11 სექტემბრამდე საჩხერის რაიონის გამგეობაში (სატენდერო პირი მაია კუსიანი - სატენდერო კომისიის აპარატის მდივანი. ტელ.: 899 45 54 83).

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობაა 100 (ასი) ლარი.

სხვა დამატებითი ინფორმაცია მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

**შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს მიერ 2006 წლის 31 ივლისის N170 გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებული სხვადასხვა სახის ზეთების შესყიდვის სატენდერო განცხადებაში შეგვაქვს შემდეგი დაზუსტება, კერძოდ: ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პირებმა სატენდერო განხცადებაში მითითებული ზეთების ნაცვლად შეუძლიათ წარმოადგინონ ზუსტი ტექნიკური და ქიმიური შემცველობის ანალოგიური ზეთები.**

# ტიტულაყრილმა თებერვლამდე ჩხუბისგან გული აიყარა

*მძიმეწონაში მსოფლიოს ყოფილი ორგზის ჩემპიონის ჰასიმ რაჰმანის პრომოუტერი ბობ არუმი მიიჩნევს, რომ მის ქვეშევრდომს ოლეგ მასკაევთან დაპირისპირებაში კრივის მსოფლიოს საბჭოს ტიტული (WBC) იოლად უნდა დაეცვა. დაიცავდა კიდეც მეტად რომ ეაქტიურა ჯებითო. არუმი ორ მსაჯსაც არ ეთანხმება, რომლებიც 11 რაუნდის შემდეგ უპირატესობას მასკაევს ანიჭებდნენ. პრომოუტერი იმითაა უკმაყოფილო, რომ ამ დროისთვის, როგორც ამას არუმი მიიჩნევს, რაჰმანი შვიდ რაუნდს იგებდა.*



*მასკაევთან წაგებამ რაჰმანს ოთხმილიონიანი ჰონორარი დააკარგვინა.*

"მიმაჩნია, რომ რაჰმანმა უეჭველად უნდა გააგრძელოს საკუთარი კარიერა, მე კი მის პრომოუტერად დავრჩები", - აცხადებს ბობ არუმი

სხვათა შორის, 18 ნოემბერს არუმის კიდევ ერთ ქვეშევრდომს, სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონს მექსიკელ ერიკ მორალესს (48 გამარჯვება, აქედან 34 ნოკაუტით და ოთხიც წაგება) ფილიპინელ მენი პაკიაოსთან (42 გამარჯვება, აქედან 33 ნოკაუტით, 3 წაგება და ორიც ფრე) უწევს მესამე გადამწყვეტი ორთაბრძოლა. მორალესი და პაკიაო ერთმანეთს ორჯერ შეხვდნენ. პირველად (19.03.2005 წ.) მორალესმა გაიმარჯვა, მერე კი პაკიაომ (21.01.2006 წ.). ასე რომ, მესამე და გადამწყვეტი ორთაბრძოლა სავსებით კანონზომიერია. რედ.) არუმს იმედი აქვს, რომ მორალესი სანოემბრო დაპირისპირებისთვის სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იქნება და არც წონასთან დაკავშირებით ექნება პრობლემა.

"ფიზიოთერაპევტთან კონსულტაცია გავიარეთ და დაგვარწმუნეს, რომ ის (მორალესი) პირველი მსუბუქი წონის (58,967 კგ.) შესაბამის კილოგრამებში ჩაჯდება. ვფიქრობ, წონასთან დაკავშირებით პრობლემა არ ექნება, - ვითარებაში გვარკვევს არუმი. - ჩვენი პრობლემა ყოველთვის ის იყო, რომ მორალეს არასდროს არ ჰყავდა კარგი სპეციალისტი, რომელსაც მისი ფიზიკური მდგომარეობა უნდა გაეკონტროლებინა. ახლა, როდესაც მასთან საქმე აქვთ პროფესიონალებს, ყველაფერი რიგზე იქნება".

მორალეს-პაკიაოს შევეშვათ და ისევ რაჰმანს დავუბრუნდეთ. კერძოდ, მასკაევთან წაგების შემდეგ, ამერიკელმა წლის ბოლომდე დასვენება გადაწყვიტა, რინგზე კი თებერვლის ბოლოს, ან მარტის დასაწყისში მიხილავთო.

"ჰასიმი კვლავაც რჩება სახელიან მოკრივედ, - აცხადებს არუმი. - ჩვენ არ ვაპირებთ მეორეხარისხოვან მოკრივეებთან საქმის დაჭერას. პირიქით მისი მეტოქე გახდება მსოფლიოს ერთ-ერთი ჩემპიონი, ან ტიტულის რომელიმე პრეტენდენტთაგანი".

პრომოუტერი რაჰმანი-მასკაევის ფინანსურ მხარეზეც საუბრობს. ირკვევა, რომ მათი ორთაბრძოლიდან შემოსული თანხა მოსალოდნელზე თუ გათვლილზე ნაკლები აღმოჩნდა.

კერძოდ, რაჰმანის (41 გამარჯვება, აქედან 33 ნოკაუტით, 6 წაგება და ორიც ფრე) პრომოუტერი ფასიან ტრანსლაციათა გაყიდვებიდან მიღებული თანხის ნაკლებობაზე მიუთითებს, ხოლო გაყიდული ბილეთებიდან მიღებული შემოსავალი ერთი მილიონი დოლარით ნაკლები აღმოჩნდაო. გარდა ამისა, არუმმა შეაფასა რაჰმანის წაგებაც, რომლის მიხედვითაც ტიტულდაკარგულმა ამერიკელმა დაახლოებით ოთხი მილიონი დოლარის გამომუშავების პერსპექტივა გაანიავა. საქმე ისაა, რომ მასკაევთან (33 გამარჯვება, აქედან 26 ნოკაუტით და ხუთიც წაგება) მოგების შემთხვევაში რაჰმანი შესაძლოა, კრივის საერთაშორისო ფედერაციის (IBF) უკრაინელ ჩემპიონ ვლადიმირ კლიჩკოს შეხვედროდა. ამ შემთხვევაში კი ამერიკელის ჰონორარი ოთხ მილიონამდე გაიზრდებოდა.



# აფიშა

**18 აგვისტო**

## კინო

**"ამირანი"**
"მეამბოხე"
დასაწყისი: 18:00; 20:00; 22:00

**"რუსთაველი"**
"სირიანა"
დასაწყისი: 19:00; 22:00

## გალერეა

**"ქარვასლა"**
შალომ კობოშვილის გამოფენა
ფერწერა, გრაფიკა

## კლუბები

**ბათუმი**

**PROZAK**
დი ჯეი პაოლო მოჯო
დი ჯეი ბერო (Louder)

**ARROGANCE**
To Be Confirmed

## მოკლედ

### კატალოგიზაცია ოპერაში

თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის მუზეუმის ფონდსაცავში ექსპონატთა კატალოგიზაცია და ერთიანი კომპიუტერული ბაზის ფორმირება ხორციელდება. როგორც მუზეუმის გამგემ, რუსუდან დაუშვილმა აღნიშნა, ნაწილობრივ დასრულებულია აფიშების, პროგრამების, ფოტოებისა და ნეგატივების შიდაქრონოლოგიზაცია. ექსპონატების სრული რეგისტრაცია კი მიმდინარე წლის ნოემბრამდე უნდა დასრულდეს.

"შესაძლოა ნოემბერში თეატრში სარემონტო სამუშაოები დაიწყოს, ამიტომ ამ დროისთვის ყველა ექსპონატი აღრიცხული და სათანადოდ დაცული უნდა იყოს. ჯერჯერობით უცნობია, სად განვათავსებთ რემონტის მსვლელობისას მუზეუმის ექსპონატებს", - აცხადებს დაუშვილი.

ამ დროისთვის ოპერისა და ბალეტის თეატრის მუზეუმი 15 ათას ექსპონატს მოიცავს. ისინი 1973 წლის ხანძრის შემდეგ მოსახლეობაში შემორჩენილ და შემდეგ მათ მიერ შემოწირული ნივთებისგან შეგროვდა.

როგორც მუზეუმის გამგე აცხადებს, ბოლო შემოწირულობა ივნისში განხორციელდა, რომლის დროსაც თეატრს ცნობილი დირიჟორის დიდიმ მირცხულავასა და ტენორის მიხეილ ყვარელაშვილის არქივები გადაეცა. ისინი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში 30-50-ან წლებში მოღვაწეობდნენ. არქივი თეატრს ხელოვანთა ოჯახის წევრებმა გადასცეს.

"არქივებში რამდენიმე უნიკალური ექსპონატია, თუნდაც დიდი დირიჟორის, ევგენი მიქელაძის კუთვნილი წიგნი. იგი მისი მოწაფის, დიდიმ მირცხულავას არქივში აღმოჩნდა. მიქელაძის ნივთები, როგორც რეპრესირებული მოღვაწის, საქართველოში თითქმის არ შემოგვრჩა", - აცხადებს მუზეუმის გამგე.

დღესდღეობით მუზეუმში სხვადასხვა, მათ შორის აბრეშუმზე შესრულებული პროგრამები, აფიშები, მოსაწვევები, ხელნაწერები, ფოტოები, ნეგატივები, ფერწერული, გრაფიკული, სკულპტურული ნამუშევრები, ჭედურობის ნიმუშები, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, სახელოვნებო წიგნები, ოპერის შენობისა და მისი სცენის მაკეტები, მომღერალთა კოსტიუმები, მემორიალური ნივთები და საჩუქრები ინახება.

მუზეუმი თეატრის შექმნისთანავე, 1851 დაარსდა. მასში ინახებოდა უნიკალური ექსპონატები, რომლებიც საქართველოში უცხოური დასების ვიზიტებს ასახავდა, აქ ინახებოდა ქართველი და უცხოელი არტისტების პირადი ნივთები. 1973 წელს ხანძრის დროს ექსპონატებით მდიდარი მუზეუმიც განადგურდა. თბილისის სახელმწიფო ტელევიზიით ერთი წლის განმავლობაში მთავრობა თხოვნით მიმართავდა საქართველოს მოსახლეობას შეძლებისდაგვარად ჩართულიყვნენ ოპერის მუზეუმის აღდგენაში და დაეთმოთ სახლებში პირად კოლექციებში არსებული სხვადასხვა სახის ექსპონატები. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ლტოლვილთა თოლიები

ირაკლი ბოკუჩავას დოკუმენტური ფილმის პროექტის "ლტოლვილთა თოლიების" რეჟისორისეული ხედვა, ბიუჯეტი და ლიტერატურული სცენარი 11 ეგზემპლარად, პრუდიუსერმა ირაკლი ტაბლიაშვილმა საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ დოკუმენტური ფილმების წარმოების დასაფინანსებლად გამოცხადებული კონკურსის შესაბამის კომისიას უკვე წარუდგინა.

როგორც საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრში განაცხადეს, "ლტოლვილთა თოლიების" 26 პროექტს შორის ერთ-ერთია, რომელთა შორის გამარჯვებულს კომისია გამოავლენს.

მათივე ინფორმაციით, გამარჯვების შემთხვევაში პროექტი უნდა განხორციელდეს 2006 წლის 20 აგვისტომდე. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ერმიტაჟი გამოფენების რაოდენობას შეამცირებს

ერმიტაჟი დაგეგმილი გამოფენების რაოდენობას ამცირებს. ამის შესახებ მუზეუმის დირექტორმა მიხაილ პიოტროვსკიმ განაცხადა, რომელმაც ეს გადაწყვეტილება ექსპონატების დაკარგვასთან დაკავშირებით მიიღო.

მუზეუმმა პარალელურად როსკულტურის ორგანოებიდან ბრძანება მიიღო, რომლის თანახმად საზღვარგარეთ მხოლოდ იმ ფონდების გატანა შეიძლება, რომლებმაც სრული რევიზია გაიარეს.

პიოტროვსკის განცხადებით, ერმიტაჟი კოლექციების შენახვასა და უსაფრთხოებაზე განსაკუთრებული კონტროლის დაწესებას გეგმავს. "შევქმნით ახალ საცავს, სრულვყოფთ მარკირების სისტემას და ელექტრონული კატალოგის შექმნას დავაჩქარებთ", - აცხადებს პიოტროვსკი. დაცვის სისტემის გაძლიერების ერთ-ერთ ეფექტურ ღონისძიებად დირექტორი ფონდების მცველების სტატუსისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას მიიჩნევს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საერთაშორისო კინოფესტივალი "ევრაზია"

25 სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე ალმა ატა მესამე საერთაშორისო კინოფესტივალ "ევრაზიას" უმასპინძლებს. ფესტივალის საკონკურსო პროგრამაშია ფილმები ევროპიდან და აზიიდან. მათ შორის წარმოდგენილი იქნება რუსი რეჟისორების - ალექსანდრ როგოჟინის, ალექსანდრე ველედინსკის, მარია სააკიანის, ალექსეი ბალაბანოვის, კირილ სერებრენიკოვისა და ბორის ხლებნიკოვის ფილმები.

წლევანდელი ფესტივალის მნიშვნელოვანი სიახლეა "პროექტების პირველი ევროპული ბაზრობის" ორგანიზება. როგორც ბაზრობის ორგანიზატორები აღნიშნავენ, ბაზრობაზე გაიყიდება დასრულების სტადიაში მყოფი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმები, თანამეგობრობის ქვეყნებიდან, ბალტიისპირეთიდან და ცენტრალური აზიიდან.

პროექტში ყაზახეთის, რუსეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთის, ლიტვის, ლატვიის, ტაჯიკეთის, უკრაინისა და საქართველოს 40-მდე კინოპროექტი მონაწილეობს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "პარტიზანები" აღმოაჩინეს

მოსკოვში რუსმა სამართალდამცავებმა 90-იანი წლებში დაკარგული, ლადო გუდიაშვილის 50-იან წლებში შესრულებული ფერწერული ტილო "პარტიზანები" აღმოაჩინეს.

როგორც საქართველოს ეროვნული მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე დეტალური ინფორმაცია არ ვრცელდება. მათივე თქმით, ტილო უკვე საქართველოშია და ექსპერტიზამ მისი ნამდვილობა დაადასტურა.

როგორც მუზეუმში განმარტავენ, გუდიაშვილის ფერწერული ტილო ხელოვნების მუზეუმიდან, ან მხატვრის სახლიდან არ დაკარგულა. სავარაუდოდ, იგი კერძო გალერეადან ან რომელიმე კოლექციონერის ბინიდან გაუჩინარდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# როკი მცხეთაში

ლევან შანშიაშვილი

"მაგთის" მცხეთურმა ფესტივალმა წარმატებით ჩაიარა. განსაკუთრებით კარგი იყო ბოლო ორი კვირა. ჯგუფი Jazz or Cat ოთხ აგვისტოს გამოდიოდა მცხეთის თეატრონის სცენაზე. მათ შემადგენლობა შეცვალეს, შესაბამისად მუსიკაც განსხვავებული იყო. მთლიანად რუსული პროგრამა დაუკრეს. ალბათ რუსულ შოუბიზნესში გადაწყვიტეს მოღვაწეობა, იქ კი მხოლოდ რუსულენოვან სიმღერას აქვს წარმატების შანსი.

Jazz or Cat-მა საქართველოში უკვე კარგად ცნობილ ჯგუფ "ვაკის პარკს" დაუთმო სცენა. აქაც იყო ცვლილებები, ოღონდ არა შემადგენლობაში და არც მუსიკალურ სტილში, უბრალოდ ყოფილი გიტარისტი კლავიშთან იჯდა და ბექვოკალს აძლევდა ზაზა ხუციშვილს, რომელიც გიტარის რიტმ და სოლო პარტიებს მარტო უმკლავდებოდა. პროგრამა თითქმის ტრადიციული ჰქონდათ. კარგად ნაცნობი ძველი სიმღერები შეასრულეს. ვოკალისტი მსმენელთან ცდილობდა კონტაქტის დამყარებას, მაგრამ საზოგადოების გამოცოცხლების მიზეზი მხოლოდ "პინკ ფლოიდის" რამდენიმე ლეგენდარული სიმღერის შესრულება გახდა. იყვნენ ახალგაზრდები, რომლებიც სცენასთან ახლოს იდგნენ და Wall-ის სოლო პარტიებს თავს, ხელებს აყოლებდნენ და მუხლზე დაჩოქილი ხმამაღლა მღეროდნენ.



მცხეთის ფესტივალის ბოლო დღე ყველაზე კარგი გამოვიდა.

კონცერტი ერთ საათს გაგრძელდა, წამყვანი ვასიკო ოდიშვილი ყველას ბოლო პარასკევისთვის ამზადებდა და პატიჟებდა: ფესტივალის განსაკუთრებულ დასასრულს ჰპირდებოდა; ასევე რაღაც სიურპრიზიც უნდა ყოფილიყო.

შეიძლება ითქვას, რომ მცხეთაში ყველაზე მეტი მსმენელი 11 აგვისტოს იყო. მთელი კვირის მანძილზე ხალხი ემზადებოდა ფესტივალის ბოლო დღისთვის. განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც ჯგუფ "მწვანე ოთახის" შემოქმედება მოსწონს.

ისევ სიცხე, 40 გრადუსი. კონცერტის დაწყებამდე მცხეთაში ჩასული ხალხი, მდინარეში ბანაობით და ლუდის სმით იგრილებდა თავს. მოსაღამოვდა და ხალხის თუ "მწვანე ოთახის" გასამხნევებლად გჯუფმა Candy Band-მა რამოდენიმე ბლუზ სიმღერა შეასრულა. რეპერტუარში ბობ დოლანის უბერებელი სიმღერა Knocking on Heaven's Door-იც იყო. როგორც ყოველთვის მსმენელი აჰყვა ნაცნობ მელოდიას, ზოგი კი მდინარის ნაპირიდან სცენისკენ დაიძრა, რათა კიდევ ერთხელ მოესმინა ეს ჰიტი. მალე "მწვანე ოთახიც" გამოვიდა სცენაზე და ახალი რეპერტუარი შეასრულა. წინა კონცერტებზე ხმის ინჟინერი გენა მამედოვი იყო, ამჯერად კი ეს მოვალეობა "მწვანე ოთახის" პირადმა ხმის ინჟინერმა, თორნიკე გელაშვილმა შეასრულა.

ორი დასარტყამი: ერთი ელექტრო, ერთიც აკუსტიკური, ორი კლავიში, ორი გიტარისტი. შემადგენლობას დაემატა ვახო ბაბუნაშვილი, ჯგუფ Soft Eject-ის ბასისტი, ლეპტოპით შეიარაღებული "ბეთხოვენა" და "პაპარაცის" ყოფილი გიტარისტი "კუკუშა". პირველი სიმღერა უცნაური სემპლით დაიწყო. ჯგუფის წევრები რიგ-რიგობით გამოვიდნენ სცენაზე მოუსხდნენ თავიანთ ინსტრუმენტებს. ყველას გასაკვირად "მწვანე ოთახმა" მუსიკალური სტილი რადიკალურად შეცვალა. ეს ნამდვილად არ იყო ჯაზ-როკი, თავდაპირველად თითქოს პოპულარულ Massive Attack-თან მსგავსება იგრძნობოდა, მაგრამ რამოდენიმე სიმღერის შემდეგ ეს ასოციაცია გაქრა და უბრალოდ კარგი, ახალი მუსიკის მოსმენა განვაგრძეთ. დრამერის ხანრძლივი სოლოს შემდეგ ჯგუფის წევრები სცენაზე დაბრუნდნენ და აქ დაიწყო დისკოს რიტმში ფეხის აყოლა, ემოციების სტვენით გამოხატვა, მექანიკური თავის ქნევა და აპლოდისმენტები. ბოლო კომპოზიციას "ვალსი" ერქვა და ლეპტოპიდან გამოშვებული ვალსის სემპლით დასრულდა. ჯგუფის წევრებმა სცენაზევე დაიწყეს ცეკვა, მათ მეგობრები შეუერთდნენ და რამოდენიმე წუთი სრულიად დამსახურებული ტაშის ფონზე ემშვიდობებოდნენ მცხეთაში ჩამოსულ მსმენელს. პირადად ჩემთვის სიურპრიზი "მწვანე ოთახის" ახალი პროგრამა იყო. კარგი მუსიკა ხომ ყოველთვის სიურპრიზია.

ფესტივალმა წარმატებით ჩაიარა. ალბათ სხვა სახელით, მაგრამ "მაგთი" ზღვისპირა ქალაქებშიც აპირებს მუსიკალური ღონისძიებების მოწყობას და დამსვენებლებს დაუვიწყარ ზაფხულს ჰპირდება.

# პარიზის სამეფო რეზიდენცია

საფრანგეთის მთავრობა მზად არის გამოყოს 300 მილიონი ევრო ტიულრის აღდგენაზე, რომელიც პარიზის სამეფო რეზიდენციად ითვლება და 1564 წელს ეკატერინე მედიჩისთვის აიგო. აღდგენისთვის შექმნილია სპეციალური პროგრამა და კომისია, რომელსაც კულტურის და პოლიტიკის მოღვაწენი შეადგენენ მწერალ მორის დრიუონის ხელმძღვანელობით. ნაციონალური კომიტეტის პრეზიდენტი, ალენ ბუმი იმედოვნებს, რომ პროექტის ადმინისტრაციული დეტალები სამ წელში მოგვარდება, ხოლო აღდგენას დაახლოებით ოთხი წელი დასჭირდება. "მე მაქვს პირობები, ვიფიქრო, რომ ათ წელში ჩვენ დავლაგდებით" - აღნიშნავს იგი. იმ შემთხვევაში თუ ტიულრი აღდგება, შესაძლებელია გაკეთდეს საგამოფენო დარბაზები, სადაც ლუვრის ექსპონანტები გამოიფინება, აგრეთვე განთავსდება საკონფერენციო დარბაზი და საგარეო საქმეთა სამინისტროს ოთახი.



თავის დროზე ტიულრში გაშენებული იყო ბაღი, რომელიც ამავე სახელწოდებას ატარებდა. ფუნდამენტის დეტალები ჯერ კიდევ შენარჩუნებულია. ფრანგი არქიტექტორები, მათ შორის როჟე ტაილიბერი, ხელოვნების აკადემიის ხელმძღვანელი ფიქრობენ, რომ რესტავრირებული სასახლე დაუბრუნებს ჰარმონიას ელისეს მიდამოებს, რომელიც ტრიუმფალური თაღით იხსნება. ცნობილია, რომ საფრანგეთის რევოლუციის დროს ტიულრში მეფე ლუდვიგ XVI გადავიდა. 1848 წელს იგი შტურმით აიღეს, ხოლო 1871 წელს დაიწვა.

# თოჯინები უფროსებისთვის

საბავშვო სატელევიზიო თოჯინების პროგრამების "ა-ბუბოტის" შემქმნელნი, ამჯერად უფროსებისთვისაც ამზადებენ შოუს. ახალ შოუში თოჯინები საუბრობენ იმ თემებზე, რომლებიც აკრძალულია "18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის". ისინი ტრადიციულ ზღვარს გასცდნენ და საუბრობენ ჰომოსექსუალიზმზე.

შოუს სახელწოდებაა "ჯიმ ჰენსენის თოჯინების იმპროვიზაცია". ეს სახელწოდება მათ აიღეს ჯიმ ჰენსენის საპატივსაცემოდ, რომელიც 16 წლის წინ გარდაიცვალა და პიველმა შექმნა კოლექცია "ა-ბუბოტ". აღსანიშნავია, რომ მათ ცენზურა სულაც არ აწუხებთ. ისინი ლაპარაკობენ თავხედურად და პირდაპირ. მათი შემქმნელების აზრით შოუმ მაყურებელს უნდა გაუღვიძოს რეალური და ანარქიული გრძნობები, რომელიც საზოგადოებას ასე ძალიან მოსწონს. ამ შემოქმედებას პირველად საერთაშორისო ფესტივალზე ნახავს ედინბურგის მაყურებელი თავისუფალი თეატრის სცენაზე, რომელიც სულ ახლახანს გაიხსნა. ბრიონ ჰენსენმა, თოჯინების ავტორის შვილმა უკვე ნახა ეს შოუ და აღნიშნა: "ჩემი აზრით, ძალიან ღირებული სპექტაკლი გამოვიდა. ეს ბედნიერებაა მხატვრისთვის, როცა საშუალებაა მიჰყვე საკუთარ ფანტაზიას." მას ისე მოეწონა გმირები, რომ შესთავაზა დღეში ორჯერ აჩვენონ მათი შოუ. დღე - შედარებით "მშვიდ" ვითარებაში ბავშვებისთვის, ხოლო საღამოს - სრული ვერსია უფროსებისთვის. კითხვაზე, თუ რას იტყოდა უფროსი ჰენსენი ამ ვერსიის შესახებ, მან უპასუხა: "მე ვფიქრობ, რომ მამა მხარს დაუჭერდა ყველა იმ ვერსიის, რომელიც სკანდალური იქნებოდა. იგი ენდობოდა იმ ვერსიებს, რასაც ოჯახი სთავაზობდა, მაგრამ მას ჰქონდა ხასიათში სხვა მხარეც".




## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

**გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**
**- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით**

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**
**- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები**
**- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები**
**- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა**
**- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა**
**- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება**
**- სარძევე ჯირკვლის აწევა**
**- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)**
**- შუბლის დაჭიმვა**
**- დაკიდებული მუცლის პლასტიკა**
**- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)**
**+ ლიპოსაქცია**
**- ტუჩების გადიდება**
**- კანის ნაოჭების კორექცია**
**- ნიკაპის გადიდება პროთეზით**
**- სახის დაჭიმვა**
**- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)**
**- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით**

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე:** **893 60 30 06**
**893 65 38 39**

## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

## შპს "საქართველოს რკინიგზის" დირექტორთა საბჭოს დადგენილება

**N 5/121 2006 წლის 11 აგვისტო ქ.თბილისი**

სამგზავრო მატარებლით N622/621 თბილისი - ბათუმი და ბათუმი - თბილისის მიმართულებით II კლასის კუპირებული და პლაცკარტის ტიპის ვაგონით მგზავრობის ღირებულების შესახებ.

დამტკიცდეს სამგზავრო მატარებელზე @N 622/621 II კლასის კუპირებული ვაგონით მგზავრობის ღირებულება 18 ლარი და პლაცკარტის ტიპის ვაგონით მგზავრობის ღირებულება 18 ლარი. II კლასის კუპირებული ვაგონის ღირებულება ძალაში შევიდეს ა/წ 19 აგვისტოდან, პლაცკარტის ტიპის ვაგონით მგზავრობის ღირებულება ძალაში შევიდეს ა/წ 23 აგვისტოდან.

ტარიფში გათვალისწინებულია თეთრეულის საფასური.
ტარიფში გათვალისწინებულია დამატებული ღირებულების გადასახადი.

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ი.ეზუგბაია

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე:

შ.პ.ს. "სამხრეთ კავკასიის უნივერსიტეტი" ითხოვს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიას.

## შესწორება 31 ივლისს 24 საათის №170-ში გამოქვეყნებული "ეკონომიკური მაჩვენებლები"

ბანკი: საქართველოს ბანკი
თარიღი: 6/30/06

ცხრილი N4

ეკონომიკური მაჩვენებლები

| | | საანგარიშგებო პერიოდი | წინა წლის შესაბამისი პერიოდი |
|---|---|---|---|
| | **კაპიტალი** | | |
| 1 | პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი ≥ 8% | 8.86% | 9.46% |
| 2 | საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი ≥ 12% | 9.13% | 10.07% |
| 3 | რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები / მთლიან აქტივებთან | 137% | 131% |
| 4 | ფულადი დივიდენდები / წმინდა მოგებასთან | 0 | 0 |
| | **მოგება** | | |
| 5 | მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან | 11.43% | 12.90% |
| 6 | მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან | 4.02% | 3.49% |
| 7 | საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან | 4.85% | 4.80% |
| 8 | წმინდა საპროცენტო მარჟა | 7.41% | 9.41% |
| 9 | უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) | 2.72% | 3.25% |
| 10 | უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) | 16.68% | 18.89% |
| | **აქტივების ხარისხი** | | |
| 11 | უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან | 7.89% | 10.88% |
| 12 | სშდრ / მთლიან სესხებთან | 8.41% | 9.64% |
| 13 | უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან | 70.09% | 80.16% |
| 14 | უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან | 53.78% | 57.43% |
| 15 | მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი | 58.02% | 42.00% |
| | **ლიკვიდობა** | | |
| 16 | ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან | 20.27% | 23.83% |
| 17 | უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან | 68.03% | 74.90% |
| 18 | მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან | 37.66% | 40.50% |

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო**

საჯარო სამართლის იურდიული პირი - საქართველოს მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო აცხადებს კონკურს საოფისე ავეჯის შესყიდვაზე დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში:

კონტრაქტი **NS/G15c**

**ლოტი 1:** ***ავეჯი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთვის, დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი.***

**ლოტი 2: ტყავის სამეული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთვის, დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი.**

**ლოტი 3:** ***სეიფები გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთვის, დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი.***

**NS/G15c**

**ლოტი 1:** ***დედოფლისწყაროში მდებარე ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციისა და ვიზიტორთა ცენტრისთვის საოფისე ავეჯის შესყიდვა.***

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა მიმართონ მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელ სააგენტოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ.6. მე-6 სართული,
ტელ:. 995 32 752436/27.
საკონტაქტო პირი: ვახტანგ ჯალიაშვილი.
ან/და იხილონ სააგენტოს ვებ გვერდი: www.sdpia.ge ტენდერების ნაწილი.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს სასაზღვრო პოლიცია აცხადებს ტენდერს დაცვისა და უსაფრთხოების სისტემების შესასყიდად და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

**ლოტი N1**-----საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სწრაფი რეაგირების რაზმის ვიდეო კონტროლის და გარე განათების სისტემის მოწყობა.

საქონლის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი

2. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარი შემდეგ რეკვიზიტებზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N302003000, ერთიანი არასაგადასახადო ანგარიში N200122900. დანიშნულება სატენედერო მოსაკრებელი, საქართველოს სასაზღვრო პოლიცია კოდი 1512.

3 სატენდერო მოსაკრებლის წარმოდგენისთანავე პრეტენდენტი მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციის სრულ პაკეტს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის კომისიის აპარატში შემდეგ მისამართით: ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. N12 ტელ. 37 63 84 38-12-15.

4 სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის სახით ან ნოტარიუსით დამოწმებული, ქართულ ენაზე.

5 საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს:

**იურიდიული პირისათვის**

- მსურველი იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან): უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან:

- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან) უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან:

- მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტორდან): უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

- ფიზიკურ პირთათვის:

- უნდა იყოს ქმედითუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილ დაწესებულებიდან): უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება, (ცნობა სასამართლოდან) უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

- უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტორდან): უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

6 სატენდერო განცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს.

7 განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და ერთი დახურული პაკეტით წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წის 6 სექტემბრის 14 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. N12. საქართველოს სასაზღვრო პოლიცია. სატენდერო აპარატი 37-63-84 38 -12-15.

8 პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

9 პრეტენდენტის განაცხადის , საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნისნულ მისამართზე 200წლის 6 სექტემბერს 14 საათზე.

10 დაგვიანებით შემოსულ პაკეტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

11 ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული. ლოტების მიხედვით. ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვასი მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. **ქ. თბილისის მერიის საწარმო შპს "თბილისის მეტროპოლიტენი",** მის: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით აცხადებს ტენდერს **ქ. თბილისის მეტროპოლიტენის უბანი სად. "დელისი" - "უნივერსიტეტის" სამშენებლო სამუშაოების** მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 ლოტად.

**2**. სამუშაოს შესრულების ვადა არის **არაუგვიანეს 18 თვე** ხელშეკრულების გაფორმებიდან.

**3.** ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, პრეტენდენტებს შეეძლებათ სატენდერო კომისიის აპარატში **2006 წლის 12 სექტემბრის 18 საათამდე**, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

სატენდერო მოსაკრებელი შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

**სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, ა/ა 021467029; ბანკის კოდი: 220101502; საიდ. კოდი: 202886788.**

**4.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, სატენდერო წინადადება და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (ქართულ ენაზე) სატენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში 2006 წლის **13 სექტემბრის 9 საათიდან** 2006 წლის **14 სექტემბრის 16 საათამდე** განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

**5.** პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

**იურიდიულ პირთათვის:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**ფიზიკურ პირთათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**

- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (წარმოდგენილ უნდა იქნას ბოლო საფინანსო წლის აუდიტორული დასკვნა, მოგება-ზარალის უწყისისა და ფულადი სახსრების მიმქოქცევის უწყისის თანხლებით);
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ;
- ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ;
- ნებართვა საქართველოს შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობაზე (ფორმა N4) და შესაბამისი ფორმით დაშვება სახელმწიფო საიდუმლოებასთან.

- ინფორმაცია სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად

| № | მოწყობილობა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან), შეძენილ იქნება (ვისგან) |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

***შენიშვნა:*** *პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ (გარდა სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული ნებართვისა, რომელიც გაცემული უნდა იყოს საქართველოს საქართველოს შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ) გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით.*

*ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს სამუშაოების გაწევის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.*

**7.** ტენდერში შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს რამდენიმე გამარჯვებული.

**8.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი პირებისაგან: გიორგი ბულეიშვილი; ლევან პაპაშვილი ტელ: +995 32 356026; +995 32 943315; ფაქსი: +995 32 934186; მისამართზე: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, ელ-ფოსტა: procurement@metro.ge; შპს "თბილისის მეტროპოლიტენი" www.metro.ge.

***სატენდერო კომისია***
*18 აგვისტო 2006 წელი*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

დუშეთის რაიონის გამგეობა (რეკვიზიტები: 1800, ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27, ს/ნომერი 229273844, მომსახურე ბანკი - სახალხო ბანკის დუშეთის ფილიალი, ს/ნომერი 220101403, ა/ა № 330300200) აცხადებს ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე 2-ეტაპიან ტენდერს გუდაურის საკადასტრო სამუშაოების შესასყიდად და გიწვევთ მასში მონაწილეობის მისაღებად.

მომსახურების გაწევის, მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 დღე.

ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და პირველადი სატენდერო წინადადებების წარდგენის ვადაა 2006 წლის 8 სექტემბრის 10 საათიდან 18საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27, დუშეთის რაიონის გამგეობა.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

1. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან ყადაღის არარსებობის შესახებ;
2. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე;
3. ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული ასეთი ტიპის მიწოდებების ჩამონათვალი მომსახურების სახის, მოცულობისა და შემსყიდვების (საკონტაქტო რეკვიზიტებით) მითითებით;
4. სუბ-კონტრაქტორების გამოყენების შემთხვევაში მათი ჩამონათვალი (რეკვიზიტების მითითებით);
5. ინფორმაცია შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის და/ან ბაზის შესახებ;
6. ასეთი ტიპის მომსახურების გაწევისას შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

პირველადი სატენდერო დოკუმენტაციის (პირველ ეტაპზე ღირებულების მითითების გარეშე) მიღება შესაძლებელია სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, რომელიც შეადგენს 200 (ორას) ლარს.

სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. არ მიიღება ალტერნატიული წინადადებები.

სატენდერო კომისიის მიერ სატენდერო კონვერტების გახსნა მოხდება 2006 წლის 8 სექტემბერს 18 საათზე მისამართზე: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27, დუშეთის რაიონის გამგეობა. შეფასებისას უპირატესობა მიენიჭება პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებს.

პირველადი სატენდერო დოკუმენტაციის, პროცედურასთან და ობიექტთან დაკავშირებული ინფორმაციის განმარტების ან დაზუსტების მიზნით მოთხოვნა პრეტენდენტის მიერ შესაძლებელია წერილობითი სახით. იგივე პროცედურა შესაძლებელია განხორციელდეს შემსყიდველის ინიციატივითაც. აღნიშნული გაფორმდება დოკუმენტაციის დამატებით სახით და გაეგზავნება ყველა პრეტენდენტს დოკუმენტაციის მიღების ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა.

მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ლია როინიშვილი. ტ. 899 582781. ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27, დუშეთის რაიონის გამგეობა.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ვარიანის თემის გამგეობა (მის. სოფ. ვარიანი, ვარიანის თემის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა) აცხადებს ტენდერს ვარიანის საკრებულოს ტერიტორიაზე არსებული სოფლის (ვარიანი) გაზიფიცირებისათვის საჭირო საშუალო წნევის გაზსადენის სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

ა) ვარიანის საკრებულოს ტერიტორიაზე არსებული სოფლის (ვარიანი) გაზიფიცირებისათვის საჭირო საშუალო წნევის გაზსადენის სამშენებლო სამუშაოები;

ბ) სამუშაოს შესრულების ადგილია სოფელი ვარიანი.

გ) სამუშაოს შესრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 15 დეკემბრამდე.

**2.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 7 აგვისტოს 13.00 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: გორის რაიონი, სოფ. ვარიანი, ვარიანის თემის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, ვარიანის თემის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატში.

**3.** საკვალიფიკაციო მომაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისათვის:**

**ა)** შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

**ბ)** ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან\და ლიკვიდაცია;

**გ)** ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

**ე)** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან\და სანაციის საქმე.

**ფიზიკური პირისათვის:**

**ა)** მეწარმის რეგისტრაციის მოწმობა;

**ბ)** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

**დ)** ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

**ა)** ინფორმაციას, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ.

**ბ)** ინფორმაციას, უკანასნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მოწოდების შესახებ;

**4.** განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, უნდა ახლდეს მე-3 პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

**5.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და ვერ დასახელდება პრეტენდენტად თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**6.** ტენდერში გამარჯვებულად დასახელდება მხოლოდ ერთი პრეტენდენტი.

**7.** პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადება, წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ბეჭედდასმულ და დალუქულ კონვერტში, წარმომდგენის ხელმოწერის აღნიშვნით.

**8.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის (საქართველოს ეროვნული ბანკი ანგ.N200122900, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300434040,) შემდეგ, ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში შეეძლებათ მისამართზე: გორის რაიონი, სოფ. ვარიანი, გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, ვარიანის თემის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატი ვაჟა პაპუაშვილი, იზა კოკაური.

**9**. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ ვარიანის თემის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატს, მისამართზე: გორის რაიონის სოფ, ვარიანი გამგეობის ადმინისტრაციული შენობა.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ნიქოზის თემის საკრებულო (მის. სოფ. ნიქოზი, ნიქოზის თემის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა) აცხადებს ტენდერს ნიქოზის საკრებულოს ტერიტორიაზე არსებული სოფლების (ზემო ხვითი და ზემო ნიქოზი) გაზიფიცირებისათვის საჭირო საშუალო წნევის გაზსადენის სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

ა) ნიქოზის საკრებულოს ტერიტორიაზე არსებული სოფლების (ზემო ხვითი და ზემო ნიქოზი) გაზიფიცირებისათვის საჭირო საშუალო წნევის გაზსადენის სამშენებლო სამუშაოები;

ბ) სამუშაოს შესრულების ადგილია სოფლები ზემო ხვითი და ზემო ნიქოზი.

გ) სამუშაოს შესრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 15 დეკემბრამდე.

**2.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 7 აგვისტოს 15.00 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: გორის რაიონი, სოფ. ნიქოზი, ნიქოზის თემის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა, ნიქოზის თემის საკრებულოს სატენდერო კომისიის აპარატში.

**3.** საკვალიფიკაციო მომაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისათვის:**

**ა)** შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

**ბ)** ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან\და ლიკვიდაცია;

**გ)** ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

**ე)** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან\და სანაციის საქმე.

**ფიზიკური პირისათვის:**

**ა)** მეწარმის რეგისტრაციის მოწმობა;

**ბ)** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

**დ)** ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

**ა)** ინფორმაციას, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ.

**ბ)** ინფორმაციას, უკანასნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მოწოდების შესახებ;

**4.** განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, უნდა ახლდეს მე-3 პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

**5.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და ვერ დასახელდება პრეტენდენტად თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**6.** ტენდერში გამარჯვებულად დასახელდება მხოლოდ ერთი პრეტენდენტი.

**7.** პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადება, წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ბეჭედდასმულ და დალუქულ კონვერტში, წარმომდგენის ხელმოწერის აღნიშვნით.

**8.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის (საქართველოს ეროვნული ბანკი ანგ.N200122900, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300434040,) შემდეგ, ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში შეეძლებათ მისამართზე: გორის რაიონი, სოფ. ნიქოზი, საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა, ნიქოზის თემის საკრებულოს სატენდერო კომისიის აპარატი ლიანა ნემსაძე, ნეჟნა მაისურაძე.

**9**. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ ნიქოზის თემის საკრებულოს სატენდერო კომისიის აპარატს, მისამართზე: გორის რაიონის სოფ, ნიქოზი, საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ქ. თბილისი, 0105, ლერმონტოვის ქ.N10, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში მუხლი "კაპიტალური ხარჯები", "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს მსუბუქი ავტომობილების შესასყიდად და გიწვევთ ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, შემდეგი ლოტების მიხედვით:

I. ლოტი:

ა) წარმომადგენლობითი კლასის მაღალი გამავლობის მუდმივი 4X4 მსუბუქი ავტომობილი (ჯიპის ტიპის), სრულიად ახალი, ძრავის მოცულობა 2,7 კუბ.სმ. (გამოშვების თარიღი 2006 წელი) 1 ერთეული;

ბ) წარმომადგენლობითი კლასის მაღალი გამავლობის მუდმივი 4X4 მსუბუქი ავტომობილი (ჯიპის ტიპის), სრულიად ახალი, ძრავის მოცულობა 4,7კუბ.სმ. (გამოშვების თარიღი 2006 წელი) 1 ერთეული;

II. ლოტი:

ა) მსუბუქი ავტომობილი: სრულიად ახალი, მაღალი გამავლობის 4X4, მოკლე ძარის მქონე 3 კარიანი, ბენზინზე, ძრავის მოცულობა 1600-1800კუბ. სმ. სიმძლავრე არანაკლებ 80 ცხენის ძალა. 1 ერთეული.

III ლოტი:

ა) მსუბუქი ავტომობილი ბენზინზე, 1.8 კუბ.სმ ლ. 4 ცილინდრი, 5 სიჩქარე მექანიკა, 5-ადგილიანი, 4-კარიანი, 2 ერთეული.

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

3. ზემოაღნიშნული საქონლის მოწოდება უნდა მოხდეს DDP პირობით შემდეგ მისამართზე: საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა. N10.

4. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ფასში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოში არსებული ყველა გადასახადი, მათ შორის მისაწოდებელი საქონლის შემსყიდველზე გადაცემის ხარჯები.

5. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 8 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა. N10. მე-4 სართული, სამინისტროს კანცელარია.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. **იურიდიული პირებისათვის**:

a) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას, რომ არ ხორციელდება კომპანიის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;

გ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

6.2 **ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ სასამართლის მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6.3. **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა, საგადასახადო ორგანოდან, ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორების შესახებ.

ბ) სატენდერო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

| № | შეფასების კრიტერიუმები | პრიორიტეტულობის კოეფიციენტები |
|---|---|---|
| 1. | მისაწოდებელი საქონლის ღირებულება; | 0.30 |
| 2. | მისაწოდებლი საქონლის ხარისხი; | 0.25 |
| 3. | მიწოდების ვადა; | 0.20 |
| 4. | მისაწოდებელი საქონლის საგარანტიო მომსახურების ვადა; | 0.15 |
| 5. | ანგარიშსწორების ფორმა; | 0.10 |
| | | სულ: 1.0 |

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს მათი შესაბამისობა მოთხოვნილ დოკუმენტაციებთან.

8. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი მე-5 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-6 პუნქტში მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 18 აგვისტოდან 8 სექტემბრის 14 საათამდე შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მითითებულ შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ. მისამართზე: საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა N10, მე-4 სართულზე, სატენდერო კომისიის აპარატი, ქეთი მშვიდობაძე.

10 სატენდერო წინადადებები გაიხსნება 2006 წლის 8 სექტემბრის 17 საათზე შემდეგ მისამართზე საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა N10, მე-4 სართული, სააქტო დარბაზი.

11. ტენდერში შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა ლოტების მიხედვით.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა. N10, ქეთი მშვიდობაძე ტელ: 99-53-10.

13. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა სატენდერო მოსაკრებელი უნდა გადაიხადოს შემდეგ ანგარიშზე საქართველოს ეროვნული ბანკი. ბანკის კოდი 220101107 ა/ა 200122900 საიდენტიფიკაციო კოდი 203840442 სახაზინო კოდი: 302003000 (ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერის მოსაკრებელი).

**საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს**
**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს კვების პროდუქტების (კომბოსტო, ქათმის ბარკალი) შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

მისაწოდებელი საქონლის დასახელებები და რაოდენობა:

| ლოტი | საქონლის დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ლოტი №1 | კომბოსტო | კგ | 120000 |
| ლოტი №2 | ქათმის ბარკალი | კგ | 16000 |

დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებად 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ სპეციალურ ანგარიშზე. **საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშსწორების ანგარიში 200122900, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000,** 2006 წლის 18 აგვისტოდან 2006 წლის 8 სექტემბრამდე სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ქ. თბილისი გორგასლის ქ. 83ა. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.

მიწოდების ადგილია ქ. თბილისი ჟორესის ქ.N10. მომარაგების განყოფილების მატერიალურ-ტექნიკური და საინდენტანტო უზრუნველყოფის ცენტრალური საწყობი.

მიწოდების ვადა განისაზღვრება ეტაპობრივად შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონცემები და სატენდერო წინადადება შედგენილი ქართულ ენაზე 2 (ორი) ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი, ერთი ასლი) დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინონ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მდებარე ქ. თბილისი გორგასლის ქ.N83ა 2006 წლის 8 სექტემბრის 13 საათამდე.

საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2006 წლის 8 სექტემბერს 13 საათზე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ ადევს ყადაღა.

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინიტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკური ან სამსახურებრივი დანაშაულისათვის.

გ) ცნობა საგადასახადო დეპარტამენტიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ.

დ) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

ვ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**ფიზიკური პირებისაათვის:**

ა) უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

გ) ცნობა საგადასახადო დეპარტამენტიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ.

დ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ

ე) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის ზემოაღნიშნული ცნობები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულებებიდან.

სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი საკვალიფიკაციო მონაცემები.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისთვის, თუ იგი 8 სექტემბრის 13 სთ-მდე არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას და/ან სატენდერო წინადადებას ან წარმოდგენილი ცნობებიდან და ინფორმაციიდან რომელიმე ყალბი აღმოჩნდება ან იქნება შეუსაბამობა წინამდებარე განცხადების მოთხოვნებთან და/ან სატენდერო წინადადება არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან ან არ იქნება შესაბამისობაში "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონთან და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებასთან.

ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სატენდერო კომისიის აპარატს: მისამართზე ქ. თბილისი გორგასლის ქ.83ა. ტელ: 99-60-68; 8-99 11-71-23 ვახტანგ მჭედლიშვილი.

# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აცხადებს კონკურსს კერძო სპეციალიზებულ (გასართობი) რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით მიმართა "კლასიკური მუსიკის ხელშეწყობის ასოციაცია"-მ საეთერო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურისის გამოცხადების შესახებ.

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის შესაბამისად, კომისია კერძო რადიომაუწყებლობის ლიცენზიას გასცემს კონკურსის საფუძველზე.

ქალაქების: თბილისი, გორი, ახალციხე, თელავი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, ახალქალაქი, დმანისი და დედოფლისწყარო FM რადიომაუწყებლობით მოცვის მიზნით სალიცენზიო გადასახდელის ოდენობის გამოსათვლელად გამოყენებული იქნა:

ა) სიხშირულ დიაპაზონში რადიომაუწყებლობისათვის საჭირო სიხშირული ზოლის სიგანე;

ბ) სიხშირული დიაპაზონის ტევადუნარიანობა;

გ) გადამცემი სადგურის გამოსასვლელი სიმძლავრე;

დ) ქალაქების: თბილისი, გორი, ახალციხე, თელავი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, ახალქალაქი, დმანისი და დედოფლისწყარო მოსახლეობის რაოდენობა და სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "ჰ8" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის, 38-ე და 43-ე მუხლების თანახმად, კომისიამ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. გამოცხადდეს კონკურსი კერძო სპეციალიზებულ (გასართობი) რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად ათი გადამცემის გამოყენებით შემდეგ სამაუწყებლო ზონებში:

| ქალაქი | სამაუწყებლო ზონა | რეგიონი | ანტენის განთავსების ადგილი | გეოგ. კოორდინატები | ანტ. სიმაღლ მიწის ზედ. მ | სიხშირე მგჰც FM | სიმძ კვტ | გასხივების დიაგრამა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 1 | - | თბილისი | 44E47; 41N41 | 25 | 95.9 | 2 | წრიული | |
| გორი | 4 | შიდა ქართლი | გორი | - | - | 103.9 | 0.5 | წრიული | |
| ახალციხე | 6 | სამცხე-ჯავახეთი | ახალციხე | 42E57; 41N38 | 40 | 100.9 | 0.5 | წრიული | |
| თელავი | 3 | კახეთი | ცივის ანძა | 45E29; 41N55 | 15 | 102.0 | 0.5 | წრიული | |
| ქუთაისი | 7 | იმერეთის | ქუთაისი | - | - | 101.6 | 2.0 | წრიული | |
| ბათუმი | 2 | აჭარა | ბათუმი | 41E43; 41N41 | 40 | 103.9 | 0.5 | წრიული | |
| ზუგდიდი | 10 | სამეგრელო | ზუგდიდი | - | - | 104.5 | 2.0 | წრიული | |
| ახალქალაქი | 6 | სამცხე-ჯავახეთი | ახალქალაქი | 43E25; 41N21 | 60 | 102.9 | 1 | წრიული | |
| დმანისი | 5 | დმანისი | დმანისი | 44E13; 41N22 | 150 | 107.6 | 1 | წრიული | |
| დედოფლის წყარო | 3 | ქვემო ქართლი | დედოფლისწყარო | 46E08; 41N27 | 180 | 102.6 | 0.5 | წრიული | |

შენიშვნა: გეოგრაფიული კოორდინატები მითითებულია საანძო კონსტრუქციისათვის. შესაძლებელია ანძის კონსტრუქციის აგება აღნიშნული კოორდინატებიდან 1 000 (ერთი ათასი) მეტრის რადიუსში ზღვის დონიდან ანტენის განთავსების მითითებული სიმაღლის შენარჩუნებით (კანონმდებლობით დადგენილი აუცილებელი ნებართვების მიღების შემთხვევაში).

ა) სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა განისაზღვროს 64,111.5 (სამოცდაოთხი ათას ასთერთმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარით;

ბ) კონკურსის ჩატარების თარიღად გამოცხადდეს 2006 წლის 27 ოქტომბრის 14:00 საათი;

გ) ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოხდეს 2006 წლის 21 სექტემბრის 17:00 საათამდე;

დ) მოსამზადებელი სხდომის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2006 წლის 29 სექტემბრის 16:00 საათი;

ე) მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობა განისაზღვროს 12 საათით;

ვ) პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადად განისაზღვროს 1 წელი ლიცენზიის გაცემიდან;

2. რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) იურიდიული პირისათვის - საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები პარტნიორთა შესახებ, აგრეთვე იმ აქციონერთა შესახებ, რომლებიც ფლობენ აქციების 5%-ს ან მეტს;

ბ) მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;

გ) მაუწყებლობის გავრცელების სავარაუდო გეოგრაფიული ზონა;

დ) მაუწყებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში;

3. ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, ფიზიკური პირისათვის - აგრეთვე პირადობის მიწმობის ასლი;

ბ) სალიცენზიო მოსაკრებლის (2000 ლარი) გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

გ) განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების გეგმა;

დ) დოკუმენტაცია პროგრამების გავრცელებისათვის გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებების თაობაზე;

ე) განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია;

ვ) სალიცენზიო გადასახდელის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე:

-ბანკი: სააქციო კომერციული ბანკი "თი-ბი-სი'';

-ა/ანგარიში: 609326;

-კოდი: 220101830;

-საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050;

სალიცენზიო გადასახდელის 10%-ი (ბე) ლიცენზიის მაძიებლის კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში. ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს უბრუნდება აღნიშნული თანხა, საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით, კომისიისთვის წერილობითი განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დარჩენილი თანხა გადაიხადოს წინამდებარე გადაწყვეტილების მე-12 პუნქტის შესაბამისად.

4. ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მიღება, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ეკრძალება:

ა) ადმინისტრაციულ ორგანოს, ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირს ან თანამშრომელს;

ბ) ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირს;

გ) პოლიტიკურ პარტიას, პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირს;

5. მოსამზადებელ სხდომაზე ხდება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებების განხილვა და მათზე დართული დალუქული დოკუმენტაციის ლიცენზიის მაძიებელთა თანდასწრებით გახსნა. აღნიშნული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია საჯარო გაცნობისათვის. ლიცენზიის მაძიებლის მიერ დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში კომისია აფრთხილებს ლიცენზიის მაძიებელს და აძლევს მას დამატებით არანაკლებ 5 და არა უმეტეს 15 სამუშაო დღეს დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. იკრძალება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის საფოსტო გზავნილის სახით მიწოდება კომისიისთვის.

6. დოკუმენტაციის არასრულყოფილების, აგრეთვე პროგრამირებისა და საინვესტიციო ვალდებულების მინიმალური მოთხოვნების დაუცველობის შემთხვევაში კომისია იღებს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვებისა და ლიცენზიის მაძიებლისათვის კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ.

7. კომისია კონკურსს ატარებს საჯარო სხდომაზე.

8.კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება პროგრამირების ასპექტის მიხედვით. პროგრამირების ასპექტის მიხედვით კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისას მხედველობაში მიიღება:

ა) შემოთავაზებული პროგრამების მრავალფეროვნება და აუდიტორიის ინტერესებთან შესაბამისობა;

ბ) მომსახურების ზონის აუდიტორიისათვის ხელმისაწვდომი სხვა მაუწყებელთა პროგრამების არსებობა.

9. პროგრამირების ასპექტის მიხედვით კონკურსში მონაწილე ლიცენზიის მაძიებელთა თანაბარი შეფასების შემთხვევაში გამარჯვებულად ცხადდება კონკურსში მონაწილე ის ლიცენზიის მაძიებელი, რომელიც ადრე გაცემული ლიცენზიის საფუძველზე ახორციელებდა მაუწყებლობას საკონკურსოდ გამოტანილი სიხშირეების გამოყენებით.

10. თუ კონკურსში მონაწილეობს 1 ლიცენზიის მაძიებელი, იგი გამარჯვებულად ცხადდება მის მიერ სალიცენზიო გადასახდელის გადახდის დადასტურების შემთხვევაში.

11. კომისია იღებს და აქვეყნებს დეტალურად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. კომისიის გადაწყვეტილების ასლი კონკურსის შედეგების შესახებ ეგზავნება კონკურსის ყველა მონაწილეს. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ქვეყნდება კომისიის ვებ-გვერდზე (W) ინტერნეტში; სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა და გადახდის პირობები მითითებული უნდა იყოს კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში;

12. კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში. დარჩენილი 70% -ის გადახდა უნდა მოხდეს ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი წლის განმავლობაში კონკურსში გამარჯვებული პირისათვის ლიცენზიის გაცემის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული წესით;

13. კონკურსში გამარჯვებულის მიერ სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ამ შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს 2 წლით ეზღუდება კონკურსში მონაწილეობის უფლება.

14.კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია დაიცვას "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები.

15. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია დაიწყოს პრაქტიკული საქმიანობა და მაუწყებლობის განხორციელების პროცესში უზრუნველყოს მისთვის ლიცენზიით განსაზღვრული სამოქმედო ზონის სრულად დაფარვა ლიცენზიის გაცემიდან 1 წლის ვადაში;

16. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია კომისიას მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მაუწყებლობის პროცესში რადიოპროგრამის გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

17. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის დაწყების შემდეგ, კვირაში ერთხელ, კომისიას მიაწოდოს და გამოაქვეყნოს ყოველი მომდევნო კვირის სამაუწყებლო ბადე;

18. კონკურსის საფუძველზე ლიცენზიის მიღებისას კონკურსის პირობები და ლიცენზიის მაძიებლის მიერ კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნული პირობები აისახება კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიის განსაკუთრებულ პირობებში, როგორც რადიომაუწყებლობის ოპერატორის ვალდებულებები;

19. კომისია უარს ეტყვის ლიცენზიის მაძიებელს ლიცენზიის გაცემაზე, თუ ლიცენზიის მაძიებელმა კონკურსში ვერ გაიმარჯვა. ლიცენზიის გაცემაზე უარი ფორმდება კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. ლიცენზიის გაცემაზე კომისიის უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში;

20. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, სარაჯიშვილის №1 ა) ერთი თვის ვადაში;

21. დაევალოს კომისიის პრეს-მდივანს (ს.ბრიტანჩუკს) აღნიშნული საკითხის საინფორმაციო უზრუნველყოფა;

22. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო და საფოსტო ბაზრის რეგულირების სამსახურს (ნ.ნიჟარაძე).

კომისიის თავმჯდომარე — დ.ქიტოშვილი
კომისიის წევრები: — დ.პატარაია, გ.ფრუიძე

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს აუქციონს

**შპს "საქართველოს რკინიგზის" ბალანსზე რიცხული გამოუყენებელი და/ან ამორტიზებული 2996 სატვირთო ვაგონის (შემდგომში - სარეალიზაციო ქონება) რეალიზების მიზნით.**

*1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები*

**- სარეალიზაციო ქონების ძირითადი განთავსების ადგილებია: თბილისი, სამტრედია, ხაშური, რუსთავი და ველი**

**- სარეალიზაციო ქონების დახასიათება: 2996 სატვირთო ვაგონი შედგება სხვადასხვა ტიპის ვაგონებისაგან, მათ შორის:**

**- 4 ცისტერნა ქიმპროდუქტებისათვის;**
**- 174 აკატიშმზიდი;**
**- 22 ავტომობილმზიდი;**
**- 140 ავტონომიური რეფრეჟერატორული ვაგონი;**
**- 547 ბაქანი;**
**- 1 ბაქანი ფოლადის რულონების გადასაზიდი;**
**- 61 ბიტუმზიდი;**
**- 425 ცემენტმზიდი;**
**- 14 ცისტერნა ნავთობპროდუქტებისათვის;**
**- 441 დახურული ვაგონი;**
**- 63 დუმპკარი;**
**- 50 ფიტინგი;**
**- 2 ფქვილის გადასაზიდი ვაგონი;**
**- 28 ჰოპერ-დოზატორი;**
**- 48 კონტეინერმზიდი ნახევარვაგონის ბაზაზე;**
**- 37 კვების პროდუქტის გადასაზიდი ცისტერნა;**
**- 129 მინერალმზიდი;**
**- 418 ნახევარვაგონი;**
**- 315 რეფრეჟერატორული სექციის ვაგონი (მათ შორის მექანიკური 67 და სატვირთო 248);**
**- 16 საქონლის გადასაყვანი ვაგონი;**
**- 29 ვაგონ-საყინულე;**
**- 7 ვაგონ-თერმოსი;**
**- 25 ხორბალმზიდი;**

**- საწყისი გასაყიდი ფასი - 11 819 253** აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში, დღგ-ს გარეშე.

**- "ბე" - 200 000** აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

**- "ბიჯი" - 50 000** აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში

**- "მონაწილის ბილეთის" ფასი - 100** ლარი.

**- განაცხადების მიღების ადგილი -** ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული, ტელ.: 56-33-48, 56-53-18, 56-33-70.

**- განაცხადების მიღების ვადა -** 2006 წლის 18 აგვისტოდან 2006 წლის 6 სექტემბრის ჩათვლით, 12.00 საათიდან 17.00 საათამდე.

**- აუქციონის ჩატარების თარიღი, ადგილი და დრო -** 2006 წლის 7 სექტემბრს , ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, 14.00 საათი.

**- შპს "საქართველოს რკინიგზის" საბანკო რეკვიზიტები -** "ბანკი რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, ა/ა N3407003205, ბანკის კოდი N220101757, საიდენტიფიკაციო კოდი N202886010.

**- აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ -** საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

*2. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი*

- სარეალიზაციო ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის გადახდა.

*3. აუქციონის შედეგების ოქმის შედგენა, დამტკიცება და ნასყიდობის ხელშეკრულების დადება*

- სააუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დგება აუქციონის შედეგების ოქმი, რომელშიც აისახება ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები. ოქმს ხელს აწერს მყიდველი, მეაუქციონე, მდივანი, კომისიის დამსწრე წევრები და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე. აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ მყიდველს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი "ბე" არ უბრუნდება.

- აუქციონის შედეგების ოქმი მტკიცდება შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის ბრძანებით აუქციონის ჩატარების მომენტიდან 10 დღის ვადაში.

- აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს "საქართველოს რკინიგზასთან" გააფორმოს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით, და ქონების მიღება-ჩაბარების აქტი. ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯებს ფარავს მყიდველი.

- ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაში შედის მყიდველის მიერ სარეალიზაციო ქონების გამოსასყიდი თანხის გადახდის დღიდან.

*4. გამოსასყიდი თანხის გადახდის ვადა*

- მყიდველი ვალდებულია, დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის მიღებიდან არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში, შპს "საქართველოს რკინიგზის" მომსახურე საბანკო დაწესებულებაში (საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით) შეიტანოს ნაღდად ან გადარიცხვით ფულადი თანხა, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

- თუ მყიდველი აღნიშნულ ვადაში არ გადაიხდის სარეალიზაციო ქონების გამოსასყიდ თანხას, მას არ მიენიჭება საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი "ბე" არ უბრუნდება.

- საკუთრების უფლება სარეალიზაციო ქონებაზე მყიდველს გადაეცემა აღნიშნული ქონების ღირებულების სრულად დაფარვის და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან. ამავე მომენტიდან მყიდველზე გადადის პასუხისმგებლობა ნაყიდი ვაგონების მოვლა- პატრონობაზე.

*5. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები*

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, სარეალიზაციო ქონების დასახელებას, რომლის შეძენაც სურს მას, საწყის გასაყიდ ფასს და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მონაცემებს,

- "ბე"-ს და "მონაწილის ბილეთის" ფასის გადახდის ქვითარი (გადაიხდება შპს "საქართველოს რკინიგზის" ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).

- აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

- იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

- სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციისა და "მონაწილის ბილეთის" შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

**6. განსაკუთრებული პირობები**

**- სარეალიზაციო ქონება იყიდება ერთ ლოტად.**

- მყიდველი ვალდებულია ქონებაზე საკუთრების უფლების მიღების მომენტიდან არაუგვიანეს ერთი წლის ვადაში გაათავისუფლოს სარკინიგზო ლიანდაგი აუქციონზე შეძენილი ვაგონებისაგან, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ გაუტანელ ვაგონებზე მყიდველი ვალდებულია გადაუხადოს შპს "საქართველოს რკინიგზას" პირგასამტეხლო შემდეგი ოდენობით: 7 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხა ლარებში, თითოეულ ოთხღერძიან ვაგონზე (დღე-ღამეში), 14 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხა ლარებში, თითოეულ რვაღეძიან ვაგონზე (დღე-ღამეში) და 28 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხა ლარებში, თითოეულ თექვსმეტღერძიან ვაგონზე (დღე-ღამეში), დღგ-ს გარეშე.

- ქონების ღირებულების სრულად დაფარვამდე მყიდველს უფლება არა აქვს განკარგოს, ან სხვაგვარად უფლებრივად დატვირთოს აღნიშნული ქონება, ანდა განახორციელოს მისი შეკეთება, დემონტაჟი.

- განაცხადში მყიდველმა სავალდებულოდ უნდა აღნიშნოს, რომ მყიდველისათვის ცნობილია სარეალიზაციო ვაგონების რეალური მდგომარეობა, რასაც ადასტურებს ხელმოწერით.

**სარეალიზაციო ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს "საქართველოს რკინიგზაში", ტელ: 565320.**

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო

## ინფორმაცია ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების თაობაზე

| № | სატყეო მეურნეობა | სატყეო | კვარტალი | უბანი | ჭრის სახე | ფართობი | ჯიში | სანიხრე | სულ სარგებლობა, კბმ | | | საწყისი ფასი | „ბე“ | `ბიჯი“ 10 % | ახალი გზის მშენებლობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | სამასალე | საშეშე (ვარჯნის ჩათვლით) | სულ (ლიკვიდი) | | | | სამანქანე |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| 1 | ქობულეთის | აჭი-გოგიეთის | 55 | 2.4.5.11.12. | მოვლითი | 155 | წიწვ | IV | 335 | 470 | 805 | **3730** | 746 | 373 | 0,2 |
| | | | 56 | 3.4.5.8.9. | მოვლითი | 64 | წიწვ | IV | 69 | 86 | 155 | **750** | 150 | 75 | 0,2 |
| | | | 51 | 2.3.4.6.9.10 | მოვლითი | 125 | წიწვ | IV | 101 | 111 | 212 | **1071** | 214 | 107 | 0.2 |
| | | | **სულ** | | | | | | **505** | **667** | **1172** | | | | |
| 2 | ხულოს | ხიხაძირი | 33 | 1.3.4.5. | მოვლითი | 2,5 | წიწვ | IV | 112 | 386 | 498 | **1645** | 329 | 165 | 0.3 |
| | | | **სულ** | | | | | | **112** | **386** | **498** | | | | |

| | |
|---|---|
| აუქციონის ჩატარების ადგილი | აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო. ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ.№6 ტელ. 7 35 95.<br>აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 18 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება ა/წ 19 სექტემბერს 12 საათიდან აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს შენობაში. |
| ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება სასურველი ტყე-კაფის მითითებით(სატყეო, კვარტალი, უბანი) აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;<br>ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე) „ბე“-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი |
| სალიცენზიო მოსაკრებელი | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. **მოსაკრებელი შეადგენს 8 ლარს,**<br>მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები)ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300694008 |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს შემოტანის ქვითარი | **„ბე“-ს გადახდის ანგარიში:**<br>მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000 |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის და ტყეკაფის გამოყოფის ხარჯების გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 2(ორი) კვირა. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| ლიცენზიის მოქმედების ვადა | **ლიცენზია მოქმედია გაცემიდან 1(ერთი) წლის განმავლობაში** |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს |
| **აუქციონზე ბიჯი შეადგენს საწყისი ფასის – 10%** | |
| აუქციონში გამარჯვებული ასევე ვალდებულია ლიცენზიის მიღებამდე გადაიხადოს ტყე-კაფის გამოყოფის ხარჯები – 2,70 ლარი ერთ კუბ. მ. ლიკვიდურ მერქანზე | |

სს "კახეთის პური"-ს გაკოტრების მმართველი აცხადებს აუქციონს ქონებაზე, კერძოდ: სს "კახეთის პური"-ს საკუთრებაში არსებულ თელავის პურის ქარხანაზე (მიწის ნაკვეთით, მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობებით და მოძრავი ქონებით). დეტალურ ინფორმაციას ამ მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობების თაობაზე შეგიძლიათ გაეცნოთ გაკოტრების მმართველთან (მისამართი: ბამბის რიგი №7). აუქციონის საწყისი ფასია 40000 ლარი, ხოლო ბიჯი - 500 ლარი. განაცხადის შემოტანის მსურველებმა ა.წ. 25 აგვისტომდე უნდა წარმოადგინონ საბანკო გარანტია ან გადაიხადონ ბეს სახით საწყისი ფასის 10% (4000 ლარი). აუქციონი ჩატარდება ა.წ. 29 აგვისტოს 11 საათზე.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 92-14-96.

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2006 წლის 17 აგვისტოს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა პოლიტიკური ორგანიზაცია "საქართველოს გზა" და მისი წარმომადგენლები ნანა ციკოლია და მარიამ მკალავიშვილი. (ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება №19)

2006 წლის 17 აგვისტოს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მხრადამჭერთა სიების წარმოუდგენლობის გამო,

უარი უთხრა რეგისტრაციაზე:

1. მერაბ კოსტავას საზოგადოებას და მის წარმომადგენლებს მაკა გოგოხიას და თამაზ მაისურაძეს;

2. პატრიოტთა და ვეტერანთა პოლიტიკურ გაერთიანებას "საქართველოს დიდება" და მის წარმომადგენლებს ნინო კვესაძეს და სიმონ შარაძეს. (ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება №18)

## სალიანდაგო ღორღის შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების ცვლილება

1. შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006 წ 10 აგვისტოს გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში ღორღის *შესყიდვის შესახებ* შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

***- შესასყიდი ღორღის რაოდენობას დაემატოს 50 000 მ3 და განისაზღვროს 110 000 მ3 -ით***

2. შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოქვეყნებული ***ღორღის*** *შესყიდვის შესახებ* სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები რჩება უცვლელი.

**სატენდერო კომისია**

# ვაკანსია

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს თარჯიმნის დროებითი პოზიციის დასაკავებლად. თარჯიმანი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს დახასიათება:**

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**

თარჯიმნის მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

- ზეპირი თარგმნა შეხვედრების, დისკუსიების და სხვა ღონისძიებების დროს;
- წერილების, სტატიების და სხვადასხვა სახის დოკუმენტების თარგმნა;
- ნათარგმნი დოკუმენტების კორექტირება;
- ყოველდღიური კორესპონდენციის თარგმნა დაწესებულ ვადებში;
- თარგმნილი დოკუმენტების აღრიცხვის სისტემის წარმოება და გამოყენება;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

- ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
- საერთაშორისო კომპანიაში თარჯიმნად მუშაობის მინიმუმ 4 წლის გამოცდილება;
- უმაღლესი განათლების დიპლომი შესაბამის დარგში, ენების გაძლიერებული სწავლებით;
- კომპიუტერთან მუშაობის სრულყოფილი უნარ-ჩვევები;
- დაგეგმვის და ორგანიზების უნარი;
- მრავალეროვან გარემოში ადაპტაციის უნარი;
- გუნდური მუშაობის გამოცდილება.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **ოთხშაბათი, 2006 წლის 23 აგვისტო.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**

"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"

BP Georgia

საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

# სატენდერო განცხადება

1. შპს "საქაერონავიგაცია", რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა საქართველოს საჰაერო სივრცეში და აფრენა-დაფრენის ზონებში (მათ შორის სააეროდრომო კონტროლი) საჰაერო მოძრაობის მომსახურება და ფრენის უსაფრთხოების დაცვა აცხადებს ორეტაპიან ტენდერს საქართველოს საჰაერო სივრცის დაზღვევის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. დაფინანსების წყარო - შ.პ.ს. "საქაერონავიგაციის" სახსრები. ტენდერი ტარდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

შესყიდვის ობიექტია:

საქართველოს საჰაერო სივრცეში არსებული საჰაერო ტრასების, დერეფნებისა და სამოქალაქო აეროდრომების აფრენა-დაფრენის სექტორებში საჰაერო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული შ.პ.ს. "საქაერონავიგაციის" საქმიანობის დაზღვევა (შ.პ.ს. "საქაერონავიგაციის" საქმიანობის საგანი დეტალურად აღწერილია სატენდერო დოკუმენტაციაში).

მომსახურების გაწევის სასურველი ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2008 წლის 31 დეკემბრამდე.

ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული.

2. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები - შ.პ.ს. "საქაერონავიგაცია" ს/კ 208144051

ა.ა. N111467601, "თი-ბი-სი" ბანკი, ც/ფ; კოდი 220101830

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საჰაერო სივრცის დაზღვევა.

3. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ 2006 წლის 12 სექტემბრის 17.00-საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, შ.პ.ს. "საქაერონავიგაცია". ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველს შეუძლია გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც. სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო ვარიანტის მიღების დრო და ადგილი მეორე ეტაპზე გასულ პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით.

4. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და პირველადი სატენდერო წინადადება (ფასის) ღირებულების მითითების გარეშე, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 12 სექტემბრის 10.00-დან 17.00-საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, შ.პ.ს. "საქაერონავიგაცია". დასაშვებია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და პირველადი სატენდერო წინადადებების წარმოდგენა უცხო ენაზე ნოტარიულად დამოწმებული ქართულ ენაზე თარგმანის დართვით.

**5. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:**

5.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიუდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის (რეაბილიტაციის) საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

5.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) ინფორმაცია ბოლო 5 წლის მანძილზე განხორციელებული მსგავსი მომსახურების შესახებ, რაც უნდა დადასტურდეს შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენით;

ბ) სადაზღვევო ბაზარზე მოღვაწეობის მინიმუმ 5 წლის გამოცდილება;

გ) ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში 5 უმსხვილესი პროექტის განხორციელების თაობაზე, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენით;

ე) ბოლო სამი წლის განმავლობაში გაცემული ჯამური სადაზღვევო ანაზღაურება.

ვ) ინფორმაცია ბანკიდან თანხების ბრუნვის თაობაზე და/ან ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი ბოლო სამეურნეო წლის ამსახველი ფინანსური უწყისები (ბალანსი; მოგება ზარალის უწყისი) და აუდიტის დასკვნა);

ზ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონით "დაზღვევის შესახებ" განსაზღვრულ მოთხოვნებს და ამ კანონით დადგენილი წესით მიღებული უნდა ჰქონდეს დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია.

5.4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს მომსახურების გაწევის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.

**6. ინსტრუქცია პირველადი სატენდერო წინადადებების შედგენის წესის შესახებ**:

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

პირველადი სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პროექტის სახით საქართველოს საჰაერო სივრცეში და აფრენა-დაფრენის ზონებში საჰაერო მოძრაობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული შპს "საქაერონავიგაციის" საქმიანობის დაზღვევის სტრატეგიის შესახებ.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს ბიზნეს-გეგმას - დამოწმებულს ხელმძღვანელის ხელმოწერითა და საწარმოს ბეჭდით, რომელიც დეტალურად მოიცავს:

ა) მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებულ ინფორმაციას აღნიშნულ სფეროში სადაზღვევო რისკებისა და სადაზღვევო შემთხვევების შესახებ;

ბ) ინფორმაციას შესაძლო (მოსალოდნელი) სადაზღვევო შემთხვევათა სადაზღვევო ანაზღაურების გზებსა და ფინანსურ შესაძლებლობებზე;

ბ) სადაზღვევო პროცესის (პროცედურების) განხორციელების გზებსა და მეთოდებს;

გ) პროცესის გრაფიკსა და ვადებს;

დ) ხარჯთაღრიცხვას ფასების მითითების გარეშე;

ე) მონაწილე უნდა აკმაყოფილებდეს დაზღვევის საერთაშორისო პრაქტიკაში არსებულ მოთხოვნებს.

პირველადი სატენდერო წინადადების შეფასებისას მხედველობაში მიიღება:

- დაზღვევის სტრატეგიის შესაბამისობა და ეფექტურობა;
- პრეტენდენტის მყარი ფინანსური შესაძლებლებლობები;
- სადაზღვევო პროცესის განხორციელების გზები და მეთოდები;
- პრეტენდენტის გამოცდილება უმსხვილესი სადაზღვევო პროექტების განხორციელების თვალსაზრისით;
- პროცესის გრაფიკი და ვადები.

რადიო სატელევიზიო რგოლების სცენარების სტრატეგიული

7. მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით.

8. შესყიდვის პროცესში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულებისა და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი, დეტალური ინფორმაცია გამოყენებული უზრუნველყოფის მექანიზმისა და მისი ოდენობის შესახებ მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სატენდერო კომისიის აპარატში ზემოაღნიშნულ მისამართზე. საკონტაქტო პირები - ეკა ბუთხუზი, ნათია შარაშანიძე, ტელ: + 995 32 274327.

**ინტერნეტ მისამართი: www.airnav.ge**

**სატენდერო კომისია**

*კონვერტს უნდა მიეთითოს: პრეტენდენტის დასახელება და იურიდიული მისამართი; რომ ის შეიცავს სატენდერო წინადადებას და მისი გახსნის უფლება აქვს მხოლოდ სატენდერო კომისიას; რომ ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამოყენება ტენდერის გარდა სხვა მიზნებისთვის დაუშვებელია*